ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. ოლქის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

**რედაქცია**
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.

ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

**მთავარი კანტორა** თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 23 მაისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 118 (2766)

**დღიური**

— პოლიციის რეპრესიები გაფიცულ ფეიქართა წინააღმდეგ ბრედფორდში (ინგლისი)
— ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სწრაფი ზრდა
— ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების გეგმა
— როკფელერის პრემია მიესაჯა საბჭოთა მეცნიერს

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციების საყურადღებოდ

# საქ. კომპ. (ბ) მე-VII ყრილობა

## შესდგება 27 მაისს ქ. თბილისში

დღის წესრიგი:

1. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება—ამხ. ლ. ღოღობერიძე;
2. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება —ამხ. ი. ჭელიძე;
3. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენება—ამხ. ვლ. ივანოვ-კავკასკი.
4. საკოლმეურნეო მოძრაობის შედეგები და პერსპექტივები და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულება საქართველოში— ამხ. ფ. მახარაძე;
5. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: პარტიის 100 წევრზე 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, პარტიის 100 კანდიდატზე 1 დელეგატი სათათბირო ხმით.

ამ ნორმის ზევით გამოგზავნილი ამხანაგები უკან გაიგზავნებიან.

მანდატების გაცემა იწარმოებს ცენტრალურ კომიტეტში 25 მაისიდან 9 საათიდან დღის სამ საათამდე.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ღოღობერიძე.

# პროფკავშირები სოციალიზმის მშენებლობის ახალ ეტაპზე

პარტიის პოლიტიკაში მომხდარი ყოველი გადახრის დროს პროლეტარული დიქტატურის ყოველ ახალ ეტაპზე ახალი სახით ისმება საკითხი პროლეტარიატის მასიური ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი პროფკავშირების შესახებ, რომლებიც სამსახურს უწევენ მთელ მუშათა კლასს. ასე იყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს პროფკავშირების ამოცანების შესახებ გამართულ დისკუსიაში 1919-20-21 წლებში, ასე მოხდა, როცა ვარკვევდით პარტიის და მუშათა კლასის ხაზს რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც პარტიის წინააღმდეგ გაილაშქრეს მემარჯვენე ოპორტუნისტებმა, რომლებსაც თავიანთი ნომხრეები ჰყავდათ საკავშირო პროფსაბჭოს ძველი შემადგენლობის მუშაკთა ხელმძღვანელ ჯგუფში.

„სოციალიზმის შეტევა კაპიტალისტურ ელემენტების მთელ ფრონტზე", — ასეთია რეკონსტრუქციის პერიოდის გენერალური ამოცანა, რომელიც ჩამოყალიბებულია პარტიის ძირითად გადაწყვეტილებებში სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ტემპების შესახებ. მასების მობილიზაცია და ორგანიზაცია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად,— ასეთია პროფკავშირების მუშაობის საფუძველი რეკონსტრუქციის პერიოდში.

ამხ. შვერნიკის მოხსენების თეზისებში, რომლებიც მოწონებულია ც. კ-ის პოლიტბიუროს მიერ, მოცემულია პროლეტარულ სახელმწიფოში პროფკავშირების როლისა და მნიშვნელობის ის განმარტება, რომელიც ჩამოაყალიბა ლენინმა პარტიის მე-11 ყრილობის რეზოლუციაში.

„პროფკავშირები უნდა იყვნენ უახლოესი, აუცილებელი თანამშრომლები საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელსაც ხელმძღვანელობს მთელ მის პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში მუშათა კლასის შეგნებული ავანგარდი—კომუნისტური პარტია. პროფკავშირები, რომელნიც, საერთოდ კომუნიზმის სკოლას წარმოადგენენ, კერძოდ უნდა გადაიქცნენ სოციალისტური მრეწველობის (შემდეგ კი თანდათანობით მიწადმოქმედებისაც) მართვა-გამგეობის სკოლად ყველა მუშებისა და შემდეგ ყველა მშრომელებისათვის".

სწორედ ამჟამად, როდესაც ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორი განუწყვეტლივ ფართოვდება, უდიდესი ნახტომებით მიიწევს წინ და ყველაზე გაბედულ საგეგმო ვარაუდებს სჭარბობს, როდესაც სოციალისტური ურთიერთობანი ეუფლებიან არა მარტო სოციალისტურ მრეწველობას, არამედ სოფლის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო სექტორსაც, როდესაც გაძლიერდა პროლეტარულ სახელმწიფოს გეგმიანი ხელმძღვანელობა და მომწესრიგებელი როლი ჩვენი ქვეყნის მთელ სახალხო სამეურნეო ცხოვრებაში, როდესაც პარტია, მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე, კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავიდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, — სწორედ ამჟამად ჩვენ გვაქვს ყველა პირობები, პარტიის მე-11 ყრილობის ამ მითითების სრული რეალიზაციისათვის.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ ეს მითითება უაღრესად კონკრეტული გახადა. მუშათა კლასის ლაშქრობანი სოფლად, სახელმწიფო აპარატში, მრეწველობაში, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა, შრომის ახალი ფორმების შექმნა ქარხნებსა და სოფელს შორის, ქარხნებსა და სახელმწიფო აპარატს შორის, ქარხნებსა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებს შორის, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნა, — ყოველივე ეს ხელმისაწვდომს ხდის ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მართვა-გამგეობის საქმეში ყოველი მუშის, ყოველი მუშა ქალის ჩაბმას. რეკონსტრუქციის პერიოდის დასაწყისი იმით ხასიათდება, რომ მაშინ, როდესაც პროლეტარიატი შეუდგა ხუთწლედის განხორციელებას და იწყებდა თავისი რიგების გარდაქმნას სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, შრომის ახალი ფორმების შექმნით, მრავალი ათასი დამკვრელი ბრიგადებისა და კოლექტივების შექმნით, — საკავშირო პროფსაბჭოს ძველი შემადგენლობის ხელმძღვანელი ჯგუფი, რომელმაც ვერ გამოიჩინა იმის უნარი, რომ გაეგო პროლეტარული დიქტატურის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში და პროფესიონალური მოძრაობის აქედან გამომდინარე ამოცანები, ერთ ადგილზე იტკეპნებოდა და აფერხებდა პროლეტარიატის მოძრაობის ამ ახალი მასიური ფორმების განვითარებას.

„სწორედ ამიტომ რეკონსტრუქციის პერიოდში პროფკავშირული ორგანიზაციები ვერ აღმოჩნდნენ იმ ახალი ამოცანების სიმაღლეზე, რომლებიც მათ პარტიამ დაუსახა... საკავშირო პროფსაბჭოს ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა ამახინჯებდა პარტიის ხაზს პროფკავშირებში და პროფმოძრაობის ყველა ძირითად საკითხებში. ახალ ეტაპზე იგი ანტილენინურ, მემარჯვენე უკლონისტურ პოზიციას დაადგა".

ასეა შეფასებული ამხ. შვერნიკის თეზისებში საკავშირო პროფსაბჭოს ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა, რომელიც აფერხებდა პროფკავშირების გარდაქმნას რეკონსტრუქციის პერიოდში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროფკავშირებმა პარტიის ხელმძღვანელობით გამოსცვალეს გაკოტრებული ბელადები, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ გაშალეს გადამჭრელი ბრძოლა ტრედიუნიონიზმისა და ოპორტუნიზმის ელემენტებთან პროფმოძრაობაში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროფკავშირები სათავეში ჩაუდგნენ პროლეტარიატის მასიურ მოძრაობას სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლის და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ გადამჭრელი კურსი აიღეს პროფკავშირული მუშაობის ფორმების, მეთოდებისა და ტემპების გარდაქმნისაკენ, — მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს პროფკავშირებმა თავიანთი რიგების ნამდვილად გარდაქმნა რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან, პარტიის გენერალურ ხაზთან და სოციალისტური მეურნეობის განვითარების ტემპებთან შეფარდებით.

გარდატეხა პროფკავშირების პოლიტიკაში დაიწყო ხელმძღვანელობის გამოცვლის შემდეგ, მაგრამ, ვინაიდან პროფკავშირთა რიგების გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელი ტემპით ხდება, პრაქტიკულ შედეგებს მხოლოდ ეხლა ვგრძნობთ. მასების მობილიზაცია სოციალიზმის მშენებლობის ბოლშევიკური ტემპებისათვის წვრილბურჟუაზიული მერყეობისა და ოპორტუნისტული პრაქტიკის წინააღმდეგ, ლოზუნგი „პირით წარმოებისაკენ", რომელიც მოცემულ იქნა საკავშირო პროფსაბჭოს ცნობილ მიმართვაში პროფკავშირების წევრებისადმი, შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა, მუშათა აქტივის მობილიზაცია პროფესიონალური აპარატის წმენდისათვის, — ასეთია მთავარი ეტაპები, რომლებიც უკვე განსაზღვრა პროფკავშირთა ახალმა ხელმძღვანელობამ.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აქ პროფკავშირებმა მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადასდგეს, რომ შეჯიბრება და დამკვრელობა ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა მთელი საწარმოო საქმიანობის საფუძვლად საწარმოებსა და საამქროებში. პირველადი საწარმოო რგოლი — ბრიგადა — ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ჩამოყალიბებული არც საწარმოო და არც საზოგადოებრივი ხაზით. სწორედ ეს აფერხებს გეგმის მიყვანას ბრიგადამდე და დაზგამდე, სწორედ ეს აფერხებს საწარმოო თათბირების გარდაქმნას საკავშირო პროფსაბჭოს იმ გეზთან შეფარდებით, რომ პირველადი უჯრედი წარმოების მართვა-გამგეობაში მუშების ჩაბმის საქმეში უნდა იყოს დამკვრელი ბრიგადა.

სრულიად ბუნებრივია, რომ იმ უდიდესი მნიშვნელობის გამო, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებას და დამკვრელობას აქვს შრომის ახალი ფორმების ორგანიზაციის საქმეში, ნამდვილი ერთმმართველობა და საწარმოო-ტეხნიკური ხელმძღვანელობის განმტკიცება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ფართო საზოგადოებრივი კონტროლის ბაზაზე. გამოცდილებამ აჩვენა, რომ იმ საწარმოებში, სადაც მეურნეობის ხელმძღვანელები დამკვრელებს, დამკვრელი ბრიგადების საბჭოებს და მასიურ მუშურ კონტროლს ემყარებიან, ბევრად უფრო საგრძნობია სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების გარდაქმნის შედეგები, ბევრად მაღლა დგანან ყველა საწარმოო მაჩვენებლები, ვინაიდან ამჟამად დაგეგმვა და ხელმძღვანელობა ყოვლად შეუძლებელია „ნამდვილი მშრომელი" მასების მონაწილეობის გარეშე. ერთმმართველობის განმტკიცების ამოცანა ფართო საზოგადოებრივი კონტროლის საფუძველზე მით უფრო საყურადღებოა რომ, სოციალისტური მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით, მუშათა კლასის რიგებს განუწყვეტლივ ემატება ახალ-ახალი კადრები, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოეპოვებათ სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება.

პროფესიონალურმა კავშირებმა უდიდესი და გააფთრებული მუშაობა უნდა განავითარონ ამ ახალ ფენების სოციალისტურად აღზრდისათვის და მოამზადონ მუშათა ახალი კადრები საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების და სწავლების მოკლე ვადიან ფორმათა გაშლით, დაბალი კვალიფიკაციის მუშათა გადაყვანით უფრო მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოზე ფაბრიკებსა და ქარხნების შიგნით.

ამ ამოცანათა დავიწყება აუცილებლად შეაფერხებს სოციალისტური მშენებლობის ტემპებს.

პროლეტარების ფართო მასების აქტივობისა და კლასობრივი შეგნების ზრდამ თავი იჩინა არა მარტო პირით წარმოებისაკენ შებრუნების საქმეში, არამედ მუშათა მასების უდიდეს მოძრაობაშიც სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ბრძოლის ფრონტზე. მოწინავე ქარხნების შეფობის ცდა სახელმწიფო დაწესებულებებზე, ბრიგადების მუშაობა სახელმწიფო აპარატის წმენდის საქმეზე, მუშების, პირველ რიგში, დამკვრელების მასიური დაწინაურება გაწმენდილთა ადგილებზე, — ყოველივე ეს გვიჩვენებს იმ სრულიად ახალ ფორმებს, რომლებითაც ხდება მოწინავე პროლეტარების ათი ათასობით მომზადება და ჩაბმა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მოწინავე პროლეტარების ლაშქრობას სოფლად. 25 ათასი მუშის გაგზავნა საკოლმეურნეო მშენებლობის დასახმარებლად, შეფობის აღება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებზე და საბჭოთა მეურნეობებზე, მუშათა ბრიგადების პრაქტიკა კონტრაქტაციის, საგაზაფხულო თესვის კამპანიის, პურის დამზადების და სხვა საქმეში,— ეს ფორმები მუშათა კლასის უშუალო მონაწილეობისა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში არაჩვეულებრივი ძალით ადასტურებენ ლენინის დებულებას იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი ბრძოლისა და მშენებლობის პროცესში იწვრთნება, რომ მას თან მიჰყავს მშრომელი გლეხობა და ახდენს მის გარდაქმნას.

პარტიული ტრადიციების და ბოლშევიკური ფსიხოლოგიის ღრმად შეჭრამ მუშათა მასების სიღრმეში თავი იჩინა მუშების ახალი მასიური შესვლით პარტიაში 1920 წლის ლენინური გაწვევის დროს. ყოველივე ეს ერთად აღებული გვიჩვენებს პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის ბუმბერაზულ ზრდას ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნებისა და აქტივობის ბუმბერაზულ გადიდებას.

მხოლოდ ოპორტუნისტებს და ბიუროკრატებს შეუძლიათ დააშორონ ერთმანეთს პროფკავშირთა შებრუნება „პირით წარმოებისაკენ" და მუშათა მატერიალური მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ამოცანები. უდაოა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის ზრდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მუშების ხელფასი გაიზარდა 75 პროცენტზე მეტად (ომის წინა დროინდელი რეალური ხელფასის 139 პროცენტი), უაღრესად დიდია სოციალური დაზღვევის მუშაობის მნიშვნელობა, სოცდაზღვევის ბიუჯეტი მიმდინარე წელს 1.400 მილიონს აღწევს, საბინაო მშენებლობაზე გადადებულმა თანხამ უკანასკნელ ორ წელიწადში 1.300 მილიონ მანეთს მიაღწია, ორჯერ გაიზარდა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად გადადებული თანხა (220 მილიონი მანეთი, ნაცვლად წარსული სამეურნეო წლის 110 მილიონი მანეთისა). ყველაფერი ეს ამტკიცებს პარტიის პოლიტიკის სისწორეს მუშათა საკითხში.

მაგრამ საჭირო არაა დავმალოთ, რომ ზოგ ადგილას პროფკავშირების მოხელეებმა და უგუნურმა ხალხმა „პირით წარმოებისაკენ" შებრუნება ისე გაიგეს, როგორც მუშათა საჭიროებისადმი ზურგის შექცევა, რომ პროფკავშირები საერთოდ ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევენ მუშების მომარაგების საკითხებს, ფასების შემცირებისათვის ბრძოლას, მუშათა კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებას, რომ ჩვენ საწარმოში ძალიან ცუდად დგას შრომის დაცვის საქმე, რომ პროფკავშირების მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომელთაც წინად არ სურდათ პირით წარმოებისაკენ შებრუნება, ახლა გაურბიან დაცვით მუშაობას და მას უპირისპირებენ პროფკავშირის საწარმოო ამოცანებს.

ჯერ კიდევ დიდია ტრედიუნიონიზმის ნაშთები პროფაპარატში. პროფაპარატის ამჟამად მიმდინარე წმენდამ დაგვანახვა, ჯერ კიდევ რა მრავლად მოიპოვებიან აპარატის ცალკე საფეხურებში ნალექი და ბიუროკრატიული გადაგვარების ელემენტები. პროფკავშირების მუშაობის სიმძიმის ცენტრის ქვედა საფეხურებზე — დამკვრელ ბრიგადებზე, ჯგუფებზე, ცვლებზე, საწარმოზე — გადატანის გარეშე, ნამდვილი პროფკავშირული დემოკრატიისა და პროლეტარული თვითკრიტიკის განვითარების გარეშე, ახალი პროფკავშირული კადრების დაწინაურებისა და მომზადების, პროფკავშირის ორგანიზაციათა მუშაობის კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერების გარეშე — ვერ შესრულდება, ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც ისტორიის მიერ დაკისრებული აქვს ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს და მის მასიურ ორგანიზაციებს.

ხუთწლედი — გეგმიანი მეურნეობის ბუმბერაზი სკოლა, სკოლა კლასობრივი ბრძოლისა და მშენებლობის — განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებს პროლეტარიატის მასიურ ორგანიზაციებს, პირველ რიგში პროფესიონალურ კავშირებს. სწავლობს მთელი ჩვენი ქვეყანა იმას, თუ როგორ უნდა ახალი ცხოვრება, სწავლობს ხელმძღვანელი კლასი, როგორ უნდა ააშენოს და გაუძღვეს საქმეს, სწავლობს გლეხობა, როგორ გარდაქმნას თავისი მეურნეობა, სწავლობს ტეხნიკური ინტელიგენცია, როგორ იმუშაოს მასებთან და როგორ გაადიდოს თავისი ცოდნა და გამოცდილება მასების ძალისა და ენერგიის შემწეობით.

ხუთწლედი უნდა შესრულდეს 4 წელიწადში, მრეწველობის ზოგიერთ დარგში 3 წელიწადშიც. კოლექტივიზაციის გეგმა, რომელიც საკონტროლო ციფრებით ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის იყო ნავარაუდევი, არსებითად უკვე შესრულებულია.

ჩვენი მუშათა კლასი ახალ საზოგადოებრივ წყობილებას აშენებს უდიდესი კონსტრუქტორების — მარქსისა და ლენინის ნახაზების მიხედვით და ბრძოლასა და მშენებლობაში გამოცდილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამიტომ ასეთი სიმკაცრითა და სიმტკიცით მართავს ის თავის ორგანიზაციებს, ასწმენდს მათ, ასწორებს შეცდომებს თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის მეშვეობით და ახორციელებს ხელმძღვანელობას პროლეტარიატის ყველა მასიური ორგანიზაციების მიმართ.

„პრავდა", 22 მაისი.

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მეთაურ წერილში გაპარულია შემდეგი შეცდომა: მეხუთე აბზაცში სწერია: —„ბრძოლა ხუთწლიანი გეგმისათვის [illegible] წარმატებით მიმდინარეობს და ამას მოწმობს მრეწველობის პროდუქციის ზრდა 1929-30 წლის პირველ ნახევარში 4,5 პროც. უფრო მეტად, შედარებით გასულ წელთან". უნდა იყოს: პროდუქციის ზრდა 1929-30 წლის პირველ ნახევარში 24.5 პროც. უფრო მეტად და სხვ".

# რევოლუციონური მოძრაობა ინდოეთში ფართოვდება

## სისხლისმღვრელი შეტაკებები ინდოეთის მთელ რიგ ქალაქებში

## შეერთ. შტატების ვაჭრობის სამინისტრო აღნიშნავს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის სწრაფ ზრდას

## ახალი შეტაკებები ინდოეთში

### სისხლისმღვრელი შეტაკება ლაგორში

**ლონდონი**, 22 მაისი. ლაგორში (ბომბეის პროვინცია) სერიოზული შეტაკება მოხდა პოლიციასა და ქალაქის მოსახლეობას შორის. ბრბომ ქვები დაუშინა პოლიციელებს და დასჭრა ორი ოფიცერი და რამდენიმე პოლიციელი. პოლიცია იძულებული გახდა უკან დაეხია.

### მოხალისეები გადადიან აქტიური ბრძოლის მეთოდებზე

**ლონდონი**, 22 მაისი. რევოლუციონური ბრძოლა ინდოეთში ამჟამად თავისი განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაზას განიცდის, რაც გამოიხატება, ერთის მხრივ, პასიური წინააღმდეგობის ფარგლების გადალახვაში აქტიური ბრძოლის მეთოდებზე გადასვლის დროს, ხოლო მეორეს მხრივ—რეპრესიების გაძლიერებაში მთავრობის მხრით. დხარსანში მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელების კონფერენციამ საჭიროდ სცნო—ძირითადად თვითეულ მოხალისის თავისუფალი მოქმედების უფლება, მაგრამ დაავალოს ყოველ ძალას—აუცილებლად გაარღვიოს პოლიციის რკალი და მავთულის ჯებირები.

დხარსანში ორი ათასმა მოხალისემ თოკების შემწეობით იწყო იმ ბოძების წაქცევა, რომლებზედაც მავთულის ჯებირები იყო დამაგრებული. მოხდა ნამდვილი ბრძოლა მოხალისეებსა და პოლიციას შორის. პოლიციამ ორჯერ შეიტანა იერიში. შეტაკებამ ორი საათს გასტანა. მოხალისეთაგან დაიჭრა 200 კაცი. შესვენების დროს და შემდეგ პოლიცია შეიჭრა მოხალისეთა რიგებში და დააპატიმრა მოძრაობის ხელმძღვანელნი, მათ შორის განდის შვილიც, მანილალი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას და რომელიც ამ წინააღმდეგობის დროს დაიჭრა (ადს).

### კონგრესისი ლიდერების დაპატიმრება

**ლონდონი**, 22 მაისი. ბომბეიში პოლიცია თავს დაესხა ნაციონალური კონგრესის მთავარ სადგომს. თავდასხმის დროს მოხდა სერიოზული შეტაკება პოლიციასა და მოსახლეობას შორის. მცხოვრებლები ქვებს ესროდნენ პოლიციელებს და ხელს უშლიდნენ კონგრესის ლიდერების დაპატიმრებას. პოლიციამ შემართა ბამბუკის ჯოხები. შეტაკების დროს მრავალი დაიჭრა. ბრბო შეეცადა წაერთმია პოლიციისათვის ეტლი, რომლითაც საპყრობილეში მიჰყავდათ კონგრესის დაპატიმრებული ლიდერები. კონგრესის მოღვაწეთა დაპატიმრების შემდეგ ინდოელების მნიშვნელოვანი ჯგუფი თავს დაესხა ბანკს, რომლის დირექტორიც (ევროპიელი), როგორც ხმა დადის, პოლიციას ეხმარებოდა მოხალისეთა წინააღმდეგ მოქმედებაში. ინდოელებმა ხელთ ჩაიგდეს ბანკის შენობა (ადს).

### განდის განცხადება

**ლონდონი**, 21 მაისი. „დეილი ჰერალდ"-ის კორესპონდენტთან საუბარში განდიმ [illegible] ავსტრალიის ტიპის დომინიონიურობის [illegible] შეიძლება შეწყვეტილ იქნას შემდეგი პირობით: ინგლის-ინდოეთის კონფერენციის წინ გამოცხადებული უნდა იქნას, რომ მომავალი კონსტიტუცია ინდოეთს მიანიჭებს დამოუკიდებლობას, [illegible] უნდა იქნას განდის მოთხოვნილება მარილის მონოპოლიის გაუქმების შესახებ და სხვ.

### „შიპაკაზე სიწყნარეა"

**ლონდონი**, 22 მაისი. ინდოეთის მთავრობის ცნობა შოლაპურის ამბების შესახებ ისეა შედგენილი, რომ შესუსტებული იქნას შოლაპურში მომხდარი აჯანყებით გამოწვეული შთაბეჭდილება. ცნობაში შემცირებულია მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი, ცნობა უარჰყოფს ხმებს, რომ ქალაქში ძალა-უფლების სამხედრო სარდლობის ხელში გადასვლის შემდეგ საალყო წესების გატარებასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა ექსცესებს. მაგრამ მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ"-ი მიუთითებს, რომ საალყო წესების შემოღების შემდეგ შოლაპურში მოხდა „მეტად საშიში ხასიათის მთელი რიგი ინციდენტები" (ადს).

### თავდასხმები მარილის საწყობებზე

**ლონდონი**, 22 მაისი. 19 მაისს მოხალისეთა თავდასხმები მარილის საწყობებზე უფრო იშვიათად ხდებოდა, მაგრამ უფრო სერიოზული იყო შეტაკებები მილიციასა და თავდამსხმელებს შორის.

ვადალის რაიონში 150 მოხალისეს, რომლებიც მარილის საწყობებისაკენ მიემართებოდნენ, შეუერთდა დიდძალი ხალხი. პოლიციის რკალი გარღვეულ იქნა. შეტაკების დროს დაიჭრა 12 კაცი, 72 დააპატიმრეს (ადს).

**ლონდონი**, 22 მაისი. განდის შვილი უხელმძღვანელებს თავდასხმას დხარსანის მარილის საწყობებზე. თავდასხმაში მონაწილეობას მიიღებს 2.000 მოხალისე, რომელთაც ბრძანება აქვთ მიცემული მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დაიხიონ უკან. (ადს).

### პოეტ-ქალი ნაიდუს დაპატიმრება

**ლონდონი**, 21 მაისი. დხარსანში დააპატიმრეს პოეტი ქალი ნაიდუ.

### ნაც. კონგრესის წევრთა დაპატიმრება

**ლონდონი**, 21 მაისი. 350 პოლიციელმა ალყა შემოარტყა ნაციონალური კონგრესის შტაბს და დააპატიმრა თანამდებობის პირები, მათ შორის კონგრესის ბომბეის ორგანიზაციის თავმჯდომარე ნარიმანი.

### „სოხოპის" კამპანიას ხელმძღვანელობს პატელი

**ლონდონი**, 21 მაისი. პოეტ ქალ ნაიდუს და ნაციონალური კონგრესის სხვა წევრების დაპატიმრებასთან დაკავშირებით სამოქალაქო ურჩობის კამპანიის ხელმძღვანელობა იკისრა პატელმა, ინდოეთის საკანონმდებლო კრების ყოფილმა თავმჯდომარემ.

პატელი ცდილობს აიძულოს პოლიცია დაჩქარებით დააპატიმრონ ის.

ბომბეიში სიტყვის წარმოთქმის დროს პატელმა განაცხადა: „ინდოეთში ამიერიდან აღარ არსებობს ინგლისის მმართველობა, რომელიც შეცვლილია ლადხის რეჟიმით (ლადხი ეწოდება კომბალს, რომელსაც ხმარობენ ინდოელი პოლიციელები). მუშათა პარტიის მთავრობამ ძალაუფლება დაუთმო ირვინს (მეფის ნაცვალი ინდოეთში), ირვინმა თავისი ძალაუფლება გადასცა სამხედრო პოლიციელებს, რომლებიც ინდოეთს განაგებენ თავიანთი სურვილის მიხედვით. ჩვენ მათ უნდა გამოვგლიჯოთ ძალაუფლება და მივიღოთ სვარაჯი (თვითმმართველობა) ახლანდელი სამხედრო რეჟიმის ნაცვლად".

დასასრულ პატელმა განაცხადა, რომ თუ ეს სიტყვა არ გამოიწვევს მის დაპატიმრებას, მაშინ ის უფრო მკაცრად გამოვა. (ადს).

# ამერიკა-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

## ვაჭრობა ორივე სახელმწიფოს შორის შეუჩერებლად იზრდება.—გაზ. „ბიზნეს უიკ" აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის გეგმა შესრულებული იქნება.

**ვაშინგტონი**, 22 მაისი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრო უკანასკნელი ანგარიში აღნიშნავს საბჭოთა კავშირის—ამერიკის ვაჭრობის სწრაფ ზრდას და, კერძოდ, საბჭოთა ბაზრის გაფართოებას. მიუხედავად ამისა, ვაჭრობის სამინისტრო საქმიანი წრეების წარმომადგენლებს ისეთ რჩევა-დარიგებას აძლევს, რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ ვაჭრობის ზრდაზე საბჭოთა კავშირთან.

ამას წინად ვაჭრობის სამინისტროს ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა განაცხადა, რომ ხუთწლიანი გეგმა არ იქნება შესრულებული. ყოველკვირეულმა ორგანომ „ბიზნეს უიკ"-მა მიმართა სამინისტროს თხოვნით—გამოსთქვას თავისი შეხედულება. სამინისტროს განცხადება ამ საკითხის ირგვლივ ორპირული ხასიათისაა. კერძოდ, ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვაჭრობის სამინისტრო ცდილობს საქმიან წრეებს საბჭოთა კავშირის შესახებ ისეთივე ინფორმაცია მიაწოდოს როგორსაც სხვა სახელმწიფოების შესახებ აწვდის. მაგრამ საბჭოთა კავშირის შესახებ სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია გამოსცეს სპეციალური ინფორმაცია. ამ ინფორმაციაში გამოთქმულია ისეთი აზრები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა ეკონომიკის საფუძვლების შესწავლიდან. საქმის ასეთ მდგომარეობას იწვევს საბჭოთა ეკონომიური რეჟიმის არაჩვეულებრივი ხასიათი

ასევე მოიქცა სამინისტრო მაშინ, როდესაც მას შეეკითხნენ კრედიტების საკითხის შესახებ. მან განაცხადა, რომ იგი ურჩევს საქმიან წრეებს—დაეკითხონ ბანკირებს თვალსაზრისზე და საბჭოთა კავშირის მიმართ გამოიყენონ საბანკო პოლიტიკის ტრადიციული საზომი.

„ბიზნეს უიკ"-ი, იხება რა სამინისტროს განცხადებას, გულახდილად ამბობს, რომ დილემა, რომლის წინაშეც სდგახან ამერიკის საქმიანი წრეები, მდგომარეობს იმაში, რომ, ალბად, ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან ეწინააღმდეგება როგორც შეერთებული შტატების, ისე სხვა სახელმწიფოების საბოლოო ინტერესებს. „ჩვენ ვფიქრობთ,—სწერს „ბიზნეს უიკ"-ი,—რომ საბჭოთა რეჟიმი ალბად, დარჩება და განმტკიცდება. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის და სოციალიზაციის გეგმა ალბად განხორციელდება. ამასთან ერთად საბჭოთა რეჟიმის არსებობის მიზანი და ამ რეჟიმის შენარჩუნებისა და განვითარების საბოლოო შედეგი არის კაპიტალისტური სისტემის განადგურება ყველა სხვა ქვეყნებში. ჩვენ გვგონია, რომ სავაჭრო და სხვა ხასიათის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან აჩქარებს ამ პროცესს. ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან არა მარტო ხელს უწყობს საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებას, არამედ ფასების დაკლების საშუალებით ჰქმნის საფუძველს გამანადგურებელ კონკურენციისათვის და გზას უხსნის სოციალურ-პოლიტიკურ მღელვარებას. ამის გამო ჩვენ ვეთანხმებით იმ პოლიტიკას, რომელსაც არა სურს საბჭოთა კავშირის ცნობა. მიუხედავად ამისა, ამ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობენ ცალკე საქმიანი წრეები, რომლებიც განაგრძობენ ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან. მათ უნდა მიეცეთ ნება განაგრძონ ვაჭრობა საკუთარი რისკით". „ბიზნეს უიკ"-ის სიტყვით, ეს რისკი არ არის დიდი, რადგან საბჭოთა კავშირი დიდ სარგებლობას ჰხედავს თავის საგარეო ვაჭრობაში და იგი არ ჩაშლის მის საკრედიტო ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო (ადს).

# რეიხსტაგის კომფრაქცია კანონს გარეშე

## კომდეპუტატების მეოთხედს ხელშეუხებლობის უფლება წაართვეს

**ბერლინი**, 21 მაისი. გერმანიის რეიხსტაგის შინა-განწესრიგებულმა კომისიამ საგაზაფხულო არდადეგების განმავლობაში ხელშეუხებლობის უფლება წაართვა კომუნისტ-დეპუტატებს: შნელერს, ბლენკლეს, გეშკეს, რეპშლეგერს და პაკეს. სულ ხელშეუხებლობის უფლება წართმეული აქვს კომფრაქციის ერთ მეოთხედს (ადს).

# კრიზისის ხარჯები მუშათა ზურგზე

**ბერლინი**, 21 მაისი. ოფიციალური ცნობები 993 მსხვილ სააქციო საზოგადოების, მათ შორის 159 ბანკის საქმიანობის შესახებ ნათელყოფენ, რომ კრიზისის მიუხედავად მრეწველებმა მოახერხეს შარშანდელზე მეტი მოგების მიღება და ამრიგად ეკონომიური კრიზისის ხარჯები მთლიანად მუშათა კლასის ზურგზე გადაიტანეს (ადს).

# ანტი-საბჭოთა კამპანია პოლონეთში

## „გაზეტა პოლსკა"-ს პროვოკაციული წერილი

**ვარშავა**, 22 მაისი. პილსუდსკის მომხრეთა ორგანო „გაზეტა პოლსკა" დიდ წერილს უძღვნის პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შორის თავდაუსხმელობის შესახებ პაქტის დადების საკითხს.

გაზეთი საერთოდ უსარგებლოდ თვლის პაქტს და მისი დადების საკითხის წამოყენებას საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ხსნის მხოლოდ და მხოლოდ „დღის მანიით", რომლითაც, გაზეთის სიტყვით, შეპყრობილია საბჭოთა დიპლომატია და უკანასკნელი სურვილით ეს მომენტი გამოყენებულია ანტიპოლონური პროპაგანდისათვის.

გაზეთი თვლის, რომ პაქტი არ იქნა დადებული საბჭოთა კავშირის მიზეზით.

„ხელშეკრულების დადების პირობები, რომელთაც პოლონეთი აყენებდა,—სწერს გაზეთი,—არბიტრაჟი და ხელშეკრულების დადება ბალტიის სახელმწიფოებთან ერთად, აქტუალური რჩება. არბიტრაჟის გარდა რჩება კიდევ პრობლემა თავდაუსხმელობის შესახებ პაქტის შეთანხმებისა ვალდებულებებთან, რომლებიც პოლონეთს ეკისრება, როგორც ერთა ლიგის წევრს. თუ საბჭოთა მთავრობა მართლა დაინტერესებულია, რომ თავდაუსხმელობის პაქტი იქნას დადებული, პოლონეთის მთავრობა მზად არის განაახლოს მოლაპარაკება" (ადს).

### ახალი ანტისაბჭოთა ჟურნალი

**ვარშავა**, 22 მაისი. გამოვიდა ყოველკვირეულ ჟურნალ „ჩვენი მომავალი"-ს პირველი საცდელი ნომერი. ჟურნალს სცემს კონსერვატიული ჯგუფი „პრავიცა ნაროდოვა".

ერთ-ერთ საპროგრამო წერილში ჟურნალი ატარებს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა კავშირისაგან ჩამოშორების და მის ტერიტორიაზე პოლონეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს შექმნის პროპაგანდას. წერილის ავტორი არ მალავს, რომ პოლონეთის პროტექტორატის ქვეშ მოქცეულ უკრაინის სახელმწიფოში არ შევა დასავლეთ უკრაინა.

„გაზეტა ვარშავსკა"-მ პილსუდსკის მომხრეთა და კონსერვატორების ამ გამოსვლას უძღვნა ორი წერილი, რომლებშიც ამტკიცებს, რომ ახალი ჟურნალის გალაშქრება ნიშნავს „საბჭოთა კავშირთან ომის ტყუილუბრალოდ პროპაგანდას, ვინაიდან საბჭოთა უკრაინის ჩამოშორება არ არის გათვალისწინებული, როგორც მომავალი ომის საბაბი, და საერთაშორისო ფაქტორები, რომლებიც პოლონეთს საბჭოთა კავშირთან ომს უკარნახებენ" (ადს).

### სურთ მიჩქმალონ საბჭოთა საელჩოს აფეთქების გამოძიების შედეგები

**ვარშავა**, 22 მაისი. მთავრობისა და მთავრობასთან ახლო მდგომი პრესა ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს გამოძიებას საბჭოთა საელჩოს აფეთქების ცდის საქმეზე. ამავე დროს გაზეთების ფურცლებზე, შეუმჩნეველ ადგილას, სისტემატიურად იბეჭდება ცნობები, რომელთა მიზანია საზოგადოებაში შექმნან შთაბეჭდილება, რომ აფეთქების ცდაში წილი უდევს თვით საბჭოთა საელჩოს.

ამ დღეებში „აბც" იუწყებოდა, რომ თითქო, ექსპერტიზის დასკვნით, ჯოჯოხეთის მანქანის საათის მექანიზმი საბჭოთა კონსტრუქციის არის.

პროვინციალური პრესა და ბულვარული ჟურნალები საბჭოთა საელჩოს შესახებ ჰბეჭდავენ ათასგვარ თავხედურ ჭორებს და პირდაპირ სდებენ მას ბრალს აფეთქების ცდის ინსცენირობაში.

„რეჩ პოსპოლიტა"-მ მოათავსა წერილი, რომელშიც შემდეგს ამბობს:

„გამოძიებამ აფეთქების ცდის შესახებ დღემდე არ გამოიღო არავითარი შედეგი. ჩხრეკამ, რომელიც მოახდინეს რუს და უკრაინელ ემიგრანტთა შორის, არავითარი მასალა არ მისცა გამოძიებას. პოლონეთის საგამომძიებლო ორგანოები ამაში ოდნავადაც არ არიან დამნაშავენი. ვინ იცის,—სწერს გაზეთი, — იქნებ ვარშავის საბჭოთა საელჩოს შენობის საკვამლე მილში აღმოჩენილი ბომბის ისტორია სათანადოთ იქნება გამოაშკარავებული ვისიმე მოგონებებში, რომლებიც სენსაციას მოახდენენ მთელს ევროპაში".

„თავისთავად ცხადია,—განაგრძობს გაზეთი,—მოსკოვის მხრივ მოვისმენთ საყვედურებს თეთრგვარდიელების მიმართ კეთილგანწყობილების შესახებ პოლონეთში. რადგან მოსკოვი ცდილობს, რათაც არ უნდა დაუჯდეს, მოსპოს რუსეთის ემიგრაცია" (ადს).

# საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო ორგანიზაციის მეორე (XI) პარტკონფერენცია

## კონფერენციის გახსნა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, თბილისის მუშათა ცენტრალურ კლუბის საზაფხულო შენობაში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის საოლქო ორგანიზაციის მეორე პარტიული კონფერენცია. სხდომა გახსნა ამხ. **მიხა ცხაკაიამ**, რომელმაც კონფერენციას შემდეგი სიტყვით მიმართა

## ამხ. მ. ცხაკაიას სიტყვა

ამხანაგებო, თბილისის პარტიული ორგანიზაციის მეორე საოლქო კონფერენცია ისეთ დროს იკრიბება, როცა მთელ საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური მშენებლობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. წვრილ გლეხურ მეურნეობათა კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგშიაც. ყველასათვის უდაოა ის შედეგები, რომელიც მოგვცა პარტიული ხაზის მტკიცე გატარებამ, მუშათა კლასის თავდადებამ და, საზოგადოთ, მთელი მშრომელი მასის თავგანწირულმა ბრძოლამ სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის: სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, თვით პარტიის რიგების ზრდა მუშების ახალი რაზმების შემომატებით, აი ყოველივე ის, რაც მოწმობს ჩვენი ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზის სისწორეს.

ჩვენს წინაშე სდგანან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის მეტად გრანდიოზული ამოცანები. ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა და უდიდესი მიღწევები, რომელიც გვაქვს ამ დარგში, შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩვენი პარტიის — სახელოვან ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო გადაგველახა და შეგვიძლია მომავალშიაც წარმატებით გადავლახოთ ის უდიდესი ობიექტიურად აუცილებელი სიძნელენი, რომელნიც წინ ეღობებიან სოციალისტურ მშენებლობის განვითარებას. მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის, კომკავშირის, საბჭოების, პროფესიონალური ორგანიზაციების და მილიონიანი მასების დახმარებით შეუჩერებლად მივდივართ წინ. ასეთ პირობებში ჩაისახა და წარმატებით ვითარდება სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა.

დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი პირობაა არსებულ ნაკლოვანებათა დაუზოგავი მხილება, ბოლშევიკური თვითკრიტიკის შეუბრალებლად გაშლა. ეს ზრდის მასების აქტიობას, მასების აქტიობა კი ჩვენი უეჭველი გამარჯვების საწინდარია. ჩვენ ვართ იმის მოწმე, რომ მშრომელი მასების თვითმოქმედება სოციალისტურ მშენებლობის დარგში დღითი-დღე ფართოვდება. ეს გამოიხატება დაუნდობელ ბრძოლაში ბიუროკრატიზმისა და სხვა ჩვენ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. ბოლშევიკურად შევებრძოლოთ შეცდომებს, თავის დროზე გამოვააშკარავოთ ნაკლოვანებანი და ყოველი ზომები ვიხმაროთ მათ გამოსასწორებლად.

უდიდესი ყურადღება უნდა მივაპყროთ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობას სოფლად. კოლმეურნეობა მთავარი საშუალებაა იმისა, რომ ჩვენი სოფელი გამოვიდეს [illegible] მდგომარეობიდან, რომ ძველი დახავსებული ტეხნიკა შეიცვალოს გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებით, რომ სოფელი აღორძინდეს და განმტკიცდეს მატერიალურად და კულტურულად, მაგრამ ამასთანავე ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობაში ძირითადი პირობაა ნებაყოფლობის პრინციპის დაცვა. ყოველი ზომები უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ გლეხობა დავარწმუნოთ კოლმეურნეობის უპირატესობაში ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით, არ უნდა დაგვავიწყდეს ლენინის სიტყვები, ლენინი ამბობდა, რომ ძალადობა ნიშნავს საქმის გაფუჭებასო. უნდა ითქვას, რომ ეს სავალდებულო ნებაყოფლობითი პრინციპი ზოგიერთ ადგილას ირღვეოდა. ბევრგან აჩქარებით იქნა შედგენილი კოლმეურნეობები, რომელნიც ვერ გამოდგნენ ხანგრძლივი. დაიწყო კოლმეურნეობებიდან წევრთა გამოსვლა და ბევრგან კოლმეურნეობანი კიდევაც დაიშალა.

ჩვენ გამოვიჩინეთ გამბედაობა და ეს შეცდომები ვაღიარეთ. ჩვენ მთელ ძალ-ღონეს მივმართავთ დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად. მიუხედავად არსებულ ნაკლოვანებებისა, კოლექტივიზაციის დარგში მაინც დიდი მიღწევები გვაქვს. ოპორტუნისტები ჩვენი განვითარების მეტად შავ სურათს გვიხატავდნენ, მაგრამ ცხოვრებამ, როგორც ყოველთვის, აქაც თავდაყირა დააყენა მათი „წინასწარმეტყველება". თავიანთ ოპორტუნისტული მუშაობით ისინი ეხმარებოდნენ პროლეტარული რევოლუციის კლასობრივ მტრებს. იჭვი არ არის, რომ ჩვენი ორგანიზაციები ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით ყოველ ზომებს მიიღებენ და შეკავშირებული ძალით საბოლოოდ გამოასწორებენ დაშვებულ შეცდომებს.

მთავარი ამოცანაა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ ის გამარჯვება, რომელიც ჩვენ, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა და შეცდომებისა—მაინც გვაქვს კოლექტივიზაციის დარგში. საჭიროა გავაცხოველოთ მუშაობა ჩვენი ღარიბი და საშუალო გლეხობის ორგანიზაციულად კიდევ უფრო შემჭიდროებისათვის და მათ პოლიტიკურად მომზადებისათვის. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს გლეხ-ქალებზე, რომელნიც მეტად ჩამორჩენილი არიან თავისი განვითარებით. ამასთან ერთად ყოველივე დახმარება უნდა გაუწიოთ ღარიბ და საშუალო გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობებს. უნდა შეუწყოთ მათ ხელი თესვაში, მეურნეობის კულტურულ ნიადაგზე განვითარებაში.

კოლმეურნეობების გაფართოებასთან ერთად უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება-გამაგრებას. ყოველივე ამას მოითხოვს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ინტერესები.

ამავე დროს გაათკეცებული ენერგიით უნდა ვაწარმოოთ მუშაობა მრეწველობის წინაშე მდგარ უდიდეს ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას. უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები იმისათვის, რომ თვითეულ ფაბრიკას, თვითეულ ცეხს, აგრეგატს და თვითეულ დაზგას ქონდეს საკუთარი საწარმოო-საფინანსო გეგმა. ამას გვიკარნახებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებით გადაჭრის ამოცანები.

მე იმედი მაქვს, რომ თბილისის საოლქო პარტორგანიზაცია, როგორც მუდამ, ისე შემდეგშიაც მტკიცედ იხელმძღვანელებს ლენინის დირექტივებით, მედგრად შეებრძოლება ყოველგვარ დაბრკოლებებს და უზრუნველყოფს სოციალისტური სექტორის საბოლოოდ გამარჯვებას ქალაქისა და სოფლის მეურნეობაში.

ამიერ-კავკასია და საქართველო მრავალტომიანი ქვეყანებია. ჩვენი მიზანია შემდეგშიაც მტკიცედ დავიცვათ ეროვნული ზავი, გავამაგროთ ამიერ-კავკასიის ხალხთა კავშირი და ამით კიდევ უფრო საიმედო ნიადაგი შევუქმნათ სოციალისტურ მშენებლობას. ვუსურვებ გამარჯვებას ლენინურ კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისა, რომელიც არის მოთავე მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას—დიად კომუნისტური ინტერნაციონალის სახელოვან რაზმს!

გაუმარჯოს თბილისის პროლეტარიატს!

გაუმარჯოს ჩვენს ძველ პარტიულ ავანგარდს!

გაუმარჯოს თბილისის ოლქის ყველა მშრომელთ! (ტაში)

ამის შემდეგ ამხ. მ. ცხაკაია კონფერენციას გახსნილად აცხადებს, რასაც დარბაზი ოვაციებით უპასუხებს. ყრილობის ორგანოების არჩევის შესახებ სიტყვა ეძლევა ამხ. ლომიძეს, რომელსაც რაიონების წარმომადგენელთა თათბირის სახელით წინადადება შემოაქვს კონფერენციის ორგანოებში არჩეულ იქნან შემდეგი პირები:

### საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: **სტალინი, კალინინი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, რიკოვი, რუძუტაკი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი, მიქოიანი, ტელმანი, ლომინაძე და კრუპსკაია.**

### საქმიანი პრეზიდიუმი

**მიხა, ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, შ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე, ლ. სუხიშვილი, შ. ელიავა, მამია ორახელაშვილი, ჩაქვინი, რუხულა ახუნდოვი, ს. მამულია, ე. ასრიბეკოვი, ივანოვ-კავკასკი, ვ. სტურუა, გ. მაჩაიძე, იაკოვლევი, ავქსენტიევსკი, ივკოფანცულაია, ლომიძე, ტერ-ვართანოვი, სვანიძე, ბოლქვაძე, ქარულაშვილი, თოდრია, კვანტალიანი, ბერია, გ. სტურუა, ავაკოვი, მაშკევიჩი, შოგირაძე, გურკოვი, მორჩილაძე, მზარეულაშვილი, გელაშვილი, გუაჩიძე, ნემერზელი, ტელიატნიკოვი, მღებრიშვილი (დუშეთი), რუხაძე (თიანეთი), არაქელოვი (ახალქალაქი), ჯაფარლი (ლიუქსემბურგი), ლილაშვილი, კახოიანი, ლევორიანოვი, შაუმოვი, გოგოლიძე, ნადეჟდა, ლავრენტიევი, მარტიჩიანი, სიხაშვილი, ჯაბადარი, გუჯიაშვილი, კვარაცხელია, შამშე ლეჟავა, გ. რთველაძე, ს. ზაქრაძე, ო. იტრიევი, ა. ფირცხალავა, ვ. ვაშაკიძე, სართანია, პაპულია ორჯონიკიძე, ნოე ლეჟავა, ბარიშვილი და ვარო ჯაფარიძე.**

### სამდივნო

**ალნიაშვილი, ადამიანი, წითლიძე, მეტონიძე, ბელელაძე, ალამიძე თამარა, ოდილავაძე, ჩუბინიძე, კორძახია, ასკერი, ბოგდანოვი, ანდრიაძე, კოსტოვი, ჯეჯელავა და თავშავაძე.**

### სამანდატო კომისია

**მისკინი, ტყაბლაძე, ტინტიკოვი, გამრეკელი, დაცკო, ფირალოვი, ნოვოსელსკი, ოსიპოვი, ზეინალ-ზადე, ნასარიძე, კუდიაშვილი, ოსიპოვი, ჰასან საბრი და ჩანკვეტაძე.**

### სარედაქციო კომისია

**ნ. კიკნაძე, ა. ჟოჟიკაშვილი, გრიგორინი, მ. ფილია, რახმანი, ა. ვართანიანი, გიორგაძე, მდივანი, გ. სააკიანი, პ. საყვარელიძე, ა. ოსიპოვი, ეიუბოვი, ბაბუციძე, იობიძე, ბირიუკოვი და ხაჩატუროვი.**

კონფერენციის ორგანოების არჩევის შემდეგ საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **შალვა ელიავა.**

## ამხ. შ. ელიავას მოხსენება

თავის მოხსენების შესავალში ამხ. შალვა ელიავა შეეხო დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას და ამასთან დაკავშირებით იმ პირობებს, რომლებშიაც უხდება საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს სოციალისტური მშენებლობის წარმოება. მომხსენებელმა აღნიშნა, ერთი მხრივ, შეურიგებლობა კაპიტალისტურ სისტემასა და სოციალისტურ სისტემის შორის, აქედან წინააღმდეგობა ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირის შორის, და მეორე მხრივ, შეუნელებელი შინაგანი რღვევა თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. შეეხო რევოლუციონურ მოძრაობის განვითარებას კოლონიებში, უმუშევრობის შეუჩერებელ ზრდას, მრეწველობისა და საკრედიტო კრიზისს, სოფლის მეურნეობის დეგრადაციას და სხვ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა სტაბილიზაციის პერიოდი უკვე დასრულდა.

ამასთანავე მომხსენებელმა მთელ რიგ ციფრებით დაახასიათა საბჭოთა კავშირის მშენებლობის შეუჩერებელი წინსვლა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. ამის შემდეგ მომხსენებელი გადავიდა საბჭოთა კავშირის და უმთავრესად ამიერ-კავკასიის შინაურ მდგომარეობაზე. აღნიშნა ის მიღწევები და ნაკლოვანებანი, რომელიც ამ.-კავკასიაში ჩვენ გვაქვს მრეწველობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში. ფართოდ შეეხო დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომელნიც წინ ეღობებიან სოციალისტური მშენებლობის განვითარებას სოფლად და ქალაქად. დასასრულ ამხ. შალვა ელიავა შეჩერდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის და პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის საკითხზე და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც პარტიას საჭიროდ მიაჩნია ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის*).

ამით დამთავრდა კონფერენციის პირველი სხდომა. კონფერენციის მეორე სხდომა შესდგება დღეს, იმავე შენობაში დილის 9 საათზე.

---

*) ამხ. შ. ელიავას მოხსენების ვრცელი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

# მაკდონალდის მთავრობას არ სურს უმუშევრობასთან სერიოზულად ბრძოლა

## რატომ გადადგა მოზლი

**ლონდონი**, 21 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თავისი გადადგომის დასასაბუთებლად მოზლიმ თემთა პალატაში მაკდონალდს წაუკითხა წერილი, რომელშიც ითხოვდა გადადგომას იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის კომიტეტმა უარჰყო მისი პროგრამა უმუშევრობასთან ბრძოლისა. მოზლის განცხადებით, მთავრობის კომიტეტის პოზიცია ისეთია, რომ ყოველი წინადადება, რომელიც გულისხმობს ახლანდელი პოლიტიკის შეცვლას, უარყოფილი იქნება, რადგან ფინანსთა მინისტრმა (სნოუდენმა) საჭიროდ სცნო კვლავ ძველი პოლიტიკის განხორციელება.

ამასთან დაკავშირებით, კამათი მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე მეტად მღელვარე ხასიათს ატარებდა.

მოზლიმ თავის ვრცელ სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უმუშევრობასთან აქტიურად ბრძოლის ცდის დამარცხების შემდეგ მისთვის შეუძლებელია ოფიციალურ პოსტზე დარჩენა.

მოზლიმ შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც ჰენდერსონმა დაასაბუთა, როგორც მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი.

მოზლის რეზოლიუცია უარჰყვეს (ადს)

# კადრები ა.-კ. სახალხო მეურნეობისათვის

## საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნა

**მოსკოვი**, 22 მაისი. საკავშირო საგეგმო კომისიის იმ ცენტრალურმა კომისიამ, რომელსაც კადრების საკითხის მოგვარება აქვს დაკისრებული, დაამთავრა კადრების რაიონული ხუთწლიანი გეგმის დამუშავება.

ამიერ-კავკასიაში გათვალისწინებულია მთელ რიგ ახალ საწარმოების შექმნა ჰიდრო-ენერგიისა და სამთო სიმდიდრეთა ყოველმხრივ გამოყენების ბაზაზე. განვითარების პერსპექტივები მეტად დიდია: სათბობი მასალა (ნავთი, ტყვიბულისა და ტყვარჩელის ნახშირი), შავი და ფერადი მეტალურგია (ფერო-მარგანეცის წარმოება, დაშკესანის შავი ლითონები, სპილენძი), ქიმია (ატმოსფერული აზოტის ფიქსაცია, გოგირდ-მჟავას წარმოება, კარბიდ კალციუმი), საამშენებლო მასალები (ტუფი, პემზა, კირი), სატყეო რესურსების გამოყენების ფართოდ გაშლა და, დაბოლოს, დამუშავებელი მრეწველობა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზაზე (ტყავის, საფეიქრო, კონსერვების და სხვ.).

კომისიამ აღნიშნა, რომ ყოველივე ეს სუსტად იყო გათვალისწინებული ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ კადრების მომზადებისა და გამოყენების ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს.

ნავთის მრეწველობის საჭიროება განსაზღვრულია 5000 უმაღლესი კვალიფიკაციისა და 6.872 საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტით. კომისიის დასკვნით, მარტო „აზნეფტისათვის" ა.-კავკ. საგეგმო კომისიამ სპეციალისტების რიცხვი 2500-ით ნაკლები გაითვალისწინა.

ამიერ-კავკასიის სახ. საგეგმო კომისია ინდუსტრიალიზაციის ჯგუფის სპეციალისტების საჭიროებას განსაზღვრავს უმაღლესი კვალიფიკაციის 4,864 და საშუალო კვალიფიკაციის 8.186 სპეციალისტით.

საქ. საგეგმო კომისიამ კი სათანადო ციფრები გაადიდა 5.900-მდე და 10.000-მდე.

სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების და გამოყენების დარგში ამიერ-კავკასიის ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიურ და გეოგრაფიულ პირობების უაღრესმა მრავალფეროვანობამ აიძულა ცენტრალური კომისია განესაზღვრა აგრო-სპეციალისტების ორი ძირითადი ტიპი. პირველი, რომელიც დაბლობებში იმუშავებს, აღჭურვილი უნდა იყოს ცოდნითა და გამოცდილებით უმთავრესად ტეხნიკურ და სუბტროპიკული კულტურების დარგში. მეორე — უნდა დახელოვნდეს მესაქონლეობის, სარძეო მეურნეობის და მემინდვრეობის დარგში. ამ მიზნით საჭირო სამასწავლებლო და უმაღლესი კადრები შეიძლება მიღებულ იქნას უცხოელ სპეციალისტების იმპორტისა და ადგილობრივ სპეციალისტების შვეიცარიაში (გამოცდილების შესაძენად) გაგზავნის გზით. უმაღლესი კვალიფიკაციის იმ 2,321 აგრო-სპეციალისტს, რომლებიც ამჟამად მოიპოება ა.-კავკასიაში, ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის დასკვნით უნდა მოემატოს (ხუთწლედის დამლევისათვის) 8.744, საქ. საგეგმო კომისიის აზრით კი — 9.215 სპეციალისტი.

განსაკუთრებული უთანხმოება საკავშირო საგეგმო კომისიასა და ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას შორის გამოიწვია საშუალო კვალიფიკაციის აგრო-სპეციალისტების საკითხმა. ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისია მათ რაოდენობას განსაზღვრავს 10.187 კაცით, საკავშირო საგეგმო კომისია კი — 30.000 კაცით. საშუალო კვალიფიკაციის აგრო-სპეციალისტების ეს რაოდენობა შესაძლებელია მომზადებულ იქნას თვით ამიერ-კავკასიაში სასკოლო ქსელის გატარების უნარიანობის მაქსიმალურად გადიდებით და აგრეთვე სკოლის გარეშე მომზადების მეთოდებით (სპეცკურსები, გზამზადება და სხვ.).

# გაფიცვა ბრედფორდში

## პოლიცია აძლიერებს აქტივობას

**ბრედფორდი**, 21 მაისი. უკანასკნელ ხანებში პოლიცია საგრძნობლად აძლიერებს აქტივობას, ცდილობს ებრძოლოს გაფიცულთა პიკეტებს და ხელი შეუშალოს რევოლუციონური ლოზუნგებით გამოსვლას. პოლიცია, სხვათა შორის, იწერს პიკეტების მონაწილეთა ვინაობას და მისამართებს. პოლიცია თავს დაესხა მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის ადგილობრივ განყოფილებას, რომელიც ხელმძღვანელობს გაფიცულთა დახმარების საქმეს (ადს).

# როკფელერის პრემია

## საბჭოთა მეცნიერს

**ლენინგრადი**, 22 მაისი. როკფელერის პრემია მიესაჯა ლენინგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ლაპპო-დანილევსკის მისი საფუძვლიანი შრომისათვის დიფერენციალურ განტოლებათა შესახებ. ლაპპო-დანილევსკი 32 წლისაა (ადს).

# სხვადასხვა

● ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატ დეპუტატების ხმებით გერმანიის რეიხსტაგის კომფრაქციამ უარჰყო კომუნისტების წინადადება მუშებისათვის 375.000 ბინის აგების შესახებ.

● ვენაში გაიმართა ინვალიდების დიდი საპროტესტო დემონსტრაცია ინვალიდებისათვის მინიჭებულ მთელ რიგ შეღავათების გაუქმების გამო.

● დრამაში (საბერძნეთი) ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს გაფიცულ მემაღაროებს. გაფიცულებმა სროლითვე უპასუხეს. ბევრია დაჭრილი.

● ინგლისის თემთა პალატამ უარჰყო კონსერვატორების რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა ბიუჯეტის უარყოფას.

● საქსონიის ლანდტაგმა 50 ხმით 46 წინააღმდეგ მიიღო კომფრაქციის წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ლანდტაგი დაითხოვეს.

● უმუშევარ მოჯამაგირეთა რიცხვი პოლონეთში 300.000-მდე აღწევს.

● 1-დან 18 მაისამდე ავსტრიის კომპარტიაში შევიდა 800 მუშა. მათი უმრავლესობა ყოფ. სოციალ-დემოკრატებია.

# დიდი ხანძარი თბილისში

გუშინ, ღამის 12 ნახევარ საათზე ცეცხლი გაუჩნდა საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის შენობას (თივის მოედანი, ყოფ. ბახჩიევის ქარვასლა). წინასწარი ცნობებით ცეცხლი პირველად გაუჩნდა შენობის დასავლეთ ნაწილს და ელვის სისწრაფით მოედო მთელს შენობას, რომელშიაც მოთავსებული იყო: სახვაჭრობის მაღაზია და საწყობი, მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა, მუშკოოპის თევზის სავაჭრო, სასადილო, ღვინის და კონიაკის საწყობი, პურის საცხობი და სხვ.

ცეცხლი იმდენად სწრაფად ვითარდებოდა, რომ სახანძრო რაზმმა ვერ მოასწრო გადაერჩინა შენობაში მოთავსებული რომელიმე სავაჭრო, ან საწყობი. ხანძრის ჩასაქრობათ გამოწვეულ იქნა თბილისის ყველა სახანძრო რაზმები და წითელი არმიის ნაწილები. ხანძარს ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. ხანძრისაგან გამოწვეული ზარალი დიდია. დილის სამ საათისათვის ხანძარი ჯერ კიდევ არ იყო ჩაქრობილი. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით გამოურკვეველია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

მიიღება ხელისმოწერა
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ივნისისათვის

მთ. კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81

# თბილისის მეორე საოლქო პარტკონფერენცია

## როგორ იზრდებოდა

### თბილისის საოლქო პარტორგანიზაცია

საერთოდ პარტორგანიზაციის ზრდისა და მისი სოციალური შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ საქ. კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტისა და რაიკომების ყურადღების ცენტრში იდგა. პარტორგანიზაციის ზრდა მიმდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა შესრულების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციაში პარტიის წევრების რიცხვის ზრდასთან ერთად მუშების ხვედრითი წონა საგრძნობლად გაიზარდა. მაგ. 1929 წლის პირველ აპრილისათვის ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო პარტიის 12.004 წევრი; აქედან მუშები შეადგენდნენ — 69,2 პროცენტს, დაზგის მუშები კი — 51,8 პროცენტს; 1930 წლის პირველ აპრილისათვის ორგანიზაციაში იყო — 13.667 კომუნისტი; აქედან მუშები შეადგენდნენ — 71,7 პროცენტს, დაზგის მუშები კი — 53,7 პროცენტს.

ამრიგად მუშათა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 2,5 პროცენტით, დაზგის მუშების რიცხვი კი — 1,9 პროცენტით.

ორგანიზაციის ზრდა ცალკე კვარტალების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: 1929 წლის პირველ კვარტალში (იანვარი, თებერვალი, მარტი) პარტიის რიგებში მიღებულ იქნა მუშები — 479 კაცი (97,2 პროც.), გლეხები — 5 (1 პროც.) და მოსამსახურეები—9 (1,8 პროც.); მეორე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) მიღებულ იქნა — მუშები — 177 კაცი, (88,5 პროც.), გლეხები — 7 (3,5 პროც.) მოსამსახურეები — 15 (7,5 პროც.) და სხვები — 1 (0,5 პროც.); მესამე კვარტალში (ივლისი, აგვისტო სექტემბერი) მიღებულ იქნა — მუშა — 68 (95,8 პროც.), მოსამსახურეები — 2 (2,9 პროც.) და სხვა — 1 (1,3 პროც.); მეოთხე კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) ორგანიზაციაში მიღებულ იქნა მუშები — 456 (95,2 პროც.), გლეხები — 13 (2,7 პროც.), და მოსამსახურეები — 10 (2,1 პროც.).

1930 წლის პირველ კვარტალში (იანვარი, თებერვალი, მარტი) პარტიის რიგებში მიღებულ იქნა — მუშები — 1153 (97,6 პროც.), გლეხები — 2 (0,2 პროც.), მოსამსახურეები— 23 (2 პროც.) და სხვა — 2 (0,2 პროც.)

მოყვანილი ციფრები მოწმობენ მუშათა პროცენტის ზრდას ახლად მიღებულთა შორის. საერთოდ ც. კ.-ის დირექტივა დაზგის მუშების პარტიაში მიღების შესახებ შესრულებულია.

1930 წლის პირველ კვარტალში მუშათა კლასში მომხდარ დიდ გარდატეხასთან დაკავშირებით, საგრძნობლად გაიზარდა მუშების ლტოლვა პარტიაში. პირველ კვარტალში პარტიაში მიღებულ იქნა 1.132 დაზგის მუშა, 76 პროცენტს კვალიფიციური მუშები შეადგენენ; 63,4 პროცენტს 5 წელზე მეტი საწარმოო სტაჟი აქვს.

1929 წლის პირველ აპრილიდან — 1930 წლის პირველ აპრილამდე პარტიაში მიღებულ იქნა 17 სპეციალისტი.

სოფლის ორგანიზაციებში შემდეგი სურათი გვაქვს: 1929 წლის პირველ აპრილისათვის პარტიის წევრი და კანდიდატი იყო 1561 კაცი; აქედან მუშა — 366 (23,4 პროცენტი), გლეხი — 932 (59,7 პროც.) და მოსამსახურე — 363 (16,9 პროც.).

1930 წლის პირველ აპრილისათვის კი პარტიაში იყო 2.044 კაცი, აქედან მუშა — 711 (34,9 პროც.), გლეხი — 1084 (53 პროც.) და მოსამსახურე — 249 (12,2 პროც.); 1929 წლის პირველ აპრილისათვის პარტიის წევრი იყო — 62 (4 პროც.) მოჯამაგირე, ხოლო 1930 წლის პირველ აპრილისათვის — 176 (6 პროც.) მოჯამაგირე.

1930 წლის პირველ აპრილისათვის თბილისის ოლქის პარტორგანიზაციაში (ქალაქის და სოფლის ერთად) გაერთიანებული იყო 15.711 პარტიის წევრი და კანდიდატი; აქედან მუშები — 10.517 (66,9 პროც.), გლეხები — 1931 (12,3 პროც.), მოსამსახურეები და სხვები — 3.263 (20,8 პროც.).

კომკავშირელების მიღება პარტიაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად ნორმალურად მიმდინარეობდა.

ქალების მიღება პარტიაში საანგარიშო პერიოდში ძლიერ შემცირდა; მაგალითად, თუ 1929 წლის მეორე კვარტალში პარტიაში ქალები მიღებულ იქნა 18,9 პროცენტი, მესამე კვარტალში კი — მიღებულ იქნა 10,8 პროცენტი და მეოთხე კვარტალში — 5,3 პროცენტი. 1930 წლის პირველ კვარტალში ქალები პარტიაში ადგილობრივ ორგანიზაციებს სრულიად არ მიუღიათ.

## პარტწმენდის შედეგები

პარტიის რიგების წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულ იქნა ქალაქში დამაკმაყოფილებლად, სოფლად კი სუსტად. სოფლის უჯრედებმა ვერ შესძლეს უპარტიო მასების ყურადღების მობილიზაცია პარტწმენდის წარმატებით ჩატარებისათვის.

წმენდამ საბჭოთა და სოფლის უჯრედებში გამოამჟღავნა დაჯგუფება, კინკლაობა, პროტექციონიზმი, უცხო ელემენტების დაფარვა, სუსტად ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, საქმისადმი ფორმალური მოპყრობა, დაწინაურებულთა დევნა, თვითკრიტიკის ჩახშობა, შრომის დისციპლინის სისუსტე, უყაირათობა, ზოგიერთი კომუნისტის გადაგვარება და უცხო ელემენტებთან კავშირი, წილის ყიდვა - გაყიდვა, კლასიური ხაზის უხეშად დამახინჯება და სხვა.

საწარმოო უჯრედებში გამომჟღავნებულ იქნა პარტიის წევრების პოლიტიკური მოუმზადებლობა, პასიურობა და პარტდისციპლინის ხშირად დარღვევა.

პარტწმენდის პერიოდში ორგანიზაციაში ირიცხებოდა სულ 13.566 წევრი და კანდიდატი; ამათგან წმენდა გაიარა 12.502 კომუნისტმა; აქედან შემმოწმებელ კომისიებმა პარტიიდან გამორიცხეს 1.856 კაცი. მათ შორის ქალები — 86 (8,2 პროც.).

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ პარტიის რიგებში აღადგინა 542 კომუნისტი, მათ შორის კომპარტიის წევრი — 417 კაცი. კანდიდატი 126 და 21 ქალი.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა პარტიიდან გამორიცხა: მუშები— 8,2 პროც., გლეხები — 20.2 პროც. და მოსამსახურეები — 6,5 პროცენტი.

პარტიული სტაჟის მიხედვით გამორიცხულთა დიდი პროცენტი (57,1) მოდის კომპარტიის კანდიდატებზე, რომლებიც პარტიაში შევიდნენ 1923 წლამდე.

სულ თბილისის საოლქო ორგანიზაციაში (სოფლისა და ქალაქის ჩათვლით) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მიერ გამორიცხულთა სოციალური შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა: გამორიცხულია — მუშები — 9,5 პროც., გლეხები — 16,9 პროც., მოსამსახურეები და სხვები — 10,3 პროც.

წმენდის შემდეგ თბილისის საოლქო პარტორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა გაუმჯობესდა. მაგ., თუ წმენდის მომენტში ორგანიზაციაში მუშათა პროცენტი 64,1 შეადგენდა, წმენდის შემდეგ მუშები 64,9 პროცენტს შეადგენენ.

## ქალაქის რაიკომის პლენუმი

21 მაისს, შესდგა ქალ. რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა რაიკომის პრეზიდიუმში გამოყო შემდეგი ამხანაგები: **ლომიძე, მეტონიძე, რთველაძე, მზარეულიშვილი, გელაშვილი, მკრტიჩიანი, ალავერდოვი, პატარაია, ბარამიძე, ხიხაშვილი, ნიკიტინი, პროკოპი, ჯაბადარი, მეტკო, მდივანი, ხეჩანოვი და ხარუხანოვა.**

კანდიდატებათ ამხ. **გიგოშვილი, პოპოვი, ლავრენტიევი, შელია, მიხელხონი და ოსტაევა.**

პლენუმმა ქალ. რაიკომის პ-მგ. მდივნათ ერთხმად აირჩია ამხ. **ლუკა ლომიძე**, მოადგილეთ არჩეულ იქნა ამხ. **ვ. მეტონიძე.**

პლენუმმა საკონფლიქტო კომისიაში გამოჰყო შემდეგი ამხანაგები: **მკრტიჩიანი, ტარხანოვი, შენგელია, გულივერდაშვილი, შავიშვილი, მარკოვინი, ვაშაძე, არუთინოვა და სირაძე.**

მიმღებ კომისიაში: **მეტონიძე, ალავერდოვი, იტრიევი, პოპოვი, ლებანიძე, პეტროსიანი, სამოილოვი, ჯიქია, სოლომშვილი და ოსიპაშვილი.**

## პარტიული კონფერენციები

### ქუთაისი

**ქუთაისი**, 22 მაისი. გუშინ დილით შესდგა საოლქო პარტკონფერენციის მეორე სხდომა. კონფერენციამ მოისმინა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გაგრძელება საქართველოს კომპარტიის მორიგ ამოცანებზე.

კონფერენციის საღამოს სხდომა გაიხსნა მისალმებების მოსმენით. კონფერენციას მისალმენ ხაშურის რაიონის კოლმეურნეები, რკინის გზის კვანძის მუშები და რიონჰესის უპარტიო ინჟინრების წარმომადგენლები. რიონჰესის ინჟინერ - ტექნიკოსების სახელით კონფერენციის მიესალმა სანაძე და ჭანტურია. რიონჰესის 16 ინჟინერმა კოლექტიური განცხადება შეიტანეს პარტიაში მიღების შესახებ. განცხადებაში სხვათა შორის ნათქვამია:

**„ჩვენ, რიონჰესის უპარტიო ინჟინრებსა და ტექნიკოსებს გვსურს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ პარტიის გენერალური ხაზის შესრულებისათვის ბრძოლაში და ვიძლევით პირობას მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალღონე სოციალისტურ მშენებლობის საქმეს. ამასთან ერთად მოვუწოდებთ ყველა ინჟინრებსა და ტექნიკოსებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს“.**

განცხადებას ხელს აწერენ: **სანაძე, ბურკმანი, გიორგაძე, ამირბეკოვი; ჩეპურინი; ეფრემოვი, ხუციევი, ანტოხინი, მაკარევიჩი, მერაბაშვილი, დვალი, სალალოვი, კალინატოვი, მახარაძე, კუჭაიშვილი და ბეჟიაშვილი.**

კონფერენციის სახელით ინჟინრებსა და ტექნიკოსებს საპასუხო სიტყვით მიმართა ამხ. დარახველიძემ, რის შემდეგ გაიხსნა კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების ირგვლივ.

### სენაკი

**ახალსენაკი**, 21 მაისი. დაიხურა სამაზრო პარტკონფერენცია, რომელიც ჩატარდა თვით კრიტიკის ლოზუნგის ფართოდ გაშლის ნიშან ქვეშ. სამაზრო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტის ახალი შემადგენლობა: სამაზრო კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. ვ. ჩაკვეტაძე (ადს).

### ზუგდიდი

**ზუგდიდი**, 21 მაისი. (ადს). ზუგდიდის მაზრის პარტკონფერენციამ მოისმინა ამხ. ყვანიას მოხსენება სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ და კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივნის ამხ. ჭანტურიას თანამოხსენება კომკავშირის სამაზრო კომიტეტის საქმიანობაზე.

გაზაფხულის თესვის კამპანია,—სთქვა ამხ. ყვანიამ,—მაზრაში 25 მაისს დამთავრდება. მაზრის მშრომელ მოსახლეობაში სათანადო ახსნა-განმარტება ჩატარდა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად. გლეხთა ფართო მასებს გაეცნათ საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება კოლმეურნეებისათვის შეღავათების შესახებ. მაზრის მასშტაბით კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მშრომელი მოსახლეობის 16 პროცენტი.

სამაზრო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 45 ამხანაგმა. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში სამაზრო კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში მეორე გვერდზე „ქალაქის რაიონის პარტკონფერენციის“ შესახებ წერილში, ქვესათაურში სწერია—„პარტგანათლებისადმი ყურადღება უნდა აღმოიფხვრას“, უნდა იყოს „პარტგანათლებისადმი უყურადღებობა უნდა აღმოიფხვრას“.

## საბჭოთა კავშირის მრეწველობა

### სოციალისტური რეკონსტრუქციის სამსახურში

„მსხვილი სოციალისტური მრეწველობის შექმნა, რომელიც სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველია და რომელსაც შეუძლია გარდაქმნას სოფლის მეურნეობა, გაამაგროს პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის თავდაცვის უნარი და გაანთავისუფლოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა კაპიტალისტურ ქვეყნებზე დამოკიდებულებისაგან, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას სოციალისტური საზოგადოების წარმატებით აგების საქმეში“. — ასე განსაზღვრავენ მრეწველობის როლს „იზვესტია“-ს დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მოწონებული თეზისები ამხ. კუიბიშევის მოხსენებისა, პარტიის მე-16 ყრილობისათვის.

**როგორ შესრულდა ეს ამოცანები ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ? რა გააკეთა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა იმისათვის, რომ გაეშალა და განემტკიცებია მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის?**

საკმაოა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ცენზიანი მრეწველობის წარმოების სიდიდე ორჯერ გადააჭარბებს ომის წინადროინდელ დონეს. ეს მოგვცემს წარმოდგენას იმ უდიდეს წარმატებებზე, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა სახელმწიფო მრეწველობამ ამ ბოლო დროს.

ჩვენი მსხვილი მრეწველობა, რომელიც გაანადგურა იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა და რომელიც ჯერ კიდევ ამ რამოდენიმე წლის წინად უმოქმედოდ იდგა ნედლეულის, სათბობი მასალის უქონლობის და საჭირო კადრების უყოლობის გამო, ამ უკანასკნელ წლებში აღორძინების გზას დაადგა; იგი სწრაფად სწევს აღდგენის ამოცანას და იქცევა გადამწყვეტ ძალად ჩვენი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და მისი სოციალისტურ საფუძვლებზე რეკონსტრუქციის საქმეში.

საკმაოა შევეხოთ ხუთწლიანი გეგმების შესრულების ორ-სამ ციფრს და სერიოზულად, მოფიქრებულად მივუდგეთ მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების ანალიზს, რომ გავიგოთ ის ზომბერაზული გაქანება, რომელიც მიიღო ჩვენმა მსხვილმა ინდუსტრიამ, რომ ნათლად შევიგნოთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეგმიან საფუძველს, რომელმაც ასეთი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ამ უკანასკნელი დროის სამრეწველო ზრდის ტემპებში.

თეზისები ჯამს უკეთებენ სამრეწველო მიღწევებს და აღნიშნავენ, რომ მარტო ორი წლის განმავლობაში (1928-29 და 1929-30) დაგეგმილი სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია იზრდება 65 პროცენტით, ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი 47,5 პროცენტის ნაცვლად. საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის საერთო პროდუქცია იზრდება 88 პროცენტით, ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი 53,4 პროცენტის ნაცვლად.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ პარტიის მიერ მიღებული მრეწველობის განვითარების ტემპები უეჭველად რეალურია. ლაპარაკიც არ ღირს მენშევიკ ემიგრანტებისა და მემარჯვენე უკლონისტ პანიკიორების მიერ ყბადაღებულ მტკიცებაზე, ვითომცა ჩვენი მრეწველობის განვითარება ინფლაციასთან შეკრულებული ტემპებით მიმდინარეობს. პირიქით, ციფრები და ფაქტები მოწმობენ, რომ „მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში: ქვანახშირის, ნავთის, სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საერთო მანქანათმშენებლობის, საშენებლო მასალის მრეწველობაში, როგორც აღნიშნულია თეზისებში, საბჭოების მეხუთე ყრილობის მიერ მიღებული ხუთწლიანი გეგმის დავალება პირველ სამ წელიწადში შესრულდება“.

სავსებით თვალსაჩინოა, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობის ზრდის ტემპები გაუგონარი სისწრაფით აქცევენ საბჭოთა კავშირს ჩამორჩენილი ქვეყნიდან, აგრარული ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, მსხვილი ინდუსტრიის ქვეყნად.

„ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა, როგორც აღნიშნულია თეზისებში, რომ საბჭოთა კავშირი ქვანახშირის მსოფლიო წარმოებაში მეხუთე ადგილიდან მეოთხეზე გადავიდოდა 1932-33 წელს. ნამდვილად კი ამ ადგილს საბჭოთა კავშირი უკვე მომავალ წელს დაიჭერს. თუჯის წარმოებაში საბჭოთა კავშირს მეოთხე ადგილი უნდა დაეჭირა 1932-33 წელს. ნამდვილად კი, შავი მეტალურგიის ტემპების დაჩქარებასთან დაკავშირებით, ეს ადგილი დაპყრობილი იქნება 1931-32 წელს“.

ასეთია ჩვენი ზრდის ტემპები, ასეთია განვითარების დასახული ტემპები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარება სრულიად დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს, რომ ჩვენ შეგვიძლია, რაღაც „სოციალისტური თვითმიმდინარეობის“ იმედით ყოფნით, რომ ჩვენი მძიმე ინდუსტრიის დარგში პარტიის, მუშათა კლასისა და მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე არ დგანან უდიდესი პრობლემები, რომლებიც ძალთა უაღრესად დაძაბვას მოითხოვენ.

ინტერვენცია, რომელსაც სისტემატიურად ამზადებს მსოფლიო იმპერიალიზმი და რომელიც ოდნავ დაფარულია პაციფისტური ლაყბობით და ის უდიდესი ღონისძიებანი, რომლებსაც მიმართავენ მსოფლიო ფინანსიური კაპიტალის ყველაზე რეაქციონური, დეტერდინგისთანა შუბლმაგარი წარმომადგენლები, — ყოველივე ეს მოითხოვს იმას, რომ ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა მრეწველობა მუდამ ფხიზლად იყოს; მეტიც, მან უნდა უკუაგდოს კაპიტალისტური შარა გზის ამ „რაინდების“ ყოველგვარი ყაჩაღური იერიშები.

გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, აღნიშნავს იმ პირობების საერთო სირთულეს, რომლებშიაც ვითარდება ჩვენი ინდუსტრია. სიძნელეებით დამფრთხალი მემარჯვენე უკლონისტები სცდილობენ გეზი აიღონ ვიწრო ადგილების მიხედვით და კაპიტულაცია მოახდინონ კულაკობისა და კაპიტალისტური ელემენტების წინაშე ჩვენი ქვეყნის შიგნით. ყველა ეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ კლასობრივი მტრის ზეგავლენას, რაც მიმართულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ, მოითხოვენ გადამჭრელ ბრძოლას იმ ოპორტუნისტული ცდების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ პარტიას ლენინური ხაზიდან გადაახვევინონ.

აი ამიტომ სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ ხაზგასმით თეზისები იმას, რომ „მხოლოდ მემარჯვენე ოპორტუნისტებთან შეურიგებელი ბრძოლით შეეძლო პარტიას მიეღწია — და მან მიაღწია კიდეც — უდიდეს შედეგებს ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში. სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განვაგრძობთ ამ ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან და მასთან შემარიგებლობასთან, როგორც მთავარ საშიშროებასთან პარტიაში“.

ამავე დროს გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ როგორც ტროცკიზმის ნაშთებს, ისე ყოველგვარ გადახრას და ზეინდუსტრიალური ტიპის „მემარცხენე“ ნახტომებს.

ჩვენი ინდუსტრიის გაშლის მთელი განვლილი პერიოდი ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე ნათლად ამტკიცებს, რომ კურსი, რომელიც ჩვენ ავიღეთ ქვეყნის სწრაფ ინდუსტრიალიზაციისაკენ, სწორად რჩება, რომ მემარჯვენე უკლონისტების და ზეინდუსტრიალიზატორების ცდები სავსებით დამარცხებულია.

ის ამოცანები, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნენ ჯერ კიდევ პარტიის მე-14 ყრილობის მიერ, შემდეგში უფრო სისწორით ჩამოყალიბდნენ მე-15 ყრილობის დადგენილებებში საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობისა და, პირველ რიგში, მრეწველობის ისეთი დარგების განვითარების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების იარაღის და საშუალებათა დამზადების განვითარებას. ეს ამოცანები ამ ჟამად განსაკუთრებული სიცხადით დგანან ჩვენს წინაშე.

ჩვენ უნდა გადავლახოთ დაბრკოლებანი ჩვენი მრეწველობის განვითარებაში, ანგარიში გაუწიოთ იმ ახალ უდიდეს მოთხოვნილებებს, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში გაიზარდნენ, განსაკუთრებით სოფელთან საწარმოო კავშირის დამყარების დარგში; ამავე დროს ნათლად უნდა გავითვალისწინოთ მრეწველობის შემდგომი განვითარების ის ახალი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტის გარეშეც შეუძლებელია ჩვენი სახალხო მეურნეობის სიძნელეთა და დაბრკოლებათა სწორად გადალახვა. ერთ-ერთ ასეთ დაბრკოლებას მრეწველობის და სახალხო მეურნეობის განვითარებაში წარმოადგენს ენერგეტიული ბაზა.

აი რატომ უნდა უზრუნველვყოთ სათბობის მრეწველობის განვითარების ისეთი ტემპები, რომელთა დროსაც უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი შეუფერხებელი განვითარება აჩქარებული ტემპებით.

კოლექტივიზაციის ფართო განვითარებასთან დაკავშირებით ახალი დიდი ამოცანები წამოჭრილი მრეწველობის წინაშე ტრაქტორთა მშენებლობის, სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ავტომშენებლობის და ქიმიური მრეწველობის დარგებში. ახალი ამოცანები სდგანან მრეწველობის წინაშე ტრანსპორტისათვის სამსახურის გაწევის დარგშიაც.

დასასრულ, წლითი წლობით გადიდებული რაოდენობა კაპიტალური დაბანდებისა მრეწველობაში და სახალხო მეურნეობაში მოითხოვს საშენებლო მასალის წარმოების უდიდესი ტემპებით განვითარებას.

ყველა ზემოაღნიშნული ამოცანები ამტკიცებენ, რომ საჭიროა ძლიერი განვითარება მანქანათმშენებლობისა, განსაკუთრებით დაზგათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობის, ქვაბებისა და ტურბინების მშენებლობის, დიზელმშენებლობის და მძიმე მანქანათმშენებლობისა. ისინი, თავის მხრით, მთელი სიმწვავით სვამენ საკითხს შავი და ფერადი ლითონის შემდგომი გაძლიერებული მოპოვების, მეტალურგიის ახალი გიგანტების გაშლის და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ახალი რაიონების (ურალი, ციმბირი, კაზაკსტანი) სწრაფი ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

ჩვენი ინდუსტრიის სწრაფი ზრდა მარტო რიცხვობრივ მხარესთან არ არის დაკავშირებული, — იგი მოითხოვს ყურადღების უდიდეს შემოკრებას ხარისხის ირგვლივ. თვითღირებულების შემცირება, შრომის უკეთესი ორგანიზაცია, ნაყოფიერების ზრდა იმ აუცილებელი პირობით, რომ სახალხო შემოსავალში გაიზარდოს მუშის წილი და გაუმჯობესდეს მუშათა კლასის მატერიალურ - კულტურული მდგომარეობა, — ყოველივე ეს მოითხოვს მრეწველობის შემდგომ ხარისხობრივ გაუმჯობესებას, ყოველივე ეს უნდა გამოითქვას ყრილობის სათანადო წინადადებებში. განსაკუთრებით დიდი და რთული ამოცანები იმყოფება მრეწველობის წინაშე კადრების მომზადების საქმეში.

ახალი სოციალისტური ფორმების განვითარება ჩვენს მრეწველობაში, შეჯიბრებისა და დამკვრელობის განსაკუთრებული როლი აუცილებელ საფუძველს იძლევა მთელი რიგი დეფექტების აღმოსაფხვრელად, იგი ხელს უწყობს ჩვენი მრეწველობის გადაყვანას უფრო მაღალ საფეხურზე და უზრუნველყოფს მის წარმმართველ როლის განმტკიცებას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

**„იზვესტია“, 21 მაისი.**

# თეზისების განხილვა მე-XVI პარტყრილობისათვის

## პროფკავშირების ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში

### (თეზისები ამხ. შვერნიკის მოხსენებისა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XVI ყრილობაზე, მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1930 წლის 20 მაისს)

### I. პროფკავშირები ახალ ეტაპზე

პროლეტარულ სახელმწიფოში პროფკავშირების როლისა და მნიშვნელობის ლენინური განსაზღვრა მოცემულია პარტიის მე-10, მე-11 და მე-14 ყრილობების დადგენილებებში, რომლებმაც განსაზღვრეს პროფკავშირების მორიგი ამოცანები, პროლეტარული დიქტატურის მოთხოვნებთან შეფარდებით, ამა თუ იმ პერიოდში. სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი რეკონსტრუქტიული პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია სოციალიზმის შეტევასთან კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე, იმით განსხვავდება წინა პერიოდებისაგან, რომ იგი აყენებს პროლეტარიატის მასიური ორგანიზაციების და, განსაკუთრებით, პროფკავშირების, როგორც ყველაზე უფრო მასიური ორგანიზაციების, მუშაობის გადაჭრით გარდაქმნას. რეკონსტრუქციის პერიოდმა უდიდესად გააფართოვა სოციალიზმის ეკონომიური ბაზა და გაავრცელა იგი სოფელზე — სოფლის მეურნეობის წარმოების კოლექტიური ფორმებით. ამან შექმნა პირობები პარტიის გადასვლისათვის კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ამან გააძლიერა პროლეტარულ სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლი ჩვენი ქვეყნის მთელ სახალხო სამეურნეო ცხოვრებაში. ამან გაადიდა გეგმიანი ხელმძღვანელობის მნიშვნელობა და გაშალა ეს ხელმძღვანელობა მთელი სახალხო მეურნეობის ჩარჩოებამდე. სოციალისტური შეტევა, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრასთან, აუცილებლად იწვევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას (კულაკობის წინააღმდეგობა, მავნებლობა). ამავე დროს იზრდება პროლეტარიატის ფართო მასების აქტივობა და კლასობრივი შეგნება.

პარტიაში მასიურად შესვლა მოწმობს მუშათა უფართოესი მასების ნდობას თავიანთი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის მიმართ. სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მძლავრი მოძრაობა, რომელიც მოედო მრავალ მილიონ მუშებს ქარხნებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უკვე გადაიქცა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ბერკეტად. მაგრდებიან კომუნისტური შრომის ჩანასახები — დამკვრელი ბრიგადები და სხვ., — იზრდება მუშათა მასების მოძრაობა კულტურისა და ტექნიკური ცოდნის შეთვისებისათვის. წარმოების მუშების მიერ საწარმოო მუშაობის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობის უფრო და უფრო ხშირად შესრულება (შეფობა სახელმწიფო დაწესებულებებზე, ბრიგადები, მოხალისეობა) იქცევა სერიოზულ ფაქტორად სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან ბრძოლაში. გაშლილი სოციალისტური შეტევა მოითხოვს მრავალი ათასი მოწინავე პროლეტარის უფრო აქტიურ და უშუალო მონაწილეობას ხელმძღვანელობაში სამეურნეო მშენებლობის მიმართ და მუშათა კლასის მილიონიანი მასების და ღარიბ და საშუალო კოლმეურნე გლეხთა მასების ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობისათვის. ისევე, როგორც ოქტომბრის რევოლიუციის პირველ პერიოდში და სამოქალაქო ომის დროს პროფკავშირთა მოწინავე რიგები ლენინური პარტიის დროშით მიდიოდნენ ბრძოლაში ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად და მოწინავე რევოლიუციონურ პოზიციებზე მიჰყავდათ პროფკავშირთა წევრების მთელი მასა, ეხლაც დამკვრელი ბრიგადები და დამკვრელი მუშები — ეს შრომის გმირები — წარმოადგენენ იმ მოწინავე რიგებს, რომლებზედაც დაყრდნობით პარტიამ და პროფკავშირებმა მუშათა მთელი მასა უნდა ჩააბან ბრძოლაში მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, მრეწველობის რეკონსტრუქციისათვის და კაპიტალიზმის ფესვების მთლიანად აღმოფხვრისათვის. პროფკავშირებს, როგორც ყველაზე ფართო მასიურ პროლეტარულ ორგანიზაციებს, პირველ რიგში ეკისრებათ ის ამოცანა, რომ დარაზმონ და შეაკავშირონ მუშები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების ირგვლივ, ხოლო სოციალისტური საზოგადოების შექმნა და განმტკიცება შეიძლება მხოლოდ მრავალი მილიონი მშრომელის ღონისძიებებით. პროფკავშირები აუცილებელი მახლობელი თანამშრომლები უნდა იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელსაც მთელ პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში ხელმძღვანელობს მუშათა კლასის შეგნებული ავანგარდი — კომუნისტური პარტია.

„პროფკავშირები, საერთოდ, უნდა წარმოადგენდნენ კომუნიზმის სკოლას, ხოლო, კერძოდ, სოციალისტური მრეწველობის (შემდეგ კი თანდათანობით მიწათმოქმედებისაც) მართვა-გამგეობის სკოლას ყველა მუშებისათვის და შემდეგ ყველა მშრომელთათვისაც“. ლენინის ეს მითითება, რომელიც ჩამოყალიბებულია პარტიის მე-11 ყრილობის რეზოლიუციაში, გადაჭრით უნდა აღინიშნოს სწორედ ეხლა, სოციალისტური შეტევის წარმატებასთან, სახალხო მეურნეობის სოციალისტური ფორმების ზრდასთან და მუშათა მასების აქტივობის და შეგნების გადიდებასთან დაკავშირებით. ყოველივე ეს სახეს უცვლის პროფკავშირთა ამოცანებს და მოითხოვს უფრო აქტიურ უშუალო მონაწილეობას სამეურნეო მშენებლობაში და პირის მიბრუნებას წარმოებისაკენ.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია პროლეტარულ სახელმწიფოში ხდება მუშათა მატერიალური მდგომარეობისა და მთელი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად. ამიტომ პროფკავშირთა მუშაობა მუშათა მატერიალური დონის ამაღლებისათვის არა თუ არა მცირდება, არამედ იზრდება კიდეც, იგი თანდათან უფრო უნდა განხორციელდეს პროფკავშირთა უშუალო მონაწილეობით მართვა - გამგეობისა და გეგმიანი მოწესრიგების ორგანოებში ამ ორგანოების ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან, მუშების საჭიროებისადმი უყურადღებოდ მოპყრობასთან ბრძოლის საშუალებით. პროფკავშირები უნდა ებრძოდნენ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებებს, ათასობით და ათი ათასობით უნდა აწინაურებდნენ და სწრთვნიდნენ ახალ მოწინავე პროლეტარებს, როგორც სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორებს. ამასთან ერთად თავიანთი მუშაობა მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მათ მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ საწარმოო ამოცანებს, უნდა აუხსნან მუშათა უფართოეს მასებს, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა წარმოადგენს ერთად-ერთ სწორ გზას მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის ძირითად გაუმჯობესებისათვის.

პარტიის მე-11 და მე-14 ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე პროფკავშირებმა აღდგენის პერიოდში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს თავიანთ მუშაობაში; ეს წარმატებებია: ინდივიდუალურ ნებაყოფლობით წევრობაზე გადასვლა, სერიოზული ნაბიჯები პროლეტარული დემოკრატიის გაშლის საქმეში, პროფკავშირების მონაწილეობა მეურნეობის აღდგენის პროცესში, მასების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში და სხვა.

ამავე დროს პროფკავშირებში ფეხის მოკიდებას იწყებენ ტრედიუნიონისტური და ოპორტუნისტული ელემენტები. სწორედ ამიტომ პროფკავშირული ორგანიზაციები რეკონსტრუქციის პერიოდში ვერ აღმოჩნდნენ იმ ახალი ამოცანების სიმაღლეზე, რომლებიც მათ პარტიამ დაუსახა. საკავშირო პროფსაბჭოს ძველი შემადგენლობის ოპორტუნისტულმა ხელმძღვანელმა ჯგუფმა არა თუ ვერ გამოიჩინა იმის უნარი, რომ გაეგო პროლეტარული დიქტატურის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში და პროფმოძრაობის აქედან გამომდინარე ამოცანები, არამედ წინააღმდეგობაც კი გაუწია პარტიას იმ დეფექტების აღმოფხვრაში, რომლებმაც მკაფიოდ იჩინეს თავი სოციალისტური შეტევის გაშლის მომენტში. საკავშირო პროფსაბჭოს ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა ამახინჯებდა პარტიის ხაზს პროფკავშირებში, ხოლო პროფესიონალური მოძრაობის ყველა ძირითად საკითხებში ახალ ეტაპზე იგი ანტილენინურ მემარჯვენე უკლონისტურ პოზიციას დაადგა. საკავშირო პროფსაბჭოს ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა გამოხატავდა ტრედიუნიონისტურ ტენდენციებს და ფაქტიურად ახორციელებდა კურსს პროფმოძრაობის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებისაკენ, ახორციელებდა უაღრესად საშიშარ ანტილენინურ ხაზს — პროფკავშირების პარტიისათვის დაპირისპირების ხაზს. ეს პოზიცია სავსებით სწორად, ლენინურად დაგმო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პროფმოძრაობის კომუნისტ მუშაკთა უდიდესმა უმრავლესობამ, რომელნიც უფრო მჭიდროდ დაირაზმა ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ (პროფკავშირთა მე-8 ყრილობის, საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის, კავშირების ცენტრ. კომიტეტების პლენუმების და ადგილობრივ საკავშირო ორგანოების ფრაქციების და სხვ.).

პროფკავშირებმა, პარტიის ხელმძღვანელობით, გამოსცვალეს გაკოტრებული ხელმძღვანელები და გაშალეს გადამჭრელი ბრძოლა ტრედიუნიონიზმისა და ოპორტუნიზმის ელემენტებთან პროფმოძრაობაში. მე-16 ყრილობა საჭიროდ სთვლის გაგრძელდეს ენერგიული ბრძოლა ტრედიუნიონიზმისა და ოპორტუნიზმის ელემენტებთან და ამავე დროს უკუგდებულ იქნან ანარქოსინდიკალისტური და ნახევრად ტროცკისტული გადახრები. ეს ბრძოლა არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, რამდენადაც „სწორედ პროფკავშირებში“ აუცილებელია „შედარებითი სიმტკიცე ყველა პოლიტიკური გავლენებისა, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალიზმის ნაშთების და წვრილი წარმოების ზედნაშენს“ (მე-11 ყრილობის რეზოლიუციიდან).

### II. პირით წარმოებისაკენ

1. პარტიის მე-16 ყრილობა გადაჭრით აღნიშნავს, რომ გადამწყვეტ ძირითად რგოლს პროფკავშირთა მთელი მუშაობის გაცხოველებისა და გაუმჯობესებისათვის და წარმოების მართვა - გამგეობის საქმეში მუშათა ფართო მასების ჩაბმისათვის წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება და მისი ფორმები — დამკვრელობა, როგორც პროლეტარიატის უდიდესი მოძრაობა. მხოლოდ ეხლა ხორციელდება ლენინის დიადი იდეა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

„სოციალიზმი არა თუ არ ახშობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ იგი გამოყენებულ იქნას მართლაც ფართოდ, მართლაც მასიური მასშტაბით, მშრომელთა მართლაც უმრავლესობა გამოყვანილ იქნას ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც ამ მშრომელებს შეეძლებათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი და გამოამჟღავნონ თავიანთი ნიჭი, რომელიც ხალხში დაუშრეტელია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა და ახშობდა. ეხლა, როდესაც ხელისუფლების სათავეში სდგას სოციალისტური მთავრობა, ჩვენი ამოცანაა — მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება“ (ლენინი). სწორედ ამიტომ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელი ბრიგადები უნდა გადაიქცნენ პროფკავშირთა მთელი საწარმოო მუშაობის საფუძვლად საწარმოებსა და საამქროებში.

ამავე დროს ჯერ კიდევ მრავალ შემთხვევაში სოციალისტური შეჯიბრების მიმართ გულგრილობას, ბიუროკრატიზმსა და უმოძრაობას იჩენენ როგორც პროფორგანოები, ისე სამეურნეო ორგანოები, რომლებმაც საკმაოდ ვერ შეაფასეს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში. პროფკავშირების ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მოწყობა და განმტკიცება და მასების მობილიზაცია ყველა და ყოველგვარი ბიუროკრატების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობენ დააქვეითონ და ჩაახშონ სოციალისტური შეჯიბრება, იმათ წინააღმდეგ, ვინც შლის სოციალისტურ შეჯიბრებას და, დასასრულ, წვრილბურჟუაზიულ განწყობილებათა წინააღმდეგ „მუშათა იმ ფენებში, რომლებიც თავგამოდებით იცავენ კაპიტალიზმის ტრადიციებს და ჩვეულებებს და ისევ ძველებურად უყურებენ საბჭოთა სახელმწიფოს: რაც შეიძლება ნაკლებად იმუშაონ „მისთვის“ და რაც შეიძლება მეტი ფული წაგლიჯონ „მას“ (ლენინი). პროფკავშირებმა უნდა მოაწყონ ამხანაგური სასამართლოები საუკეთესო დამკვრელებისაგან ზეგავლენის მოსახდენად იმ პირებზე, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას და შლიან სოციალისტურ შეჯიბრებას. პროფკავშირების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მუშათა უფართოესი მასების შეგნებაში იმის დამკვიდრება, „რომ მუშები მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავიანთ საკუთარ სახელმწიფოსათვის, თავიანთი საკუთარი კლასისათვის —შეგნება უდიდეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში“. (სტალინი).

2. სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელი მოძრაობის გაშლა მოითხოვს საწარმოო თათბირების ძირიანად გარდაქმნას. წარმოების მართვა-გამგეობის საქმეში მუშების ჩაბმის პირველადი უჯრედი უნდა იყოს დამკვრელი ბრიგადა, დამკვრელები საწარმოო თათბირების ხერხემლად უნდა გადაიქცნენ. ყრილობა ფიქრობს, რომ საწარმოო თათბირები საამქროებში და ცალკე საწარმოო დარგებში პირველ რიგში უნდა ეყრდნობოდნენ დამკვრელ ბრიგადებს. ეს არა თუ არ ჰკმარობს, არამედ გულისხმობს საწარმოო თათბირებში იმ მუშების ჩაბმას, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესულან დამკვრელ ბრიგადებში. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია შემდეგშიაც გაფართოვდეს იმის პრაქტიკა, რომ საერთო საქარხნო საწარმოო თათბირების თავმჯდომარენი მსხვილ საწარმოებში დაწინაურებულ იქნან დირექტორების თანაშემწეებად. დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობა უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს საწარმოო თათბირების ორგანიულ მუშაობას, სოციალისტურ შეჯიბრებას და დამკვრელ მოძრაობას. დროებითი საკონტროლო კომისიები პირველ რიგში დამკვრელებისაგან უნდა იქმნებოდნენ.

3. სახალხო მეურნეობაში გეგმიანი ხელმძღვანელობის მნიშვნელობის თანდათანი ზრდა, რაც ხანგრძლივი პერიოდისათვის განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ელემენტების ურთიერთ შეფარდებას, მშენებლობის ტემპებს და მუშათა მატერიალურ მდგომარეობას, პროფკავშირებისაგან მოითხოვს აქტიურ და ენერგიულ მონაწილეობას სამეურნეო გეგმების შედგენაში. ამასთან საჭიროა გადაჭრით მოიღოს ბოლო სამეურნეო გეგმის შედგენაში პროფკავშირების მონაწილეობისადმი ფორმალურ - ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, როგორც თვით პროფკავშირების მხრივ, ისე სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოების მხრივ. სამეურნეო გეგმის შედგენისას პროფკავშირებს უნდა შეჰქონდეთ კონკრეტული წინადადებანი, როგორც მრეწველობის ცალკე დარგების გეგმების, ისე მთელი გეგმის განხილვის საქმეში, ეს წინადადებანი უნდა ემყარებოდნენ მუშათა მასებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების შენიშვნებსა და მითითებებს.

4. პროფკავშირთა საწარმოო მუშაობაში გამოსავალ წერტილად უნდა დავისახოთ ამოცანა — „გაძლიერებულ იქნას, საკავშირო კომპარტიის (ბ) პროგრამის თანახმად, პროფესიონალური კავშირების როლი და მონაწილეობა მრეწველობის მართვა - გამგეობის საქმეში“ (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დონბასის ქვანახშირის მრეწველობის ამოცანების შესახებ). პროფკავშირებმა არ უნდა დაუშვან პროფორგანოების ჩარევა საწარმოების ადმინისტრაციის ოპერატიულ მუშაობაში და ამავე დროს უნდა აწარმოონ ბრძოლა ერთმმართველობის არასწორ და ბიუროკრატიულ გამოყენებასთან და მის დამახინჯებასთან სამეურნეო მუშაკების მხრივ, რაც სპობს მუშათა მასების ინიციატივასა და თვითმოქმედებას. პროფორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს ქარხნების დირექტორების თანამდებობებზე საამქროების უფროსებისა და მათი თანაშემწეების დაწინაურება, აგრეთვე ოსტატების, ათის-თავებისა და საუკეთესო მუშების და ტექნიკური პერსონალის პირების, განსაკუთრებით დამკვრელების, დაწინაურება. ამავე დროს პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მასიური მუშაობის ამოცანას მუშა ხელის მომზადებისათვის საფაბრიკო-საქარხნო სკოლების გაფართოებით, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად წყაროს მოზარდებისაგან კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად, მასიურ პროფესიათა სკოლების მოწყობით, აგრეთვე მომზადების მოკლევადიანი ფორმების გამოყენებით (შრომის ცენტრალური ინსტიტუტი, მოკლევადიანი კურსები, საბრიგადო შეგირდობა და სხვ.). ახალ სპეციალისტთა მომზადებაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად პროფკავშირების წინაშე სდგას ამოცანა — კლასობრივ - პროლეტარულად აღზარდონ სპეციალისტთა არსებული კადრები, როგორც ძველი სპეციალისტები, ისე განსაკუთრებით პროლეტარული წრიდამ გამოსული ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნიკოსები, და შექმნან საჭირო ამხანაგური ატმოსფერა ინჟინერ - ტექნიკოსთა კადრების მუშაობისათვის.

### III. პროფკავშირები და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია

რეკონსტრუქციის პერიოდი მოითხოვს პროფკავშირების მონაწილეობის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. ტრედიუნიონიზმმა პროფკავშირების მუშაობაში, სხვათა შორის, თავი იჩინა იმით, რომ სათანადოდ არ იქნა შეფასებული პროლეტარიატის როლი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. ეს არა სწორი გეზი დაკავშირებული იყო მემარჯვენე უკლონისტების მთელ პოზიციასთან. მე-16 პარტიული ყრილობა გადაჭრით სვამს პროფკავშირების წინაშე ამოცანას—დარაზმონ მუშათა მასები და, უწინარეს ყოვლისა, სოფელთან დაკავშირებული მუშები პრაქტიკულ დახმარების გასაწევად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარების საქმეში. ყრილობა იწონებს 25 ათასი პროლეტარის საკოლმეურნეო მშენებლობაში გაგზავნას და საჭიროდ სთვლის, რომ პროფკავშირებმა გულდასმით მოამზადონ და გამოჰყონ პროლეტართა ახალი ათასები, როგორც კოლმეურნეობათა მშენებლობის ორგანიზატორი—ხელმძღვანელები. ყრილობა აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო მუშების, განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობების მუშების, როლის უფრო და უფრო ზრდას სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში, და წინადადებას აძლევს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს—სისტემატიურად განამტკიცონ ეს კავშირი, რისთვისაც მოწინავე სამრეწველო საწარმოების გამოცდილება სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში (სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელი ბრიგადები) გადაიტანონ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში. პროფკავშირებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი მოჯამაგირეთა ორგანიზაციულად დარაზმვას და პროლეტარიატის გავლენისა და კავშირის გაძლიერებას სოფლის კოლმეურნეთა მასებთან (შეფობა, მუშათა ბრიგადები).

### IV. მუშათა მატერიალური მდგომარეობისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესება

1. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის რიცხვის სწრაფ ზრდას (მარტო ს. მ. უ. საბჭოს მიერ გაერთიანებულ მრეწველობაში მუშათა რიცხვი 6 თვის განმავლობაში 250 ათასი კაცით გადიდდა) და უმუშევრობის სწრაფად შემცირებას (უმუშევართა რიცხვი ნახევარ წელიწადში 40 პროცენტით შემცირდა)—ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სწრაფ ტემპთან დაკავშირებით.

ყრილობა აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელ ზრდას. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მუშათა შრომის ხელფასი 79 პროცენტზე მეტით გაიზარდა, მან მიაღწია რეალური ხელფასის ომის წინადროინდელი დონის 139 პროცენტს, ხოლო მოგების იმ სოციალური დაზღვევის ანარიცხებთან ერთად, რომლებიც მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში შედის—ომის წინადროინდელი დონის 167 პროცენტს.

ა) ყრილობა აღნიშნავს სოცდაზღვევის მუშაობის უდიდეს მნიშვნელობას; სოცდაზღვევის ბიუჯეტმა 1929-30 წელს 1.400 მილიონ მანეთს მიაღწია და სოცდაზღვევა მთლიანად ანაზღაურებს მუშის ხელფასს შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს, უზრუნველჰყოფს დახმარებას უმუშევრობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის დროს და სხვ. ამასთან ყრილობა ფიქრობს, რომ პროფკავშირები გადამწყვეტ ინსტანციას უნდა წარმოადგენდნენ სოცდაზღვევის უდიდესი თანხების რაციონალურად გამოყენების საქმეში და უნდა სცდილობდნენ სისტემატიურად გააუმჯობესონ დაზღვევის სალაროთა მუშაობა, გააფართოონ და გააუმჯობესონ საავადმყოფოები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, დისპანსერები და სხვ. ქსელი.

ბ) მუშათა საბინაო მშენებლობა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა (ამ უკანასკნელ 2 წელს მუშათა საბინაო მშენებლობისათვის 1.330 მილიონი მანეთი გადაიდო), პროფკავშირებისაგან მოითხოვს ბევრად მეტ ყურადღებას, ვიდრე ეს დღემდე იყო. პროფკავშირებმა თვალყური უნდა ადევნონ საბინაო მშენებლობისათვის გადადებული სახსრების სწორად ხარჯვას და მათი გამოყენების ეფექტიურობას (საბინაო მშენებლობის გაიაფება, სტანდარტი და სხვ.).

გ) ყრილობა ფიქრობს, რომ ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ახალი მშენებლობის გეგმებში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს საცხოვრებელი ბინებისა და კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების: სასადილოების, კლუბების, ბაგების, სამრეცხაოების, აბანოების და სხვ. მშენებლობა, პირველ რიგში უმნიშვნელოვანეს საფაბრიკო-საქარხნო რაიონებში, რისთვისაც, გეგმიანი წესით გადადებული თანხების გარდა, გამოყენებულ უნდა იქნას მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი, რომელმაც 1929-30 წელს 220 მილიონ მანეთს მიაღწია (1928-29 წლის 110 მილიონი მანეთის ნაცვლად).

2. მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი გაუმჯობესება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის გათვალისწინებული ტემპების განხორციელებასთან. საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს პროფკავშირების მუშაობა მუშათა მასების სოციალისტური აღზრდის საქმეში; გაწეულ უნდა იქნას იმ იდეის ფართო პროპაგანდა, რომ საბჭოთა ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები, სამადნოები, რკინის გზები და სხვაგვარი გზები წარმოადგენენ სოციალისტური ტიპის საწარმოებს, რომ ისინი მთელი ხალხის კუთვნილებას შეადგენენ, რომ ამ საწარმოების ზრდასა და აყვავებაზე არის დამოკიდებული მუშათა მასების კეთილდღეობის ზრდა, მუშათა კლასის პოლიტიკური ძლიერების გადიდება, სოციალისტური საზოგადოების წარმატებული მშენებლობა და საბოლოო გამარჯვება მუშათა კლასისა, რომელიც საბჭოთა კავშირში გაბატონებულ კლასს წარმოადგენს.

3. კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს მუშების, პირველ რიგში, ინდუსტრიალური პროლეტარიატის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვასთან ერთად, პროფესიონალურმა კავშირებმა უაღრესად დიდი ყურადღებით უნდა შეისწავლონ ტრესტების, სამეურნეო გაერთიანებებისა და საწარმოების მრეწველობის მდგომარეობა, ამასთან მათ ანგარიში უნდა გაუწიონ სამეურნეო გაერთიანებათა მდგომარეობას და სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებს საერთოდ, რადგან სახალხო მეურნეობა მუშური სახელმწიფოს მეურნეობას წარმოადგენს. კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს პროფკავშირებმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრან ბიუროკრატიზმის ელემენტები სამეურნეო ორგანოების პრაქტიკაში და ვიწრო ამქრული და ტრედიუნიონისტური ტენდენციები პროფესიონალური ორგანოების საქმიანობაში. მთლიანად უნდა შესრულდეს კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც პროფესიონალური კავშირისა და სამეურნეო ორგანოს ორ მხრივ ვალდებულებას წარმოადგენს; უნდა შესრულდეს ხელშეკრულებანი არა მარტო სამეურნეო ორგანიზაციების, არამედ პროფკავშირებში გაერთიანებული მუშების მხრითაც.

4. ყრილობა ფიქრობს, რომ პროფკავშირები ბოლო დრომდე სრულიად არასაკმაო ყურადღებას აქცევდნენ მუშათა მომარაგების საკითხებს, ფასების შემცირებისათვის და კოოპერაციის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. რეალური სამუშაო ხელფასის განუწყვეტელი ზრდის უზრუნველსაყოფად პროფკავშირებმა მუშათა ფართო მასებს აქტიური მონაწილეობა უნდა მიაღებინონ იმ მუშაობაში, რომელსაც სამეურნეო ორგანოები და კოოპერაცია აწარმოებენ სამრეწველო რაიონების ირგვლივ ბოსტნების, სარძევე ფერმების და მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად; უნდა ჩააბან აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაკონტრაქტების საქმეში. პროფკავშირები გადაჭრით უნდა შეეცადონ კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნას, კოოპერატიული ორგანოების იმ აშკარა დეფექტების აღმოფხვრას, რომლებიც გავლენას ახდენენ მუშათა კეთილდღეობაზე, რისთვისაც უნდა გააუმჯობესონ კოოპერაციის აპარატი, განდევნონ იქიდან ბიუროკრატიზმი, დააწინაურონ მუშები და მათი ოჯახის წევრები კოოპერატიული აპარატის ყველა საფეხურზე და დარაზმონ კოოპერაციის მუშაობის ირგვლივ ფართო საზოგადოებრიობა. პროფკავშირებმა უნდა მიაღწიონ სასადილოებისა და ფაბრიკა-სამზარეულოების ქსელის უფრო სწრაფ გაშლას და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებას და გაიაფებას.

5. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაუმჯობესდეს შრომის სახალხო კომისარიატის, სამეურნეო და პროფკავშირების იმ ორგანოების მუშაობა, რომელთაც დავალებული აქვთ შრომის დაცვა საწარმოებში (განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიაში). პროფკავშირები უნდა შეეცადონ, რომ ახალი კაპიტალური მშენებლობის და წარმოების რაციონალიზაციის დროს დაცულ იქნას შრომის დაცვისა და ტექნიკური უშიშროების პირობები.

6. ყრილობა აღნიშნავს, რომ შვიდი საათის სამუშაო დღის და განუწყვეტელი კვირის შემოღება არის მუშათა კლასის უდიდესი პოლიტიკური მონაპოვარი და საჭიროდ სთვლის დამთავრდეს ყველა სამრეწველო და სატრანსპორტო მუშების შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა 1931-32 წელს, ხოლო განუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანა—1930-31 წელს. ყრილობა წინადადებას აძლევს სამეურნეო, პროფკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებს—გადაჭრით გამოასწორონ შვიდი საათის სამუშაო დღეზე და განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებული დეფექტები, გააუმჯობესონ მასებისათვის კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო სამსახურის გაწევის საქმე, მიიღონ ზომები მუშების დასვენების საქმის წესიერად მოგვარებისათვის გამოსასვლელ დღეებში.

7. სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლამ ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს პროფესიონალური კავშირების მუშაობაში. პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო აპარატის წმენდაში კლასობრივად უცხო და გაბიუროკრატებულ ელემენტებისაგან და დააწინაურონ სახელმწიფო აპარატში მრავალი ათასი მუშა, პირველ რიგში საუკეთესო დამკვრელებიდან.

პროფესიონალური კავშირები, რომლებიც გაბატონებული კლასის ორგანიზაციას წარმოადგენენ, საქმით უნდა გადაიქცნენ ძლიერ წყაროდ პროლეტარული კადრების ათასობით დასაწინაურებლად სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებში, მეურნეობისა და სახელმწიფოს მართვის საქმეში უშუალო მონაწილეობის მიღების მიზნით. პროფესიონალური კავშირების მთელი ეს მუშაობა წარმოადგენს აქტიურ დახმარებას ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის და უნდა ტარდებოდეს მასთან მჭიდრო კავშირით.

8. მიუხედავად იმისა, რომ კერძო და საკონცესიო საწარმოების მუშათა რიცხვი უმნიშვნელოა, პროფესიონალურმა კავშირებმა არ უნდა შეასუსტონ თავიანთი ყურადღება ამ მუშების ინტერესების ნამდვილად დაცვისადმი და აქტიურად უნდა უხელმძღვანელონ კერძო საწარმოების მუშათა კლასობრივ ბრძოლას.

### V. კულტურული მუშაობა და მასების პოლიტიკური აღზრდა

1. ჩვენი ქვეყნის ძირითადი სოციალისტური გარდაქმნა მოითხოვს მუშათა მასების კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთ გადამწყვეტ წინასწარ პირობას წარმოადგენს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღება, აგრეთვე სკოლის რეფორმა და პოლიტექნიკური განათლების განხორციელება. სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად პროფესიონალურმა კავშირებმა მოკლე ვადაში უნდა მოახდინონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კავშირის წევრთა შორის, პირველ რიგში ინდუსტრიალურ და სასოფლო-სამეურნეო მუშათა შორის.

2. ყრილობა ფიქრობს, რომ პროფესიონალური კავშირების მთელი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო და კულტურული მუშაობა, პირველ რიგში, მიმართულ უნდა იყოს იქითკენ, რომ განვითარდეს მუშას შორის სოციალისტურად შეგნებული მოპყრობა სოციალისტური წარმოებისადმი. პროფესიონალურმა კავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშათა ახალი კადრების სოციალისტურად აღზრდას; ისინი სისტემატიურად უნდა ებრძოლონ წვრილბურჟუაზიულ განწყობილებას და ცრუ შეხედულებებს და კაპიტალისტურ ძველი ჩვეულებების ყოველგვარ ნაშთებს მუშათა შორის. მათ წესიერად უნდა დააყენონ და გააძლიერონ ანტირელიგიური პროპაგანდა, ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის სხვადასხვა ნაციონალურ ჯგუფთა შორის წარმოებულ მუშაობაში პროფესიონალურმა კავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ მისი ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რაზმების კულტურული დონის აწევას.

3. მე-16 ყრილობა წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და პროფკავშირთა ფრაქციებს—კომუნისტური შინაარსით გამსჭვალონ კავშირების მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, შებრძოლონ იმის ოდნავ ცდასაც კი, რომ ეს მუშაობა მოწყვეტილ იქნას სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს; გადაჭრით აღიკვეთოს მასში აპოლიტიურობის და ვიწრო კულტურული მუშაობის ელემენტები.

### VI. პროფკავშირების საერთაშორისო მუშაობის შესახებ

საბჭოთა პროფკავშირების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასსა და კაპიტალისტური და კოლონიალური ქვეყნების მუშათა კლასს შორის, ორგანიზაციული და პოლიტიკური გამოცდილების მიწოდება პროფინტერნის უფრო სუსტი სექციებისათვის და გადამწყვეტი ბრძოლა იმ მემარჯვენე უკლონისტური შეცდომების წინააღმდეგ, რომლებსაც ძველი ხელმძღვანელობა უშვებდა საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობაში. საბჭოთა პროფესიონალურმა კავშირებმა პროფინტერნისა და მასიური მუშათა დელეგაციების მეშვეობით უფრო და უფრო უნდა განამტკიცონ კავშირი კაპიტალისტური და კოლონიალური ქვეყნების მუშათა კლასთან იმ მიზნით, რომ დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადოს რეფორმიზმს პროფმოძრაობაში (ამსტერდამის გაერთიანება) და გაძლიერდეს მსოფლიო რევოლიუციონური პროფმოძრაობა.

### VII. პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნა

1. ის ამოცანები, რომლებიც დასახულია პროფკავშირების წინაშე რეკონსტრუქციის პერიოდში, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტილ იქნან, თუ ძირიანად გარდაიქმნება პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობა. პროფკავშირების გარდაქმნის ძირითად ბაზას წარმოადგენს დამკვრითი მოძრაობა.

2. პროფკავშირული აპარატი, რომელიც შეიქმნა მრავალი წლის განმავლობაში და რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის მუშათა მასების ორგანიზაციის საქმეში, იმავე დროს ითვისებდა მრავალ უარყოფით ელემენტებს, რომელთა წინააღმდეგ პროფმოძრაობის ძველი ხელმძღვანელობა არ იბრძოდა ბოლშევიკური სიმტკიცით.

აპარატის სუსტმა ჩაბმამ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისმა არა საკმაო კავშირმა მუშათა მასებთან და ზოგჯერ მოწყვეტამაც, მისმა მომწყვდევამ ვიწრო ამქრული ინტერესების ფარგლებში—შექმნეს პირობები მასში აპოლიტიურობის განვითარებისათვის, ხოლო შემდეგ—პროფკავშირთა მე-8 ყრილობის პერიოდში—მიიყვანეს იგი პროფკავშირული აპარატის პარტიისადმი დაპირისპირების ცდებამდე. პროფაპარატის ცალკე საფეხურების ოპორტუნისტული და ბიუროკრატიული გადაგვარების ელემენტებმა მიგვიყვანეს იმ აუცილებლობამდე, რომ სრულიად გადაჭრით დაისვა საკითხი პროფაპარატის წმენდის, მისი საფუძვლიანი გაუმჯობესების და იმის შესახებ, რომ იგი შეგუებული ყოფილიყო მუშათა კლასის უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესრულების საქმესთან. ყრილობა იწონებს პროფაპარატის გაწმენდას უმოქმედო, ბიუროკრატიული და მასებს მოწყვეტილი ელემენტებისაგან, რომელ წმენდასაც, თანახმად საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებისა, აწარმოებს ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია და რასაც თან სდევს მუშაობის ნამდვილი გარდაქმნა. ყრილობა ფიქრობს, რომ პროფაპარატის წმენდა სასურველ შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს, თუ მოხდება წარმოებიდან გამოსული მუშებისა და მუშა-ქალების გაბედული დაწინაურება პროფაპარატში, ყრილობა ვალდებულს ხდის პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს—მოკლევადაში განაახლონ აპარატი, მასში ასი და ათასი დამკვრელის დაწინაურებით. ყრილობა ფიქრობს, რომ, პროფკავშირების მუშაობის ნამდვილ გარდაქმნასთან ერთად, უნდა სწარმოებდეს მუშათა ფართო მასების მონაწილეობა პროფკავშირულ მუშაობაში და მოხალისეთა უფრო გადაჭრით ჩაბმა პროფაპარატის მუშაობაში. პროფკავშირების მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას მათ ქვედა საფეხურებზე, დამკვრელ ბრიგადაზე, ჯგუფზე, ცვლაზე, საამქროზე, საწარმოზე. პროფკავშირული მუშაობის წარმატებით გარდაქმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად ყრილობას მიაჩნია ნამდვილი პროფკავშირული დემოკრატიის უზრუნველყოფა და პროლეტარული თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, რაც წარმოადგენს პროფაპარატის და მისი ხელმძღვანელი კადრების მუშაობის უნარიანობის ძირითად შემოწმების საუკეთესო საშუალებას. თვითკრიტიკა ახლანდელ პროფკავშირებში სუსტად არის გაშლილი და ჯერ კიდევ არ ატარებს კონკრეტულ მამოძრავებელ ხასიათს. პროფკავშირების პროლეტარულმა თვითკრიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს კავშირების მუშაობის გაუმჯობესებას პროფკავშირული კადრების აღზრდის და მათი შეცდომების გამოსწორების საქმეში, პროფკავშირების შებრუნებას პირით წარმოებისაკენ, მათი ყურადღების გაძლიერებას მასების საჭიროებისა და მოთხოვნილებისადმი.

პროფკავშირების ახალი ხელმძღვანელი კადრების დაწინაურებისა და აღზრდის ამოცანა წარმოადგენს პროფკავშირების მუშაობის მთელი გარდაქმნის ერთ-ერთ გადამწყვეტ ამოცანას. ყრილობა წინადადებას აძლევს საკავშირო პროფსაბჭოს მოაგვაროს პროფკადრების მომზადების საქმე, როგორც პროფმოძრაობის ერთ-ერთი გადაუდებელი და საჩქარო ამოცანა. ყრილობა წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს — ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ პროფკავშირებს ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანის შესრულებაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააუმჯობესონ და გააძლიერონ კონკრეტული ხელმძღვანელობა პროფესიონალური ორგანიზაციების მიმართ, ღრმად უნდა ჩაიხედონ პროფკავშირების მუშაობაში, ხელი შეუწყონ მათ თავიანთი ნაკლისა და შეცდომების გამოსწორების მუშაობის პროცესში, იზრუნონ მათი კადრების სისტემატიურ განმტკიცებაზე. ყრილობა იწონებს საკავშირო პროფსაბჭოს ახალ ხელმძღვანელობის ხაზსა და მუშაობას და წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს—აღმოუჩინონ მას ყოველმხრივი დახმარება პროფკავშირთა მუშაობის გადაჭრით გარდაქმნის საქმეში მომენტის ახალ ამოცანებთან და პარტიის მე-16 ყრილობის დადგენილებებთან შეფარდებით.

ყრილობა მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ საბჭოთა პროფმოძრაობა, რომელმაც სოციალისტური რევოლიუციის ყველა საფეხურებზე უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა, ახლანდელ რეკონსტრუქციის პერიოდში ავა სოციალისტური საზოგადოების დიდი მშენებლობის უფრო მეტად აქტიური და გადამწყვეტი ძალის ახალ საფეხურზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

# მასების კონტროლის გზით

## უთავბოლობა ხე-ტყის და შეშის დამზადებაში

(კახეთის ოლქი)

წარსულ წლებში კახეთის ოლქში ხე-ტყის ექსპლოატაციის საქმე ანარქიულ მდგომარეობაში იყო: ტყეს სჭრიდა უსისტემოდ და დაუზოგველად ყველა, ვისაც კი არ ეზარებოდა. მთელი ოლქი მოფენილი იყო სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა „სრულუფლებიან" წარმომადგენლებით, კერძო დამამზადებლებით და სპეკულიანტებით. ამათში აღსანიშნავი არიან ხე-ტყის დიდი „სპეცი" და დამზადების ოპერაციების „მონოპოლისტი" ვინმე გრ. აბაშიძე და მისი დამქაშები—ახრასაძე, სარიშვილი და კომპანია. მათი წყალობით მრავალი ძვირფასი სატყეო მასივი განადგურდა კახეთის ოლქში. ეს ვაჟბატონები ისე მოხერხებულად აჭახრაკებდნენ თავის სატყეო ოპერაციებს, რომ ძირითადი დამამზადებელი ორგანიზაციები მათ კონკურენციას ვერ უწევდნენ. ეს ძლევამოსილი „სპეცები" სწორედ ამას ცდილობდნენ და, სარგებლობდნენ რა ბრტყელ-ბრტყელი მანდატებით, ევლინებოდნენ კახეთს, როგორც წარმოება-დაწესებულებათა ხე-ტყის ოპერაციების მწარმოებელნი.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია კახეთის ხელისუფლებამ და, სათანადო ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით, სრულიად აკრძალულ იქნა ოლქში ხე-ტყის და შეშის კერძო დამამზადებელთა მავნებლური თარეში. ტყის ექსპლოატაციის საქმე გადაეცა ძირითად დამამზადებელ ორგანოებს, და ამ ორ უკანასკნელ წელს ხე-ტყის დამზადების საქმე შედარებით გეგმიანად სწარმოებდა.

მაგრამ ხე-ტყის დამზადების მიმდინარე სეზონში მდგომარეობა მოულოდნელად შეიცვალა:

მიწადმოქმედების კომისარიატის სატყეო მეურნეობის მმართველობამ გასცა განკარგულება, რომ მის ნებადაურთველად სატყეო მეურნეობის ადგილობრივი ორგანოს არ მიეცა არავისთვის ნებართვა ხე-ტყის და შეშის დამზადებისა კახეთის ოლქში. ასეთი განკარგულება თითქოს სასიხარულო უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ტყის ექსპლოატაცია ცენტრალური მმართველობის სისტემით უფრო მეტს გეგმიანობას შეიტანდა ტყის ექსპლოატაციის საქმეში. საჭირო იყო მხოლოდ ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციების გამორკვევა და საექსპლოატაციო ტყეების მასივების შერჩევა. სინამდვილეში კი ადგილი აქვს ისეთს უსისტემობას, რომელიც კვლავ საფრთხის წინაშე აყენებს კახეთის ტყეების ექსპლოატაციის საქმეს და ხელს უწყობს წარსულ წლებში გამეფებულ ანარქიის განახლებას.

ტყეების ექსპლოატაციის საქმე ჩაბარებული აქვს მიწსახკომის სატყეო მეურნეობის განყოფილებას. თავის ოპერატიულ მუშაობას უკანასკნელი აწარმოებს საოლქო განყოფილების საშუალებით. ფაქტიურად ორივე ამ დაწესებულების მოქმედებას ახასიათებს სრული შეუთანხმებლობა,—ტყეების მმართველობა-გამგეობის და ექსპლოატაციის საქმე ოლქში სწარმოებს საოლქო ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. მიწსახკომის სატყეო მეურნეობა თავის მხრივ ცალკე აწარმოებს საექსპლოატაციო ტყეების ნაკვეთების გაცემას, ხოლო მისი საოლქო ორგანო კიდევ ცალკე. რაც მთავარია—სატყეო ნაკვეთები ეძლევა საექსპლოატაციოდ ამა თუ იმ სამეურნეო ორგანიზაციის ნიღაბ ქვეშ ამოფარებულ ძველ და ყველასათვის ცნობილ სატყეო სპეკულიანტებს—აბაშიძეებს, სარიშვილებს და კომპანიას.

ამავე დროს, სატყეო ნაკვეთების გაცემა სწარმოებს სრულიად უგეგმოდ,—ხე-ტყეს და შეშას ამზადებენ წინასწარ განსაზღვრულ საექსპლოატაციო ნაკვეთების გეგმიან განაწილების გარეშე.

ასეთი უსისტემობა ჰქმნის აგრეთვე მავნე კონკურენციას აღნიშნულ დამამზადებელთა შორის. აღსანიშნავია, მაგალითად, „აზლესტრესტ"-ის სრულიად შეუსაბამო მოქმედება: ხე-ტყის მომჭრელებს იგი აძლევს გაცილებით მეტს ფასს, ურიგებს მათ დეფიციტიან საქონელს (მაქარს, მანუფაქტურას და სხვ.) და ხელოვნურად ზრდის ხე-ტყის თვითღირებულებას. მოსაზრება ერთია—როგორმე მეტი რაოდენობით დაამზადოს ხე-ტყე და ამ საქმეში „ჩასვას" დანარჩენი დამამზადებელი ორგანიზაციები.

სხვათა შორის, ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის დადგენილებით, წარსულ წლების მაგალითისამებრ, კახეთის საოლქო აღმასკომის ტრესტი ცნობილია ხე-ტყის და შეშის ძირითად დამამზადებლად. მიუხედავად იმისა, რომ, თანახმად საკავშირო ს.შ.უ.ს. ა.-წ. 29 იანვრის დადგენილების და ამიერ-კავკ. ს.შ.უ.ს. ა.-წ 21 აპრილის № 237 ბრძანებისა, ხე-ტყის და შეშის ბაზრის ერთად-ერთ მომწესრიგებელ ორგანიზაციად ცნობილია საკავშირო „ლესსინდიკატ"-ი, რომლის გეგმითაც კახეთის ტრესტს ევალება განსაზღვრულ რაოდენობის შეშის დამზადება-ჩაბარება,—დღევანდლამდის მიწსახკომის სატყეო მეურნეობა არავითარ ზომებს არ იღებს ზემოხსენებულ დადგენილებათა რეალიზაციისათვის და იგი ხე-ტყის და შეშის დამზადების საქმეში სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს.

ამგვარი არევ-დარევა, ხე-ტყის დამზადების საქმეში, ცხადია, ჰქმნის საბოტაჟს და საფრთხეს უმზადებს რესპუბლიკანურ ბაზრების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხე-ტყით და შეშით.

ტყის ექსპლოატაციის საქმეში ერთხელ და სამუდამოდ შეტანილ უნდა იქნეს მტკიცე გეგმიანობა; უნდა შემუშავდეს გარკვეული სისტემა და იმ ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციების რიცხვი, რომელნიც ამჟამად ასე უდიერად და უსისტემოდ აწარმოებენ კახეთის მდიდარ ტყეების მასივების ექსპლოატაციას, — საგრძნობლად უნდა შემცირდეს.

**შ. ტ.**

## როგორ „იცავენ" წითელარმიელთა ოჯახებს

№ ლეგიონის წითელარმიელ ამხ. საირათიანის (სოფ. ბაკურიანიდან, გორის ოლქი) ცოლი და ბავშვები სახლიდან გამოუგდია მის ძმას. იმის მაგივრად, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას, ბაკურიანის სასოფლო საბჭოს, არსებული კანონების თანახმად, გადამჭრელი ზომები მიეღო, ის კმაყოფილდებოდა შემდეგი მიმართვის გამოგზავნით ლეგიონის მეთაურის სახელზე:

„სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი ამით გაცნობებთ, რომ თქვენი ლეგიონის... წითელი არმიელის საირათიანის მეუღლე და ბავშვები მისმა ძმამ გამოაგდო თავის ოჯახიდან, რის გამოც აღნიშნულის ოჯახობა დარჩენილია უპატრონოთ. ამისათვის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა აღნიშნული წ.-არმიელი გამოშვებულ იქნას მოკლევადიან შვებულებაში თავისი შინაური საქმეების მოსაწესრიგებლად".

სამწუხაროდ, ხელის მოწერა გაურკვეველია, საჭირო კი იყო ასეთი მიმართვის ავტორების საქვეყნოთ გამოტანა. მაგრამ ბაკურიანის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი პასუხისმგებლობას მაინც ვერ გაექცევა. ნუ თუ მან თავისი მოვალეობა შესრულებულად მიიჩნია ზევით მოყვანილი მიმართვის გამოგზავნით?! აშკარაა, რომ ის ან სრულებით არ იცნობს სათანადო კანონმდებლობას, რომელიც წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფას შეეხება, ან, თუ იცნობს, უძლურებას და დაუდევრობას იჩენს მის გატარებაში. არც პირველი, არც მეორე, რა თქმა უნდა, შესაწყნარებელი არ არის.

საერთოდ, მრავალი შემთხვევაა, როცა წითელარმიელთა ოჯახებს ავიწროებენ და არ აძლევენ კანონებით მიკუთვნებულ შეღავათებს და დახმარებას, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს წითელარმიელებში. რაც შეეხება თვით აღნიშნულ ფაქტს, ბაკურიანის სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელებს აუცილებლად პასუხი უნდა მოეთხოვოს, ხოლო თვით დამნაშავე, რომელმაც წითელარმიელის ოჯახი გამოყარა, სასტიკად უნდა დაისაჯოს.

**ა. ლალიძე.**

## პასუხისმგებელ მუშაკის უპასუხისმგებლო მოქმედება

ლეო აკოპოვს ბევრი იცნობს, როგორც პასუხისმგებელ თანამდებობაზე მყოფს, მაგრამ არა პასუხისმგებელს თავის მოქმედებისათვის.

ლ. აკოპოვმა დაახლოვებით ერთი თვის უკან პლეხანოვის გამზირზე გაიარა გაქანებული უნომრო მოტოციკლით. სასტუმრო „ევროპა"-ს მახლობლად გუშაგმა მილიციელმა თვალი მოჰკრა უნომრო მოტოციკლეტით მიმავალ მოქალაქეს, შეაჩერა და სთხოვა მისთვის უცნობს აკოპოვს, რომელიც თვითონ მართავდა მოტოს, რათა წამოსულიყო კომისარიატის სამორიგეო ოთახში სათანადო აქტის შესადგენად, ვინაიდან მან დაარღვია თბ. საბჭოს პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება. ამის გამგონე აკოპოვმა მრავალ-მნიშვნელოვნად დააქნია თავი და უთხრა მილიციელს — ჩაჯექი მანქანაში და წავიდეთო. მილიციელი ჩაუჯდა, მაგრამ „დახელოვნებულმა" შოფერმა მოატრიალა მანქანა და გაიტაცა მილიციელი ჟორესის ქუჩისაკენ საბჭოთა ქუჩის მიმართულებით, რათა ეცემა ბნელ ქუჩაში მისი „შეურაცხმყოფელი" მილიციელისათვის. მილიციელმა მას პირველად თხოვნით მიმართა, რათა დაებრუნებია მანქანა, ვინაიდან კომისარიატის გზა იქით არ იყო, მაგრამ აკოპოვი დაემუქრა — „მე ვარ აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი და ახლავე მოგხსნი სამსახურიდან"-ო. მილიციელმა, რომელიც მოტაცებული იყო სადარაჯოდან, რევოლვერის ამოღებით წარმოადგინა ის სამ-რაიონში. აკოპოვმა მილიციის სამმართველოში მოითხოვა მილიციელი გძელიძის დაპატიმრება. მაგრამ იქ ეს მოთხოვნა არ შეუსრულეს. შემდეგ არც კი იკადრა რაიონის უფროსის მოადგილესთან ლაპარაკი, ისე მივარდა ელიმენთან და გამოიძახა ად-განყოფილების უფროსის მოადგილე მდივნიშვილი, რომელსაც უთხრა — „დიდი ბოროტ-მოქმედება არის მომხდარი თქვენს რაიონში"-ო. მაგრამ ამ დროს შემთხვევით სამმართველოში შემოვიდა ამხ. ხმალაძე, რომელსაც აკოპოვმა გადასცა მომხდარი შემთხვევა. აკოპოვს უმტყუნა ბედმა და ამხ. ხმალაძემ სავსებით გაამართლა მილიციელი, მაგრამ ეს საკმარისია? ნუ თუ აკოპოვმა არ უნდა აგოს პასუხი რევოლუციონური კანონიერების დარღვევისათვის?

აკოპოვის „სამმირო მოქმედება" ამით არ ამოიწურება. კომკავშირის სამ. რაიონმა მიიღო ადგანყოფილებიდან ჯარიმის ფურცელი, რათა გადაეხდევინებინათ მოქ. აკოპოვისათვის ჯარიმა მოძრაობის წესების დარღვევისათვის. ეს დადგენილება აკოპოვს ჩააბარეს, მაგრამ მან ამის მიმტან მილიციელს უწოდა „ჟანდარმი", საჯაროდ შეურაცხყოფა მიაყენა, და თან დაიქადნა, რომ მე ამ ჯარიმას არ გადავიხდიო. მართლაც, სამი დღის შემდეგ მოვიდა ჯარიმის გაუქმების ქაღალდი ადგანყოფილებიდან. აკოპოვის დაჯარიმება მოხდა ადგანყოფილების განკარგულებით, მისი გაუქმებაც მოხდა იგივე ადმინგანის განკარგულებით. ამ განკარგულებათა შესრულების დროს აკოპოვმა ფეხქვეშ გათელა კომკავშირის რაიონის უფროსი თანამშრომელი.

ამ ხანებში იყო მოწვეული ტფილისის მ.-გ. მილიციის უფროს თანამშრომლების თათბირი, სადაც მომხსენებელს, მილიციის ინსპექტორს ამხ. ტაბიძეს რამოდენიმე შეკითხვა მისცეს აკოპოვის მოქმედების ირგვლივ. გამოირკვა, რომ ის თავისი ასეთი გამოსვლებით ცნობილია არა მარტო კომკავშირის სამ. რაიონში, არამედ მთელ თბილისის მილიციის მასშტაბით.

აკოპოვი არის სადარაბო სექციის გამგე, პარიკმახერთა კოლექტივების გამგეობის თავმჯდომარე, თავისი სიტყვით, თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის წევრიცაა. მით უმეტეს უნდა გრძნობდეს ასეთი კაცი პასუხისმგებლობას.

სხვათა შორის, აკოპოვმა, როგორც პარიკმახერების კოლექტივის თავმჯდომარემ, პირველ რიგში მიაღებინა თავისი ცოლი მოლარედ კოლექტივ № 1-ში (პლეხანოვის გამზ. № 97).

დიდი ხანი არაა, რაც აკოპოვი შესახლდა პლეხანოვის ქ. № 113-ში, სამილიციო კომისარიატის შენობაში. სწორედ ამ შესახლების დროს აკოპოვი აღმასკომის მანქანით დღეში ხუთჯერ მოდიოდა და წინადადებას აძლევდა მილიციას, რათა მისთვის სასურველი ოთახიდან გამოესახლებიათ მდგმური ლევინერი, მაგრამ ის ვერ იქნა გამოსახლებული, რისთვისაც აკოპოვმა საჯაროდ, მილიციის კანცელარიაში, უყვირა რაიონის ყოფ. უფროსს, ამხ. კარსანიძეს და გულმოსულმა წამოიძახა შემდეგი სიტყვები „მე ეხლა წავალ სადაც საჭიროა და დედას გიტირებთ"-ო, რის შემდეგ ჩაჯდა აღმასკომის მანქანაში და შურდულივით გაექანა. ამნაირად, აკოპოვმა თავისი პირადი საქმის გასაკეთებლად მოიხმარა, როგორც თანამდებობა, ისე სახაზინო ავტომობილი, და ამნაირად შესძლო მილიციის სახლში შეჭრობა. ამხ. კარსანიძემ ამის შესახებ განცხადებით მიმართა მუშგლეხინს.

აკოპოვი სცხოვრობს კომკავშირის სამ. რაიონის შენობაში. მას ძილს უფრთხობს კომისარიატში მოსული ხალხის ხმაურობა, რაზედაც საკითხი დასვა აღმასკომში. შედეგად ამისა ხშირად ისმის აღმასკომიდან ელიმენით ძახილი — „მოემზადეთ, კომისარიატი უნდა იქნას გადატანილი სხვაგან, მყუდრო ადგილას, ვინაიდან თვალსაჩინო ადგილას კომისარიატის არსებობა შეუძლებელია"-ო. ყველა ამბობს, რომ ეს არის აკოპოვის მუშაობის შედეგი. უკეთესია ვსთქვათ, რომ კომისარიატის გადატანა არა მყუდრო ადგილასაა საჭირო, არამედ მას აშორებენ აკოპოვს, რომ უკანასკნელს მიეცეს ძილის მადა.

ყოველივე ზემოდ აღნიშნულზე ჩვენ მივაქცევთ მ.-გ. ინსპექციის ყურადღებას.

**ლეხანელი.**

## ხელს უშლიან კომკავშირის მუშაობას

(სამტრედია)

ა.ლ.კ.კ. სამტრედიის რაიკომმა დასვა საკითხი, რათა აღმასკომს მიეცა მიწა კომკავშირისათვის, რომელიც სანიმუშოდ დაამუშავებდა მას თავისი ძალებით და მაგალითს მისცემდა უპარტიო მასებს მიწის კოლექტიურად დამუშავებაში. მაგრამ ამაზე აღმასკომმა გადაჭრით უარი განაცხადა: სად შეუძლია ბავშვებს მიწის დამუშავება, მაგათი წასახდენი მიწა მე არა მაქვსო და სხვ.

„აღდგომა" დღის ძველი სტილით, ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით, გადაწყდა მოეწყოთ შაბათობა. შესდგა კომკავშირელთა რაზმი 30 კაცის შემადგენლობით და დაიწყეს მუშაობა. უეცრად თავს დაესხნენ სამტრედიიდან მილიციელები და დაპატიმრებულ იქნენ შაბათობაში მონაწილე კომკავშირელები. მილიციის განცხადებით, განკარგულება აღმასკომის თავმჯდომარისაგან იყო. საქ. კ.პ. (ბ) სამტრედიის კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა ზომები და დაპატიმრებული კომკავშირელები სამი საათის შემდეგ განთავისუფლეს. შაბათობა კი ჩაიშალა. გვიპასუხოს აღმასკომის თავმჯდომარემ, თუ რით გაამართლებს ასეთ მოქმედებას.

სამტრედიის აღმასკომის მხრით კომკავშირის ორგანიზაციის საქმიანობისათვის ხელის შეშლის შემთხვევები ბევრია. განა დასაშვებია ასეთი დამოკიდებულება?

**ქ. ჯ—ძე.**

## გადამჭრელი ზომები მივიღოთ ერთმმართველობის დაუყოვნებლივ გატარებისათვის

### მუშგლეხინის გამოკვლევამ ცხადჰყო ერთმმართველობის განხორციელებისადმი მიუტევებელი უყურადღებობა

### არ კმარა საკითხის მარტო ფორმალურად დამუშავება—საჭიროა ენერგიული პრაქტიკული ზომების მიღება

## გარდატეხა არ მომხდარა

### ფაბრიკა-ქარხნების „სამკუთხედები" ძველი წესით მუშაობენ

მრეწველობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს სწორი ადმინისტრატიულ-ტეხნიკური ხელმძღვანელობა. ეს კი შეუძლებელია იმის გარეშე, თუ ზუსტად არ იქნა განაწილებული სხვადასხვა მდგომარეობის მუშაკთა ფუნქციები როგორც ტრესტში, ისე ქარხანაში, თვითეულ ცეხში და ბრიგადაში. ამით იყო გამოწვეული საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას დადგენილება (1929 წ. 7 აგვისტო), რომელიც წინადადებას აძლევდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს გარდაექმნათ მრეწველობის ადმინისტრატიულ ხელმძღვანელობის საქმე ახალ ამოცანებთან დაკავშირებით და მტკიცედ განეხორციელებიათ ერთმმართველობა.

ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ უკვე ცხრა თვეზე მეტმა განვლო. ეს დრო საკმაოა იმისათვის, რომ პარტიის ასეთი უმნიშვნელოვანესი დირექტივა განხორციელებული ყოფილიყო მრეწველობის უმეტეს ერთეულებში მაინც. ნამდვილად კი უნდა გადაჭრით ითქვას, რომ **საქართველოს მრეწველობაში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ მომხდარა საჭირო გარდატეხა.** ამას ნათლად მოწმობენ ის ფაქტები, რომელიც გამოამჟღავნა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევამ ერთმმართველობის გატარების დარგში. მართალია, გამოკვლევა შეეხო თბილისისა და ბათომის 23 სხვადასხვა საწარმოო ერთეულს, მაგრამ ის, რაც ამ საწარმოთა შემოწმებამ ცხადჰყო, საკმაოდ ნათლად ახასიათებს მდგომარეობას ერთმმართველობის გატარების დარგში.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო კომპარტიის ზემოხსენებული დადგენილება პარტუჯრედების მნიშვნელოვან ნაწილმა განიხილა თავიანთ კრებებზე. გამოყოფილ იქნენ მომხსენებლები, იმართებოდა კამათი, გამოჰქონდათ დადგენილებები და სხვ. ერთი სიტყვით ფორმალურად ცეკას დირექტივის დამუშავების მოვალეობა ბევრგან პირნათლად მოიხადეს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამას იქით უმეტეს შემთხვევაში საქმე არ დაძრულა. ძველი მდგომარეობა, როცა ქარხანაში ძნელი იყო იმის გარკვევა, თუ სად იწყება დირექტორის უფლება-მოვალეობანი და სად თავდება ისინი, ან როგორი იყო პარტუჯრედის და ქარხკომის დანიშნულება და ფუნქციები, ბევრ ადგილას დღემდე ისევ გრძელდება.

არიან ისეთი საწარმოებიც, სადაც ერთმმართველობის გატარებისათვის არა თუ პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამთ, არამედ საკითხიც არ დაუმუშავებიათ ამის შესახებ. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან: **ნავთის სინდიკატი** (ბათომი), „აჭარტყე", ნავთის გამქაჩავი ქარხანა, პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფია, ქარხანა „თემქა" და სხვ...

ამ პირობებში გასაკვირი არ უნდა იყვეს, რომ დღემდე **მუშათა მასების საკმაოდ დიდ რაოდენობას ნათელი წარმოდგენა არა აქვს პარტიის დირექტივაზე ერთმმართველობის გატარების შესახებ.** აქედან გასაგებია ისიც, რომ ბევრგან **ერთმმართველობის პრინციპი დამახინჯებულად აქვთ წარმოდგენილი.** არის შემთხვევები, როცა ერთმმართველობის შემოღებას მუშათა ზოგიერთი ჩამორჩენილი ნაწილი უყურებს როგორც უკან დახევას, ქარხნებში და ფაბრიკებში ძველ „ნაჩალნიკურ" მდგომარეობის დაწესებას. ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები არ ღებულობენ საჭირო ზომებს ასეთი მავნე შეხედულების გასაფანტავად. იქ კი, სადაც ცეკას დირექტივა შესაფერისად იქნა დამუშავებული, მუშ. მასები ერთმმართველობის შემოღებას ერთსულოვნად მიესალმენ და ყოველნაირი დახმარება აღუთქვეს სამეურნეო ორგანიზაციებს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში.

საგულისხმო ის გარემოებაა, რომ ერთმმართველობის განხორციელებას ბევრგან წინ ეღობება „სამკუთხედის" (ადმინისტრაცია, ქარხკომი, პარტუჯრედის ბიურო) სამივე წევრი. ქარხკომისა და პარტუჯრედის მუშაკები ზოგიერთ ადგილებში ერთმმართველობის გატარებას მისჩერებიან ისე, როგორც თავიანთი უფლებების შეკვეცას. თავის მხრივ ადმინისტრაციაც ყოველთვის არ იჩენს საჭირო აქტივობას, რომ ფაქტიურად შეითვისოს და განახორციელოს ის უფლებები, რომელსაც მას ახალი დებულება ანიჭებს. ეს ხდება უმთავრესად იმიტომ, რომ ადმინისტრაციას არ სურს თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობისათვის. ბევრგან ჯერ კიდევ ძლიერია განწყობილება მუშაობის ძველი მეთოდების სასარგებლოდ.

ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს შემთხვევა ბათომის თამბაქოს ქარხანაში. აქ ქარხნის ადმინისტრაცია მოითხოვდა, რომ შტატის შემცირებით დათხოვნილ მუშათა სიის ქვეშ ხელი მოეწერა როგორც დირექტორს, ისე ქარხკომისა და პარტუჯრედის ბიუროსაც. თავისთავად ცხადია, რომ პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების საქმიანობასთან ამ წმინდა ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ მოვალეობას არაფერი საერთო აქვს. ეს უნდა იცოდეს ქარხნის თვითეულ ხელმძღვანელმა, და თუ ის მაინც მოითხოვს ამგვარ განკარგულებებზე ქარხკომისა და უჯრედის ბიუროს დასმას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი დააძვრინოს მისი პირდაპირი მოვალეობისათვის პასუხისმგებლობას.

არანაკლებ საყურადღებოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არის განხორციელებული ერთმმართველობის პრინციპი თვითეულ ქარხნის ფარგლებში, რამდენად დაყვანილია ის ზოლომდე. თუ ამ მხრივ მივუდგებით საკითხს, უნდა ვაღიაროთ, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია. არის იმის მრავალი ფაქტები, რომ ცეხის გამგეები, უფროსი ოსტატები და ბრიგადის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ძველი მეთოდით მუშაობენ. ისინი უმეტეს შემთხვევაში არ იჩენენ საჭირო ადმინისტრატიულ ინიციატივას. ყოველ წვრილმან საქმეზე მიმართავენ დირექტორს და ზოგჯერ კი დირექტორის ნაცვლად პარტიულ უჯრედის მდივნებსა და ქარხკომის წევრებს. იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად უმწეოა ხშირად ადგილობრივი ადმინისტრაცია წვრილმან საკითხების გადაწყვეტაში, ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ დამახასიათებელ ფაქტს.

„აჭარტყის" ცეხის გამგეს სჭირდებოდა სამუშაოსათვის 450 მანეთი. მან ამ თანხის დახარჯვის ნებართვისათვის შუამდგომლობით მიმართა დირექტორს, დირექტორმა თავის მხრივ საკითხი გადაიტანა „აჭარტყის" გამგეობის განსახილველად, „აჭარტყის" გამგემ აგრეთვე თავის მხრივ მიმართა „აჭარმრეწვის" გამგეობას. აქ ქაღალდი გაიყინა. საქმე კი არ ითმენდა. ბოლოს, როგორც იყო, დირექტორმა „გაბედა" და თავისი რისკით დახარჯა 450 მანეთი. აშკარაა, რომ ასეთი მდგომარეობა უდიდეს ზიანს აყენებს მრეწველობის განვითარების საქმეს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა თავის 1929 წლის ოქტომბრის დადგენილებაში, სხვა დავალებათა შორის, დირექტივა მისცა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, შეუქმნან ადმინისტრატიულ ტეხნიკურ პერსონალს პირობები იმისათვის, რომ მას შეეძლოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლება და ტეხნიკურ ცოდნის გაღრმავება. ამ მიზნით საჭირო იყო სათანადო გადასამზადებელ მოკლევადიან კურსების მოწყობა, რაც შესრულებული არაა.

ამასთანავე მეტად აბრკოლებს ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის მუშაობას მისი ზედმეტად დატვირთვა საზოგადოებრივ მოვალეობებით. ძალიან ხშირია შემთხვევები, რომ ადმინისტრატორი იმ საათებში, როცა ის თავის პირდაპირ მოვალეობას უნდა ასრულებდეს, დაბანდებულია სხვადასხვა ორგანიზაციათა და კომისიების კრებებზე. ეს ვნებს არა მარტო წარმოების ინტერესებს, არამედ თვით ადმინისტრატიულ-ტეხნიკური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების საქმესაც. საზოგადოებრივი მუშაობით ზომაზე მეტად დატვირთული სამეურნეო დარგის ადმინისტრატიულ მუშაკები მოკლებულნი არიან საშუალებას თვალყური ადევნონ ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებს და გამოიყენონ ის პრაქტიკულად თავიანთ წარმოებაში.

დასასრულ, არ შეიძლება ერთმმართველობა გაგებულ იქნას ისე, თითქოს ამ დირექტივის განხორციელების შემდეგ პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ ოდნავ მაინც შეასუსტონ ყურადღება წარმოების საკითხებისადმი. პირიქით, ოპერატიულ-ტეხნიკური ფუნქციების მთლიანად ადმინისტრატიულ პერსონალისათვის დავალების შემდეგ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უნდა გააათკეცონ თავიანთი მუშაობა მუშათა მასების აქტიურად დასარაზმავად წარმოების საკითხების ირგვლივ. სამუშაო ამ მხრივ საკმაოზე მეტია. სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა - გაფართოვება, საწარმოო თათბირების საქმიანობის გაცოცხლება, მუშათა გამომგონებლობის წახალისება, დანაკარგების შემცირებისათვის ბრძოლა, ბრძოლა უკეთესი, მეტი და უფრო იაფი პროდუქციისათვის და მრავალი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები ვერ გადაიჭრება პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების ამ საქმეში უცხოველესი მონაწილეობის გარეშე.

ის მდგომარეობა, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს ერთმმართველობის განხორციელების დარგში, მოსათმენი არაა. უნდა მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები ერთმმართველობის სრულად და განუხრელად გატარებისათვის. ყოველი დაკარგული დღე ამ მხრივ მეტად ძვირად უჯდება ჩვენს მრეწველობას. მრეწველობის ადმინისტრატიულ - ტეხნიკური ხელმძღვანელობის გარდაქმნას ახალ საფუძველზე დაყენებით გვიკარნახებენ არა მარტო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დიადი ამოცანები, არამედ პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ახალ ამოცანებთან შეფარდების ჩამოყალიბების აუცილებლობაც. ერთმმართველობის მტკიცედ გატარება გულისხმობს არა მარტო ადმინისტრატიულ მუშაობის გამოსწორებას, არამედ ქარხკომისა და პარტუჯრედების საქმიანობის გაჯანსაღებას. ასეთი და მხოლოდ ასეთია ერთმმართველობის აზრი და დანიშნულება. ეს მტკიცედ უნდა ახსოვდეს ადგილობრივ მუშაკებს და მათ აქედან უნდა გამოიტანონ შესაფერი პრაქტიკული დასკვნა. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია მრეწველობის ადმინისტრატიულ ხელმძღვანელობის, პარტიულ და პროფესიონალური მუშაობის გარდაქმნისათვის სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმდინარე ამოცანებთან შეფარდებით.

## რა გამოარკვია აპარატის წმენდამ

(სამტრედია)

სამტრედიაში საბჭოთა აპარატის წმენდა ჩატარდა სალი თვითკრიტიკის საფუძველზე. წმენდის დროს განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდნენ მსუბუქ კავალერიის წევრები. წმენდამ მრავალი უღირსი მუშაკი გამოააშკარავა.

ფოსტა-ტელეგრაფის გამგეს **რაფიელ ფარცხალაძეს** დაუმტკიცდა, რომ ფოსტის უწყებაში პროტექციით მოაწყო თავისი და, დეიდაშვილი, ძმა, სიძე და მამიდაშვილი; მას აგრეთვე დაუმტკიცდა ქრთამის აღება და თანამშრომლებისადმი უდიერად მოპყრობა, რისთვისაც მოიხსნა თანამდებობიდან მეორე კატეგორიით; ამასთან მასალები მის შესახებ გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

ფოსტა-ტელეგრაფის ზედამხედველს **პეტრე ჯანელიძეს** დაუმტკიცდა ინტრიგანობა, სიმუქიანტობა, ქრთამის მიცემა და კონტრაბანდისტობა, რისთვისაც მოიხსნა თანამდებობიდან მეორე კატეგორიით და მასალების საგამომძიებლო ორგანოებისათვის გადაცემით.

შემდეგ წმენდა გაიარეს კოოპერატივის თანამშრომლებმა. მაღაზია № 3-ის ნოქარ **პორფილე კვანტალიანს**, რომელსაც ბრალად ედებოდა საქონლის ნაცნობებზე გაცემა, მომხმარებლებისადმი უხეში მოპყრობა და სხვ., გამოეცხადა საყვედური. იმავე მაღაზიის ნოქარს და სახელოსნოს გამგეს **მიხეილ კანდელაკს** გამოეცხადა საყვედური მომხმარებლისადმი უხეშ მოპყრობისათვის. კოოპერატივის ლიმონათის ქარხნის გამგე **არშაკ ნაზაროვი** მოიხსნა მესამე კატეგორიით, როგორც ვაჭარი, კულაკი და ამჟამად შავსიელი. რკინეულობის განყოფილების ნოქარი **მიხა რუხაძე**, რომელსაც იგივე ნიშნები ახასიათებდა, მოიხსნა მესამე კატეგორიითვე.

„ზაკტპო"-ს განყოფილების ნოქრებს **მიხეილ შინჯალეიშვილს, სევერიან ჯანელიძეს და მელიტონ ქანთარიას** გამოეცხადა საყვედური მომხმარებლისადმი უხეში მოპყრობისათვის.

კოლმეურნეობათა რაიკავშირის მოლარე **ლიუსია ჩაჩუა**, რომელსაც დაუმტკიცდა გაფლანგვა და სამსახურის ბოროტად გამოყენება, მოიხსნა მესამე კატეგორიით. რაიკავშირის ბუღალტერს **აკაკი ნიკურაძეს** გამოეცხადა საყვედური ბიუროკრატობისა და თანამშრომლების მიმართ უხეშ მოპყრობისათვის. რაიკავშირის საწყობის გამგეს **გრიგოლ გეწაძეს** გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით, მომხმარებლისადმი უხეშად მოპყრობისათვის.

საკრედიტო ამხანაგობის მოლარე — საქმის მწარმოებელ **ალექსანდრე თხილავას** გამოეცხადა საყვედური სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისათვის.

**ვასილ რუსია.**

## ვინ მფარველობს ყოფილ თავადებს

(საჩხერე)

საჩხერე ცნობილია წარსულ ხანებში ყოფ. თავად-აზნაურების—წერეთლების და აბაშიძეების ბუდედ, რომელთაც ადგილობრივი გლეხობა საშინელ მდგომარეობაში ყავდათ ჩაყენებული. ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ყოფილ ადამიანების პარპაშს. კერძოდ 1923 წელს მიწის რეფორმა ხელისუფლებამ დაჯერითი წესით ჩაატარა და, რასაკვირველია, საჩხერელ მემამულეებსაც ჩამოერთვა ნორმის გარეშე ყველა მიწები და გადაეცა მშრომელ გლეხობას.

მაგრამ მუდამ ზარმაცობას და სხვის ექსპლოატაციის დაჩვეული წერეთელი-აბაშიძეები მაინც არ ფიქრობენ თავის ხელით მიწის დამუშავებას და, მიუხედავად ხელისუფლების დადგენილებისა, რომლის ძალით მათ აკრძალული აქვთ მიწის იჯარით გაცემა,—თავიანთ მიწებს გლეხებს ამუშავებინებენ სალალოდ და მათ აიძულებენ, რომ გარჩეული სიმინდი სახლში მიუტანონ.

ამ გარემოებას ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიაქცია დროულად ყურადღება და, არსებული მიწის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად, რომელნიც ითვალისწინებენ არამშრომელებისაგან მიწების ჩამორთმევას, დაადგინა: **პეტრე აბაშიძეს**, როგორც დაქირავებული შრომით მოსარგებლეს, ჩამოერთვას მიწა. ეს დადგენილება 1929 წ. დაადასტურა ყოფ. შორაპნის მაზრის მიწადმოქ. კოლეგიამ და გაუგზავნა მიწსახკომს დასამტკიცებლად, მაგრამ დღემდე პასუხი არ სჩანს. მოქ. აბაშიძე გადასახლებულიც იყო, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა,—არ ვიცით თუ ვისი მეშვეობით.

მეორე მაგალითი: **გიორგი ვარდენის ძე წერეთელს**, რომელსაც საბჭ. ხელის. დამყარებამდე ბრჭყვიალა ეპოლეტები ამშვენებდა და რომლის ტყვიის მსხვერპლი ვინ იცის, რამდენი მშრომელი გამხდარა,—საკუთარი შრომით მიწის დამუშავებაზე არას დროს არ მიუმართავს და მიწები გლეხებზე ჰქონდა გაცემული იჯარით. ამიტომ, ადგილობრივი საბჭოს დადგენილებით, ჩამოერთვა მას მიწები, რომელიც ყოფილ შორაპნის მაზრის მიწადმოქმედების განყოფილების კოლეგიამ დაამტკიცა და საბოლოო დასტურისათვის გადაუგზავნა მიწსახკომს. მიწსახკომიდან მიწადმოქმედების განყოფილება ღებულობს შემდეგი შინაარსის დადგენილებას: **მოქ. გიორგი წერეთელს დაუტოვოს მიწა, როგორც შრომის უნარმოკლებულს.** კითხვა იბადება—წერეთელმა სად დაკარგა შრომის უნარი—პატიოსან შრომაში თუ გლეხობის ცემა-ტყეპაში და მშრომელთა აწიოკებაში. ამაზე პასუხის გაცემა მკითხველისათვის მიგვინდვია. დღეს კი ერთი რამ ფაქტია: წერეთელი არის ხე-ტყეს მოიჯარადრე და ამავე დროს ამუშავებს სოფ. ჭალაში ბარიტს, სადაც დაქირავებული ჰყავს მუშები და მათი ექსპლოატაციით თავის ჯიბეს ისქელებს.

მოვითხოვთ სათანადო ზომების მიღებას, დამნაშავე ყოფ. ადამიანების მფარველების დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მიცემას. ამასთან ადგილობრივ ხელისუფლების დადგენილება ზემოხსენებულ პირებისაგან მიწების ჩამორთმევის შესახებ ძალაში უნდა იქნას დატოვებული.

**ი. ცარციძე.**

## უღირსი მუშაკის დამცველნი

(ჭაგნის თემი, ქუთ. ოლქი)

ჭაგნის 7 წლ. შრ. სკოლაში მსახურობს მასწავლებელი ქალი **ვერა მანჯგალაძე**. მანჯგალაძე, როგორც მასწავლებელი, სრულიად უვარგისია, მაგრამ გან. განყოფილებამ კრიტიკაც ვერ დასძრა მისი მოხსნის შესახებ, ვინაიდან მას ჰყავს მფარველები. გასული წლის სექტემბერში ვერა მანჯგალაძის ქალი გათხოვდა კულაკის ოჯახში, ხოლო იმ განზრახვით, რომ არც სამსახური დაეკარგა და ზაფხულის ჯამაგირიც ჯიბეში ჩაედო, ის მიდის თბილისში თავის ძმასთან ვლადიმერ მანჯგალაძესთან, რომლის საშუალებით და ქუთ. გან. განყ. გამგის თ. ჭუმბურიძის დასტურით ღებულობს ექვსი თვის შვებულებას.

1930 წ. ჭაგნის 7 წლედში იქნა შემცირებული ერთი ჯგუფი, რის მიხედვითაც უნდა მოხსნილიყო სამსახურიდან ვერა მანჯგალაძე. მაგრამ აქ სულ სხვას ვხედავთ. დაბრუნდა თუ არა ის შვებულებიდან, მოხსნილ იქნა სრულიად უდანაშაულოდ ენერგიული მუშაკი ვერა რუხაძის ასული, ისიც ადგილობრივი მცხოვრები. რას გავს ეს? ნუ თუ არავინ იყო, რომ ამ საქმეს გამოხმაურებოდა? ყველანი გაიძახოდნენ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ისე განათლების ინსპექტორი: უნდა მოიხსნას მანჯგალაძე, მაგრამ მასთან ჭიდილი ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენც გვინდა ლუკმა პური ვჭამოთო!. აი ჩვენი ზოგიერთი საბჭ. მუშაკების საქმიანობა. ჭაგნის გლეხობა მოითხოვს ვერა მანჯგალაძის, როგორც გამოუსადეგარ მასწავლებლის, მოხსნას.

**კულაშელი კავალერისტი.**

## შეუცვლელი „სპეცები"

ანუ

### გორის კოოპერატორები ყოფილი ვაჭრების დამცველთა როლში

„კოოპერაცია უნდა გაიწმინდოს უცხო ელემენტებისაგან". ასეთი ლოზუნგი გვესმის თითქმის ყოველ ნაბიჯზე. ეს გასაგებიცაა. თუ ჩვენ ვამბობთ საბჭოთა აპარატის დანაგვიანებაზე უცხო და მავნე ელემენტებით, ეს სხვაზე ნაკლებ არ შეეხება კოოპერაციას. აქ, როგორც ვიცით, ყოფილ ვაჭრებმა ბევრ შემთხვევაში, მოხერხებული თავშესაფარი ჰპოვეს. ბევრ მათგანმა თანვე მოიტანა კოოპერაციაში ვაჭრული ჩვეულებები და შეხედულებანი. ისინი მხოლოდ დროით სარგებლობენ, უფრო საკუთარ ჯიბეზე ზრუნავენ და გულში კოოპერაციის შეურიგებელი სიძულვილს ატარებენ. ასეთ მუშაკთა დაუყოვნებლივ განდევნა კოოპერაციიდან ყველა პატიოსან საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა. განსაკუთრებული სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ ამ მხრივ გამწმენდ კომისიებმა. და ჩვენ გვაქვს იმის მრავალი ფაქტი, როცა გამწმენდ კომისიებს გამოჰყავთ სააშკარაოზე კოოპერაციის ამგვარი მუშაკები.

ასე იყო გორშიაც. გამწმენდ კომისიამ გამოძევა ადგილობრივ კოოპერატივიდან შავსიელები კულაკები და ყოფილი ვაჭრები: **იოსებ ხარაზ-აკოფოვი, კოსტა გაგნიძე და ანდრონიკა თოროზოვი.** ისინი მოხსნილ იქნენ სამუშაოდან პირველი კატეგორიით.

ადგილობრივ კოოპერატივის ხელმძღვანელებს აქედან შესაფერი დასკვნა უნდა გაეკეთებიათ. უნდა მოეძებნათ მათი შემცვლელი პატიოსანი საბჭოთა მუშაკები, ადგილობრივი მუშები ან ღარიბი გლეხები. ნუ თუ ეს შეუძლებელი რამ არის გორის ოლქში? ნუ თუ ისე წყალწაღებულია მთელი ოლქი, რომ იქ კოოპერატივის სამი მუშაკის გამოძებნა არ შეიძლება? იქნება აქაც „ობიექტიური" დაბრკოლებები გვეღობება წინ? გორის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **ნ. პავლიაშვილი** და გამგეობის მდივანი **ნ. ხახანოვი** ასე არ ფიქრობენ. მათი აზრით შეუძლებელია გორის კოოპერატივმა ნორმალურად იმუშაოს, რაკი სამი შეუცვლელი „სპეცი" გამოაკლდა ამ კოოპერატივის მუშაკთა რიგებს. უწყებრივ პატრიოტიზმმა აქაც იჩინა თავი. ამხ. პავლიაშვილს და ხახანოვს არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად გამწმენდი კომისიის დადგენილება. ისინი „აპელაციას" შეუდგნენ: საჭიროთ სცნობენ ყოფილ ვაჭრების უკანვე დაბრუნებას. სხვათა შორის ერთი ამ ვაჭართაგანი, სახელდობრ თოროზოვი, გარდა მის სასახელო წარსული ვაჭრული მოღვაწეობისა ცნობილია იმით, რომ მან გაფლანგა ქართული დივიზიის რამოდენიმე ათასი მანეთი და ამ გმირობისათვის გასამართლებულ იქნა სამხედრო ტრიბუნალის მიერ.

ყველა ეს მოსაზრებანი არაფერია გორის კოოპერატივის გამგეობისათვის. გამგეობამ უკვე გამოაცხო „დასაბუთებული" შუამდგომლობა მუშგლეხინის სახელზე ვაჭრების უკანვე დაბრუნების შესახებ.

**„თანახმად გორის გამწმენდ კომისიის დადგენილებისა, ნათქვამია გამგეობის შუამდგომლობაში, გორის კოოპერატივის თანამშრომლები იოსებ ხარაზ-აკოფოვი, კოსტა გაგნიძე და ანდრონიკა თოროზოვი მოხსნილი არიან პირველ კატეგორიით, როგორც შავსიელები.**

**გაცნობებთ რა ამას, გორის კოოპერატივის გამგეობა გთხოვთ დასტოვოთ თავიანთ თანამდებობაზე აღნიშნული პირნი, როგორც სპეცები და საქმის მცოდნენი. ამჟამად გორის კოოპერატივს არ ყავს მომზადებული ხალხი მათ შესაცვლელად, რისთვისაც მათი დატოვება საქმისათვის სასარგებლოა".**

საკითხავია, ვისთვის უფრო სასარგებლოა სამი ვაჭრის და კულაკის დატოვება კოოპერატივში? რა ფასი აქვს კოოპერატივის საოლქო გაერთიანებას, რომელსაც სამი მუშაკის შეცვლაც არ შეუძლია თავის აპარატში, როცა აშკარაა, რომ ამ სამ მუშაკს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს კოოპერატივის ინტერესებისათვის?

„სპეცობა" ამ შემთხვევაში მოხერხებული საფარია. სპეცი არის და სპეცი. თოროზოვ-გაგნიძე-აკოფოვის მსგავსი „სპეცების" ადგილი არ არის საბჭოთა აპარატში და მით უფრო კოოპერაციაში.

**მცოდნე.**

## უნდა აილაგმონ

(სადგური გორი)

სადგურ გორში არიან „ცნობილი" ძმები—ვარძელაშვილები, რომელნიც მრავალ უმსგავსოებას სჩადიან, მაგრამ დაუსჯელად რჩებიან. რადგან მათ მფარველობს ნ. კუცია. როგორც კი გამოვა ვარძელაშვილების წინააღმდეგ ვინმე, მაშინვე მათ ქომაგად გამოდის ამხ. კუცია და არჩენს. პარტწმენდის დროს, როდესაც მ. ვარძელაშვილს სწმენდნენ, მუშებმა ამხილეს მისი უმსგავსო მოქმედება; აქ გამოჩნდება ამხ. კუცია, (მაშინ გორის თემკომის მდივანი), რომელიც ახასიათებს მ. ვარძელაშვილს, როგორც საუკეთესო მუშაკს და ამტყუნებს იმ მუშებს, ვინც გამოდის მის წინააღმდეგ. მუშები ამის შემდეგ გაჩუმდნენ, თუმცა ისინი მართალნი იყვნენ. მ. ვარძელაშვილი დატოვებულ იქნა პარტიაში, მას მხოლოდ გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

მიშა ვარძელაშვილი არის ყოფ. ახ. მარქსისტი, რომელმაც 1923 წ. სად. გორში წყალის საქაჩაოზე მენშევიკების დროშა დაჰკიდა. შემდეგ შეძვრა პარტიაში. სად. გორის გაერთიანებული ადგილკომის მდივნობის დროს გაფლანგა 648 მან. 32 კაპ. საქმე სასამართლოს ჯერაც არ გაურჩევია. მ. ვარძელაშვილი ინიშნება წითელ ქალაქის თემკომის მდივნად. აქ მან სცემა ახალგაზრდა კომკავშირელს, რისთვისაც მოხსნილ იქნა თანამდებობიდან. ცოტა ხნის შემდეგ ის გორის თემკომის აგიტპროპია. ის იქიდანაც იხსნება და შპალების საჟღენთ ქარხანაში გადადის, საიდანაც ორი თვის შემდეგ ადმინისტრაცია ხსნის მას, როგორც ძველ გამფლანგველს. ამხ. კუციას ის ისევ მიჰყავს თემკომის აგიტპროპად. შემდეგ მ. ვარძელაშვილი ირთავს ცოლად კულაკ და ხმია უფლება აყრილ მახარაშვილის ქალს. რომლისგანაც საკმაო დიდი მზითები მიიღო. ეს საკითხი დაისვა პარტორგანიზაციის საქალაქო კრებაზე და ვარძელაშვილი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან. უჯრედზე დაისვა მისი პარტიიდან გამორიცხვის საკითხი, მაგრამ მას აქაც გამოუჩნდება მფარველი და ორის ხმის უმრავლესობით საკითხი გადაიდო მეორე კრებამდე, საქმის გამოსარკვევად სათანადო კომისიის გამოყოფით. ამ კომისიას არაფერი არ გამოურკვევია, და დღემდე ეს საკითხი არ დაუყენებია. ამის მიზეზი ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. არ გასულა ერთი თვე, რომ მ. ვარძელიშვილი გორის რაიკომის ორგ. განყოფილების გამგედ გახდა, ამხ. კუციასთან. ეს ის კაცი, რომელსაც გუშინ პარტიიდან რიცხავდა უჯრედი.

მეორე ძმა ალექსანდრემ—რკინის გზის კლუბში სცემა კომკავშირელ ამხ. ედიბერაშვილს. გარდა ამისა, ის განთქმულია კერძო სამუშაოების აღებით, უმუშევრების განდევნით დროებითი სამუშაოდან და იმ სამუშაოს ზედმეტ საათებში შესრულებით.

ორთავე ძმას გამოჰქონდათ ამიერ-კავკ. სატრანსპორტო კოოპერატივის მაღაზიიდან დეფიციტური საქონელი და კულაკ სიმამრთან მიჰქონდათ, რაც დადასტურებულია. ვარძელაშვილები განთქმულნი არიან ინტრიგანობით. მაგ., რომ დაებრუნებიათ გორიდან უკან გაძევებული ყოფილი კლუბის გამგე სულთანიშვილი, მათი ნათლი-მამა, მოუწყვეს ინტრიგები რკინის გზის კლუბის გამგეს მუშა ამხ. ჩიტაძეს, მოხსნეს ის და სულთანიშვილი გამგედ დააბრუნეს. ამასთან, ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ქერიაშვილს ისინი აბრალებდნენ სულთანიშვილის მოხსნას, მოუწყვეს იმასაც ინტრიგები და გადააგდეს. ბოლოს ნავთსადენის მუშა ამხ. ლოხლაძე გაისტუმრეს სოფლად სამუშაოდ, არა იმ მიზნით, რომ ის იქ სარგებლობას მოუტანს, არამედ იმიტომ, რომ გაათავისუფლეს ნავთსადენში ერთი მუშის ადგილი და მოაწყვეს იქ თავისი ძმა კოტე, რომელიც აქამდის კავშირის წევრი არ არის. ეს იმ დროს, როცა სადგ. გორში კავშირის წევრი უმუშევრები ბევრია.

ვარძელაშვილების თარეშს და თვითკრიტიკის ჩახშობას ბოლო უნდა მოეღოს.

**ბლი.**

## სასტიკი პასუხი მოვსთხოვოთ დამნაშავეებს

(სტალინის სახელობის ქარხანა)

სტალინის სახელობის ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მუშების სასიკვდილოთ დაშავების სამ შემთხვევას.

პირველი შემთხვევა მოხდა სადურგლო ცეხში. ცეხის ხაზებზე მუშათა ერთი ჯგუფი მიაგორებდა ფიცრებით დატვირთულ ღია ვაგონს. მუშ. ამხ. **ტერიჟანოვი** (ქარხნის ეზოს მუშა) ვაგონს გვერდიდან აწვებოდა, დანარჩენი მუშები კი—უკანიდან. ფიცრები ვაგონზე დამაგრებული არ იყვნენ, რის გამოც ისინი დაიშალნენ, გადმოცვივდნენ ძირს და გასრისეს მუშა ტერიჟანოვი.

მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონდა ვაგონების ასაწონ ხაზზე. მუშებს ხაზზე გადაჰქონდათ ვაგონების გადასაბმელი კავი. მუშებს შორის იყო მუშა **ელამელიანცი.** ხაზზე გადასვლის დროს უკანასკნელს მოუსწრო ვაგონმა. მუშა მოჰყვა მის ქვეშ და გაისრისა.

პირველი შემთხვევა მთლიანად უნდა მიეწეროს ქარხნის ეზოს უფროსის დაუდევრობას. მან არ მიიღო ზომები ვაგონზე ფიცრების დასამაგრებლად და ამან გამოიწვია უბედური შემთხვევა.

მეორე შემთხვევის მიზეზი კი გამოწვეულია გზის ადმინისტრაციის უთავბოლო მუშაობით. საქმე იმაშია, რომ ამიერ-კავკ. რკ. გზის ყოფ. გამგეობამ გზაზე გამოსცა ბრძანება, რომ სამანევრო მუშაობა ეწარმოებიათ უსიგნალოთ. ე. ი. ორთქლმავლებს არ უნდა ეძლიათ გამაფრთხილებელი საყვირი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძანებას მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამანევრო ორთქლმავლებზე სიგნალიზაციის გაუქმება გამოიწვევდა უბედურ შემთხვევებს. მიუხედავად ამისა ბრძანება მაინც გატარდა ცხოვრებაში და სწორედ ამან გამოიწვია ხსენებული შემთხვევა.—ორთქლმავალი დაეჯახა ვაგონს, უკანასკნელი დაგორდა ინერციის ძალით. ამის შესახებ კი მემანქანეს არავინ გაუფრთხილებია.

თანაც ეს შემთხვევა გამოიწვია იმან, რომ დაგორებულ ვაგონს არ ჰქონდა გაკეთებული თავდასაცავი ფარი.,

ორთავე ეს საქმე გადაცემული აქვს გამოსაძიებლად შრომის საქმეთა პროკურორს, დამნაშავეთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისაცემად.

მესამე უბედურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 9 მაისს საქირავე ვაგონების შემკეთებელ ცეხში. იქ სავაგონო და სადურგლო ცეხების შორის ვაგონებს შუა მოჰყვა ვაგონების გადამბმელი მუშა ამხ. **ბედიაშვილი** და გაისრისა. იგი დაიღუპა მოვალეობის შესრულების დროს.

ამ შემთხვევაში მართალია ნაწილობრივ ბრალი თვით მუშა ბედიაშვილს მიუძღოდა, რადგან იგი გაუფრთხილებლად მუშაობდა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ქარხანაში დაცული არ არის შრომის უშიშროების პირობები.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ სტალინის სახელობის ქარხანაში უბედური შემთხვევათა რიცხვი უკანასკნელ ხანებში ძალზე გაიზარდა. ეს უმთავრესად გამოწვეულია ქარხნის სივიწროვით, ხაზების გადატვირთვით და იმით, რომ ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს უშიშროების ტეხნიკურ საკითხებს.

უბედური შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდა თბილისის მაუდის ფაბრიკაში, 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში და ამ უკანასკნელად სტალინის სახელობის ქარხანაში იმას მოწმობენ, რომ ჩვენს წარმოებებში უშიშროების ტეხნიკის საქმე ძალზე მოისუსტებს. ადმინისტრაცია ხშირად გვერდს უხვევს ამ საქმის სათანადოთ მოგვარებას.

ცხადია ამ საკითხის უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელია. უშიშროების ტეხნიკის საკითხების მოგვარება განსაკუთრებით აუცილებლობას წარმოადგენს დღეს, როდესაც ჩვენი წარმოებები მუშა-ხელის სიმცირეს განიცდიან.

ასეთ დაუშვებელ მდგომარეობის გამოსწორებას პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციონ შრომის დაცვის და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა.

**ტონი.**

## ყოფილ მრეწველის თავხედობა

თბილისში, ჭონქაძის ქ. № 9 მდებარე სახლში მცხოვრებ ლ. საყვარელიძის წამება დაიწყო მას შემდეგ, რაც აღნიშნული სახლი იყიდა ჭიათურის შავი ქვის ყოფილმა მრეწველმა ივანე თევზაძემ.

სამრეწველო წყაროების ხელიდან გამოცლამ სიმდიდრის შეძენის მადა თევზაძეს ოდნავადაც ვერ შეურყია. პირიქით, სხვა მრავალ ქონების გარდა, მან მეორე სახლი (ერთი ჭიათურაში აქვს) 1928 წელს იყიდა თბილისში. თევზაძემ იცოდა, რომ 1928 წ. სახლების ჩამორთმევა სწარმოებდა. ამიტომ მან სახლის ნახევარი, მეუღლე თამარის სახელზე დაამტკიცებია, ხოლო მეორე ნახევარი კი ძმის, ექიმ თევზაძის სახელზე.

მოგეხსენებათ, მრეწველის ბუნება ვერ ეგუება ვიწროდ ცხოვრებას. ამ მიზნით, რომ ფართოდ მოწყობილიყო, მან ხელი მიჰყო საერთოდ მდგმურების და **კერძოდ საყვარელიძის შევიწროებას: დაუკეტა „პადიეზდი",** აუკრძალა კარიდორში სიარული, და გალერეით სარგებლობა. აბაზანი, რომლითაც სახლის თევზაძის ხელში ჩავარდნამდე, სარგებლობდა მდგმურები, თევზაძემ მოშალა და შიგ ხელზე მოსამსახურე „გოგო" მოათავსა. მდგმურმა მუშა ბოდაშვილმა, რომლის **ოჯახი 6 სულისაგან შესდგება და რომელიც 14 მეტრიან ოთახში ცხოვრობს,** სთხოვა თევზაძეს, რომ მისთვის დაეთმო გვერდით დაუმთავრებელი ოთახი, რომელშიაც შეშას ინახავს (რომელსაც სარდაფი შეშისა და სხვა ნივთებისათვის მას აქვს), მაგრამ **ბოდაშვილის ცოლს ისეთი დღე დააყენა, რომ ერთ თვეს ლოგინად ჩააგდო.**

საყვარელიძემ, რომელიც უფრო მიზანში ჰყავდა თევზაძეს ამოღებული, განცხადება შეიტანა საბინაო პროკურორთან. პროკურორი გოგიშვილი სასწრაფოდ არკვევს ადგილობრივ მდგომარეობას და წინადადებას აძლევს მილიციას, საყვარელიძის ძველ უფლებებში აღდგენის შესახებ. მაგრამ თევზაძეც ამუშავდა. ის დაჩვეულია კანონის უკუღმა შებრუნებას. ის ნახულობს პროკურორ ა. კალანდაძეს, და უკანასკნელი უწყობს მას საქმეს. საყვარელიძე ისეთივე განცხადებით მიდის პროკურორ კაკაბაძესთან. კაკაბაძე წინადადებას აძლევს მილიციას, რომ საყვარელიძე არ იქნას შევიწროებული თევზაძის მიერ. მაგრამ თევზაძეს არაფერი ეშინია. ის თავს არხეინად გრძნობს, სულ ერთია კედელს ცერცვი შეაყარეთ და თევზაძეს აუკრძალეთ მილიციის საშუალებით მდგმურის შევიწროება. მას სწამს მხოლოდ კალანდაძის ავტორიტეტული სიტყვა, რადგან სჯერა, რომ კალანდაძე დააფასებს მის „პური მარილს".

მოთმინებიდან გამოსული საყვარელიძე პირადათ მიდის პროკურორ კაკაბაძესთან და გოგიშვილთან და სთხოვს, რომ მას, როგორც საბჭოთა მოსამსახურეს, ნუ შეავიწროებს ყოფილი მრეწველი, კერძო სახლის პატრონი. კაკაბაძე და გოგიშვილი, იცვნენ რა დარწმუნებული თევზაძის თვითნებობასა და თავხედობაში, მესამეჯერ სწერენ მილიციას, რომ „დაუყოვნებლივ, ყოველ მიზეზს გარეშე მდგმური საყვარელიძე აღდგენილ იქნას ძველ უფლებებში, ხოლო თუ უკმაყოფილო დარჩება თევზაძე, მიმართოს საბინაო სასამართლოს"-ო.

აქ მკითხველი იფიქრებს ალბათ, რომ საქმეს უკვე მოეღო ბოლო. მაგრამ არა. სამი კატეგორიული განკარგულების შემდეგ, რომ საყვარელიძეს უნდა ესარგებლა ძველ უფლებებით (პადიეზდი, კარიდორი, აბაზანი) 10 მაისს პროკ. კალანდაძე სწერს მილიციას, რომ „საყვარელიძეს აეკრძალოს პადიეზდით სარგებლობა". დასაშვებია ეს?

არავინ იცის, რამდენხანს გაგრძელდება დავა შევიწროებულ საყვარელიძეს და თევზაძეს შორის. რამდენხანს გასტანს სახლის პატრონის ასეთი თავხედობა. ჯერ-ჯერობით კი ცხადია ერთი. შელახა პროკურორების ავტორიტეტი, ერთი პროკურორის განკარგულებას აუქმებს მეორე, მილიცია დაიბნა, აღარ იცის—რომელი განკარგულება მოიყვანოს სისრულეში. იკარგება უქმად დრო, იწერება ქაღალდები, ხოლო თევზაძე, ეს ძველი მრეწველი, კერძო სახლის პატრონი განაგრძობს მდგმურების შევიწროებას.

**ს—ო.**

## ყურადღება ნავთლუღის კეთილმოწყობას

სად. ნავთლუღში და მის რაიონში მრავალი წარმოება - დაწესებულებაა. აქვეა წითელი ჯარის ყაზარმები. დღემდე ასეთი დიდი რაიონისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. კერძოდ აღსანიშნავია, რომ აქ კანალიზაცია, არ არის გაკეთებული. ძველი კანალიზაცია, რომელიც სადგურს აქვს, ბადის იქით ხევში, სადაც გროვდება სიბინძურე და მისი მყრალი სუნი სწამლავს მთელ არე-მარეს. ამას გარდა დაგროვებული სიბინძურე მიედინება მამუკის სოფლისაკენ, სადაც მჭიდროთ დასახლებული მოსახლეობა ამის გამო მძიმე მდგომარეობას განიცდის. ეს ითქმის აგრეთვე იქვე მდგომი წითელი ჯარის ნაწილებზე.

ამ საკითხს თბილისის აღმასკომმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და მიიღოს ზომები კანალიზაციის გასაყვანად.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წელიწად ნახევრის წინად სად. ნავთლუღში, უვარგისობისა და ადგილის შეუფერებლობის გამო, მოხსნეს სადგურის ფეხსადგილი, რომ ასეთი სხვაგან გაეკეთებიათ, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. ამის გარშემო მუშა-მოსამსახურეთ და მათ ორგანიზაციებს არა ერთი და ორი დადგენილება გამოუტანიათ, ჯერ-ჯერობით არავითარი შედეგი არ სჩანს. ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა იქნას მოწესრიგებული, რომ მოესპოთ ანტისანიტარული მდგომარეობა სადგურ ნავთლუღში.

**ელ. ტ—ძე.**

## თავგასული თავმჯდომარე

(მცხეთა)

სოფ. მცხეთის საბჭოს თავმჯდომარედ არის **ვანო ხუბეროვი.** მისი მეოხებით ადგილობრივი საქმეები მთლად აირია. მოვიყვანოთ ზოგიერთი ფაქტი.

მან, ვითომ სოფლის კეთილმოწყობის მიზნით, დაანგრია ბაზარი, რომლის ასაგებად დიდი ფული გაიღო ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მერე დაანგრია სასაკლაო, რომელიც სოფლის თავიდან ბოლოში გადაიტანა. ყოფ. სასაკლაოს ადგილას შეუდგნენ აბანოს აშენებას. ეს საქმე მიენდო ხუბეროვის მამას. ფული ბლომად დაიხარჯა, მაგრამ აბანო ისევ გაუკეთებელი დარჩა. აშკარაა, აქ ადგილი აქვს მფლანგველობას და სხვაგვარ ბოროტმოქმედებასაც. გზის გასაყვანად გლეხობისაგან საგრძნობი თანხა აკრიფეს, მხოლოდ ანგარიშიანობა არ სწარმოებს და არავინ იცის, თუ როგორ და რაზე იხარჯება იგი. ვანო ხუბეროვმა თავისი ზეგავლენით კოოპერატივს მოახვია 600 მანეთად თავისი შენობა, ვითომც როგორც საწყობი. ეს შენობა სრულიად გამოუსადეგარია, ბოსელს უფრო ჰგავს, ვიდრე საწყობს; მის შეკეთებაზე საკმაო ფული დაიხარჯა, მაგრამ არაფერი ეშველა. ამნაირად, გამორჩენის მიზნით საბჭოს თავმჯდომარემ კოოპერატივს დიდი ზარალი მიაყენა. ყოველივე ეს გლეხობაში კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს. მაგრამ ხუბეროვი არაფერს დაგიდევს. მას გლეხობა დაშინებული ჰყავს. ვინც გაბედავს მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას, მუქარით და დაცინვით ხვდება: ვინც „დიდი კაცებია", სულ ჩემი ნაცნობებია და თქვენ რას დამაკლებთო. უხეშად ახშობს თვითკრიტიკას. ამ ნიადაგზე მოხსნა საბჭოს ორი მდივანი, პოლიტგანათლების 2 მუშაკი და სხვ.

ვანო ხუბეროვი ამავე დროს ქეიფის მოყვარულია. ნიშნობა, ქორწილი, ნათლობა, ლხინით თუ ისე, უმისოდ არ შეიძლება.

გასაგებია, რომ ასეთი კაცი კერძო ვაჭრებთანაც იქნება დაკავშირებული. მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვინმე სარქის სურუმოვთან „მეგობრობით". ხუბეროვი სისტემატიურად დადის მის დუქანში და ლოთობს. ამ სურუმოვს გახსნილი აქვს სამიკიტნო გზის პირას და ტყავს აძრობს გამვლელ გლეხებს. მიკიტანს ხუბეროვი ყოველგვარ მფარველობას უწევს და ის კიდეც მოლხინეა. სამაგიეროდ სურუმოვი არ რჩება ვალში და უხვად უმასპინძლდება მას.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ხუბეროვის ყველა „საგმირო საქმეს". საჭიროა მისი „მოღვაწეობის" გამოკვლევა და, საბჭოს თავმჯდომარის მაგიერად, შესაფერ ალაგას გაგზავნა.

**მტირაგვაშვილი.**

## რით დაიმსახურა დაწინაურება

(ტყიბული, ქუთაისის ოლქი)

ტყიბულში მუშკოოპს აქვს გახსნილი საყასბო, რომლის გამგედ მსახურობდა **გიორგი კუბლაშვილი.** ორი თვის წინად ის მოხსნეს სამსახურიდან, რადგან მის დროს საყასბომ რამოდენიმე ათასი მანეთი იზარალა. ან როგორ არ იზარალებდა, როცა კუბლაშვილი დღე-ღამეს ატარებდა სასადილოსა და კერძო სამიკიტნოებში და საყასბოს საქმეებზე თავს არ იტკივებდა. როცა კოოპერატივის გამგეობამ დაყენა კონტროლიორი ხორცის გაყიდვაზე, მუშკოოპმა წაგების მაგივრად რამოდენიმე ასეული მანეთი მოიგო.

კუბლაშვილი ერთი თვე უმუშევარი დაიარებოდა. ამ დროს ჩატარდა აპარატის წმენდა და ის განზე დარჩა, თორემ გაძევებული იქნებოდა, რომ სამსახურში ყოფილიყო. ახლა კი კუბლაშვილი ღვინის სასმელ ადგილზე მოაწყვეს: იგი მუშკოოპის სასადილოს გამგედ დააყენეს, რომ საქეიფოდ შორს არ გაუხდეს წასვლა. რით დაიმსახურა ასეთი დაწინაურება კუბლაშვილმა? ამაზე გვიპასუხოს ტყიბულის მუშკოოპის გამგეობამ.

**კაკალ გულში.**

## გამოძახილი წერილებზე

### ბრალდებები დადასტურდა

გაზ. „კომუნისტი"-ს მიმდინარე წლის 17 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია მოქ. ს. შონიას ბოროტმოქმედებათა შესახებ. კომისიამ, რომელიც გამოყოფილი იყო ამ საქმეზე, ს. შონიას წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები დადასტურებულად სცნო. შონია, მოხსნილია სამსახურიდან.

# საქართველოს ყველა ეროვნებათა მშრომელებს

## ამხანაგებო და მოქალაქენო!

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების დიადი „ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში" შესრულების ამოცანა, — რაც პრაქტიკულად გვაახლოვებს საკითხთან: „დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურ-ტეხნიკურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს"—მთელი თავისი, ასე ვსთქვათ, სიგრძე-სიგანით ეჯახება სპეციალისტთა არა-საკმაო კადრების არსებობის საკითხს.

სოციალისტური განვითარების მაღალი ტემპი მოითხოვს სპეციალისტთა ახალ კადრების მომზადების ამოცანის ამგვარივე ტემპით გადაჭრას.

პროლეტარულ სპეციალისტთა ახალი კადრების ყოველი რაზმი არამც თუ დიდი ძალაა მასების შემოქმედებასთან ერთად ჩვენი ქვეყნის დიადი სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში,—არამედ იმავე დროს ეს ნამდვილი, პირდაპირ, სასიკვდილო დარტყმაა მავნებლობის ორგანიზატორების წინაალმდეგ.

ახალი, პროლეტარული სპეციალისტი მზადდება სოციალისტური მრეწველობისათვის, სოფლის კოლექტიურად გარდაქმნისათვის... ამ კადრების მომზადება საბჭოთა ხელისუფლების და მთლიანად პროლეტარულ და მშრომელ გლეხობის ფართო საზოგადოებრიობის საქმეა.

კომუნისტური პარტიის მეთაურობით, დარაზმულმა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხკაცობამ უმაღლესი სასწავლებლის კარები ფართოდ გაალო მშრომელი ახალგაზრდობისათვის.

დღეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 17.000-მდე სტუდენტი სწავლობს მეცნიერების შესაძენად.

ჩვენი პროლეტარულ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრებისა და მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი მწვავე საკითხია,—ის უეჭველ და დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. სწავლების საქმეში მოხდენილ ახალ ცვლილებების მიხედვით—აკადემიური წარმატება ისე უნდა ასწიოს სტუდენტობამ, რომ „მეორეწლიანობა" მოისპოს, შემცირდეს უმაღლესი სწავლის კურსის გავლის ვადა და სხვ.

ამიტომ კიდევ უფრო საჭირო ხდება — ვიზრუნოთ ჩვენი სტუდენტობის ყოფა-ცხოვრებისა და მატერიალურად უზრუნველყოფის საკითხების მოგვარებისათვის.

„სამდღიურმა", რომელიც ტარდება 23-25 მაისს, საბოლოოთ და სწრაფად პირი უნდა მოაბრუნებინოს ჩვენს სამეურნეო გაერთიანებებს, განათლების ორგანოებს და საბჭოთა მთელ საზოგადოებრიობას პროლეტარულ სტუდენტობისაკენ, ისინი უშუალოდ უნდა ჩაებან პროლეტარულ სტუდენტთა მატერიალურ პირობების გაუმჯობესების საქმეში.

მაშასადამე, „სამდღიურის" სადღეისო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა ჩავაბათ პროლეტარულ სტუდენტთა მატერიალურ პირობების გაუმჯობესების საქმეში. თვითეულ ორგანიზაციის, მუშის, გლეხის და საბჭოთა ყოველ პატიოსანი მოქალაქის ვალია ცხოველი მონაწილეობა მიიღოს „სამდღიური"-ს ჩატარებაში.

უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქცია ახალი პროლეტარული კადრებით!

მაშ, ამხანაგებო და პატიოსანო საბჭოთა მოქალაქენო, — გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების „სამდღიურს" და თქვენს აქტიურ მონაწილეობას მასში!

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
მ. ცხაკაია.

# ამერიკელი სპეციალისტი საქ. სატყეო მრეწველობის შესახებ

თბილისში ჩამოვიდა ამერიკის სატყეო მრეწველობის ცნობილი ფირმების წარმომადგენელი ინჟენერი ჰოუელი, რომელსაც განზრახული აქვს შეისწავლოს საქართველოს სატყეო მეურნეობა. 18 მაისს ინჟენერი ჰოუელი საქ. მიწსახკომის სატყეო განყოფილების წარმომადგენელ **ბაქრაძესთან** და ამიერ-კავკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელ ამხ. **ჩიქოვანთან** ერთად გაემგზავრა ბაღდათის, სურებ-ერკეთის, სვანეთის, ქვიბია-დგომის, ტურჩინის, ძიბის და ახმეტის სატყეო რაიონების დასათვალიერებლად. აღნიშნული სატყეო რაიონები განსაკუთრებით მდიდარი არიან ძვირფასი ჯიშის წიწვიან და ფოთლოვან ტყით.

ინჟენერ ჰოუელს ჯერ კიდევ ამერიკაში ჰქონდა მიღებული დაახლოებითი ცნობები საქართველოს ტყეებისა და მთების რელიეფის შესახებ.

სატყეო რაიონების დათვალიერების წინ, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მუშაკებთან საუბრის დროს, მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთების რთული რელიეფის პირობებში სატყეო მრეწველობის წარმატება აუცილებლად მოითხოვს როგორც თვით წარმოების, ისე ტრანსპორტის (ხე-ტყის გადაზიდვის) მექანიზაციას. ინჟენერმა ჰოუელმა ამასთანავე აღნიშნა, რომ სატყეო მრეწველობის და ტრანსპორტის მექანიზაციის დარგში ჩრდილოეთ-ამერიკას ჩატარებული აქვს დიდი მუშაობა. ამერიკის მიღწევების გამოყენება ამ დარგში დიდათ შეუწყობს ხელს საქართველოს სატყეო მრეწველობის წარმატებას და ხე-ტყის მასალის უფრო რაციონალურად გამოყენებას.

# სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმი

21 მაისს პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კოპაძის მოხსენება 1929-30 წლის სამოქმედო გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

საქ. სარეწაო კავშირის 1929-30 წლის სავაჭრო-საფინანსო გეგმის შედგენის დროს,—ამბობს მომხსენებელი,—მხედველობაში მიღებული იყო ხუთი მთავარი მომენტი: კავშირის ფინანსიური მდგომარეობა, ძირითადი ქსელის მომარაგება ნედლეულით და ნახევრად ფაბრიკატებით, ანგარიშების გასწორების პირობები და საბრუნავ საშუალებათა გადიდების პერსპექტივები.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქონლის ბრუნვა ნავარაუდევია 2.968.600 მან. რაოდენობით, რაც გასულ საოპერაციო წლის საქონლის ფაქტიურ ბრუნვასთან შედარებით 298 პროც. ზრდას შეადგენს.

საოპერაციო წლის განმავლობაში კავშირს განზრახვა აქვს შექმნას საქონლის დამამზადებელი ფონდი 600.000 მან. რაოდენობით. წმინდა მოგება 244.126 მან. რაოდენობითაა გათვალისწინებული.

პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა სარეწაო კავშირის 1929-30 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ცნობა ამიერ-კავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დაარსების შესახებ.

ამიერ-კავკ. სარეწაო კავშირის საბჭოს ევალება ხელმძღვანელობა გაუწიოს ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სარეწაო კავშირებს.

დასასრულ, განაწილებულ იქნა 1928-29 წ. მოგება 337.431 მან. რაოდენობით.

სარეწაო კავშირის გამგეობაში არჩეულ იქნა 3 წევრი და 2 კანდიდატი. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ა. მაისურაძე.

# საბინაო-საიჯარო ამხანაგობების უმოქმედობა

## ამხანაგობების ნაცვლად არსდება სახლთა მეურნეობის ტრესტი

მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და საცხოვრებელ ფართობის წესიერად განაწილების მიზნით, ამ რამდენიმე ხნის წინად კერძო მფლობელთ ჩამოერთვათ სახლები.

გარდა ამისა, მუნიციპალიზაციის მთავარ მიზანს შეადგენდა სახლების დანგრევისაგან დაცვა, ვინაიდან კერძო მფლობელნი სრულებით არ უვლიდენ სახლებს და აწარმოებდენ მხოლოდ მათ მტაცებლურ ექსპლოატაციას.

ჩამორთმეულ სახლების უმრავლესობა გადაეცა საბინაო-საიჯარო ამხანაგობებს. ამჟამად საბინაო-საიჯარო ამხანაგობების ხელშია 1487 სახლი, ხოლო თვით აღმასკომს აქვს—384 სახლი. ამ ზომამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ სახლების მოვლის საქმე მაინც ვერაა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. მოუვლელობისა და შეუკეთებლობის გამო მრავალი სახლი საფრთხეშია, რაც უნდა მიეწეროს სახლთმმართველობების სუსტ მუშაობას და იმ გარემოებას, რომ სახლთმმართველობების არსებული სისტემა უკვე გამოუსადეგარია.

სახლების დაქუცმაცებული მმართველობა იწვევს ზედმეტ ადმინისტრატიულ ხარჯებს და შეუძლებელს ხდის გეგმიან მუშაობას სახლთა მეურნეობაში. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, სახლების კაპიტალურ შეკეთებაზე იხარჯება გაცილებით ნაკლები, ვიდრე ეს საჭირო და შესაძლებელია. მაგალითად სახლების კაპიტალურ შეკეთებაზე. საბინაო ქირის 50 პროცენტის ნაცვლად, იხარჯება 5—25 პროცენტამდე.

თბილისში კვ. მეტრზე საბინაო ქირა საშუალოდ არ აღემატება 25 კაპ., ხოლო შესაკეთებლად კი საჭიროა 40 კაპეიკი, ასე რომ სახლების ფაქტიურ მოვლა-შეკეთებაზე იხარჯება სრულიად უმნიშვნელო თანხა.

სახლების ადმინისტრატიულ სამმართველოს საჭიროებისათვის კი იხარჯება 33 - 55 პროცენტამდე, ნაცვლად გათვალისწინებულ 177 პროცენტისა. სახლთა მმართველობების შტატები ძალზე გაბერილია, ზოგიერთ საბინაო-საიჯარო ამხანაგობაში ჯამაგირები ეძლევათ გამგეობის ისეთ წევრებსაც, რომელთა ხელფასი ბიუჯეტში არაა გათვალისწინებული. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამხანაგობები საბინაო კავშირის სასარგებლოდ იხდიან ანარიცხს 2,1 პროც. რაოდენობით, რაც წლიურად შეადგენს 43.435 მანეთს. ანგარიშწარმოება ცუდათაა დაყენებული. მობინადრეთა შორის კულტურული მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისათვის დასახული ღონისძიებები ცხოვრებაში არ ტარდება. ამნაირად ადმინისტრატიულ ხარჯების სიდიდესთან ერთად ადგილი აქვს კულტურულ მუშაობის სისუსტეს.

ყველა ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად და სახლების მეურნეობაში გეგმიანობის შეტანის მიზნით განზრახულია დაარსდეს სახლთა მეურნეობის ტრესტი, რომელიც იქნება ერთი მთლიანი ორგანიზაცია და მოვლა-პატრონობას გაუწევს ყველა სახლს.

ამჟამად ბანკებიდან სესხების მიღებას ახერხებენ უფრო შეძლებული საბინაო ამხანაგობები, ღარიბი ამხანაგობები კი, რომელთაც უფრო დაზიანებული სახლები აქვთ, კრედიტის მიღებას მოკლებულნი არიან. ტრესტის დაარსების შემდეგ კრედიტები პირველ რიგში მოხმარდება ზედმეტად დაზიანებულ სახლების აღდგენის საქმეს.

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმით, სახლთა მეურნეობის ტრესტის დაარსების შემდეგ, დაახლოებით მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან გაუქმებული იქნება საბინაო-საიჯარო ამხანაგობები. მათ მაგიერ დაარსდება მობინადრეთა საზოგადოებანი, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდ კულტურულ-საზოგადოებრივ მუშაობას და მიიღებენ ზომებს ყოფა-ცხოვრების პირობების გარდასაქმნელად.

ამრიგად ტრესტის დაარსება ხელს შეუწყობს ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირებას, გააუმჯობესებს სახლების მდგომარეობას და იმავე დროს მობინადრეთა შორის კულტმუშაობას დააყენებს საღ ნიადაგზე.

# ქრონიკა

### ლითონის მრეწველობის რეფორმა

27 მაისისათვის ა.-კ. ს.მ.უ. საბჭო თბილისში იწვევს ლითონის მრეწველობის წარმომადგენელთა ა.-კ. თათბირს, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი ლითონის მრეწველობის დარაიონებისა და მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

### მთრიმლავ ნივთიერებათა ქარხანა

ტყავეულობის საკავშირო სინდიკატის დადგენილებით გადაწყვეტილია საქართველოში აგებულ იქნეს მთრიმლავ ნივთიერებათა დამამზადებელი დიდი ქარხანა.

ქარხანა აგებული იქნება ბაღდათის რაიონში (ქუთაისის ოლქი), სადაც მოიპოვება შქერის დიდი ტყეები. ქარხანა შქერიდან დაამზადებს სადუბაღო მასალებსაც.

### დაიხურა თათბირი საბჭოთა მეურნეობის მუშა - მოსამსახურეთა სურსათ - სანოვაგით მომარაგების საკითხებზე

თათბირის მესამე სხდომაზე დამთავრდა კამათი მოხსენებათა გარშემო და გამოყოფილ იქნა კომისიები რეზოლუციებისა და პრაქტიკული გეგმების შესამუშავებლად. კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ გუშინ საღამოს შესდგა პლენუმის უკანასკნელი სხდომა, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლუციები, პრაქტიკული ღონისძიებანი და თათბირი დაიხურა.

### კირის ახალი ქარხანა

სურამიდან ერთნახევარ კილომეტრის მანძილზე სოფ. იტრიაში დაიწყო კირის ქარხნის აგება. ქარხანას აგებს საქ. ს. მ. უ. საბჭო. გეოლოგიურ გამოკვლევით დამტკიცდა, რომ იტრიის რაიონში მოიპოვება მაღალ ხარისხოვანი საკირე ქვის დიდი საბადოები. ქარხანა ამუშავებული იქნება აგვისტოში. კირის ქარხნის აგება და მოწყობა დაჯდება 200.000 მან.

### აბრეშუმის სადგური

გურჯაანის რაიონში სოფ. კოჩეცის მახლობლად ამჟამად სწარმოებს აბრეშუმის სადგურის აგება, რომელიც დაიწყო გასული წლის ოქტომბრიდან.

სადგურის მოწყობა დამთავრდება ამ წლის ბოლოს. სადგურის აგება ჯდება 200.000 მანეთი. სადგურთან 4 ჰექტარის სივრცეზე გაშენებული იქნება თუთის პლანტაცია.

### ცარცის მადანი

სოფ. ურთხვის ახლო (სურამის რაიონი) აღმოჩენილ იქნა საუკეთესო ღირსების ცარცის მთა. ცარცის მადნის დამუშავება დაიწყება მიმდინარე წლიდან, რისთვისაც ადგილობრივ აგებული იქნება ცარცის ქარხანა.

### სხვადასხვა

1-ლ ივნისს, სახ. უნივერსიტეტის შენობაში გაიხსნება მხარეთმცოდნეობის გამოფენა. გამოფენას აწყობენ სახ. უნ-ტის საბუნებისმეტყველო წრე, გეოგრაფ. საზ-ბის მთასვლა-მგზავრობისეული განყოფ-ბა და თბილისის განათლების განყოფილება.

### ხელოვნება

### მუშა-მწერლების საყურადღებოთ

მუშა-მწერლების ჟურნალ „მიზანი"-ს გამოცემა შეჩერებულ იქნა უსახსრობის გამო. უკანასკნელ ხანებში თბილისის საბჭომ ხსენებულ ჟურნალს აღუთქვა ფინანსიური დახმარება და მოკლე ხანში ჟურნალის გამოცემა აღდგენილ იქნება. გარდა ამისა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ გადასწყვიტა გამოსცეს ალმანახი, რომელშიაც მოთავსდება მუშა-მწერლების ნაწარმოებები.

25 მაისს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში შესდგება თბილისში მცხოვრებ მუშა-მწერლების კრება, რომელზედაც განხილულ იქნება ჟურნალისა და ალმანახის გამოცემის საკითხი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულ მუშა-მწერლებს სთხოვენ ჟურნალისა და ალმანახში დასაბეჭდი მასალები გადმოგზავნონ თბილისში, კარუსელის ქუჩა № 35 ამხ. ნიკო ასლამაზაშვილის სახელზე.

### თარხნიშვილების მომღერალთა გუნდის გასტროლები

მომღერალთა გუნდი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით 23 მაისს, საგასტროლოდ გაემგზავრება დასავლეთ საქართველოში. გუნდის პირველი კონცერტი გაიმართება 24 მაისს, სოფ. საქილაოს ხე-ტყის ქარხნის მუშათა კლუბში. 25 მაისს — ოზურგეთში და შემდეგ სხვა დაბა - ქალაქებში. გუნდი კონცერტებს გამართავს დასავლეთ საქართველოს 25 პუნქტში.

### „ქართული მწერლობა" № 3—4.

გამოვიდა „ქართული მწერლობა" № 3-4 შემდეგი შინაარსით:

**ლ. ასათიანი**—მაიაკოვსკი; **ვლ. მაიაკოვსკი**—„რისთვის ვიბრძოდით" (თარგმ. გრ. ცეცხლაძის); **სიმ. ჩიქოვანი**—სამურზაყანოს კოლექტივებს; **ტიციან ტაბიძე**—ოქროყანა; **რაჟდენ გვეტაძე**—ბრიგადელის დღიური; **ვასო გორგაძე**—ბრიგადელს; **ი. ლისაშვილი**—ჩვენი პასუხი, **სანდრო შანშიაშვილი**—ცამირი; **ვარლამ რუხაძე**—საუბარი გულთან; **აზატ ვშტუნი**—მოდი, ჩემო თვალის სინათლევ; **ი. მჭედლიშვილი**—ჩემი სურვილი; **მარჯან**—ვოლგაზე; **სიმონ ჩიქოვანი**—ერთი თვე სვანეთში; **გრიგოლ რობაქიძე**—დავით კლდიაშვილი. **დ. კასრაძე**—ეკ. გაბაშვილი; **შ. დუდუჩავა**—ყოფა-ცხოვრების საკითხები. ბიბლიოგრაფია. გვ. 144. ფასი 60 კაპ.

# სამხედრო-საჰაერო სკოლების შევსება

მიმდინარე წლის 1-ლ ივნისიდან იწარმოებს კანდიდატების შერჩევა სამხედრო-საჰაერო სკოლებში გასაგზავნად.

სკოლებში მიიღებიან სამხედრო მოსამსახურენი და მშრომელი ახალგაზრდობა 18-დან 25 წლამდე. სკოლებში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს რუსული ენა 7-წლედის მე-5 ჯგუფის ფარგლებში. საჰაერო სკოლებში (მფრინავთა მე-7 სკოლა) მიიღებიან აგრეთვე მუშა-ქალებიც.

მუშა-ახალგაზრდებმა, რომლებსაც სურთ შესვლა სამხედრო-საჰაერო სკოლებში, უნდა მიმართონ განცხადებით საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს, სადაც ისინი მიიღებენ ყოველგვარ ცნობებს სკოლებში სწავლებისა და ცხოვრების პირობების შესახებ. ყველა კანდიდატებმა უნდა გაიარონ წინასწარი გამოცდა საქ. ავიაქიმთან არსებულ კომისიაში. ის კანდიდატები, რომლებიც ამ კომისიის მიერ ცნობილი იქნებიან ვარგისად საჰაერო სკოლებისათვის, 1-ლ ივნისისათვის უნდა გამოცხადდნენ თბილისის აეროდრომზე, სადაც მუშაობს კანდიდატების შემრჩევი მუდმივი კომისია.

# სახურავი ფიქალის დამუშავება

## ფართოდ ვითარდება

ამიერ - კავკასიისა და საქ. ს. მ. უ. საბჭოების წინადადებით, საქ. სააღმშენებლო მასალათა ტრესტი შეუდგა სახურავი ფიქალის დამუშავებას ფართო მასშტაბით. უმაღლესი სამეურნეო ორგანოების მითითებით, ეს სამუშაოები რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა სწარმოებდეს, რადგან ბაზარზე არ მოიპოვება სახურავი მასალები და მშენებლობის წინაშე დიდი დაბრკოლებები წარმოიშვება, თუ სახურავი ფიქალი არ იქნა დამზადებული საკმაო რაოდენობით.

სახურავი ფიქალის დამუშავებაზე ამჟამად 200 მუშა-ხელი მუშაობს. ახლო ხანში მუშათა რიცხვი კვლავ უნდა გაიზარდოს.

სახურავი ფიქალის მიწოდების შესახებ ტრესტი დიდძალ შეკვეთებს ღებულობს, მაგრამ შეკვეთების განაღდება ჯერ-ჯერობით ბრკოლდება იმის გამო, რომ ტრესტს არა აქვს საბოლოო ცნობები ფიქალის თვითღირებულების შესახებ.

ფიქალის გასასყიდი ფასები გამორკვეულ და დამტკიცებული იქნება უახლოეს დღეებში.

# ფოთი

### ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

ფოთის 16 ათასიანი მოსახლეობა თავიდანვე ებრძოდა წერა-კითხვის უცოდინარობას, მაგრამ რამდენადაც ამ ბრძოლის შედეგად ფოთის მოსახლეობას აკლდებოდა წ.-კ. უცოდინარები, იმდენადვე ემატებოდა მეზობელ მაზრებიდან. ამრიგად 1929 წლის პირველ დეკემბრისათვის, ახლად ჩატარებულ აღწერით, ფოთში აღმოჩნდა 419 წერა-კითხვის უცოდინარი და 288 მცირემცოდნე, რომლებიც მთელი 100 პროცენტით ჩაბმული იქნენ სალიკვიდაციო სკოლებში.

ცხადია, ასეთ დიდ კამპანიის წინ უსწრებდა წინასწარი გეგმიანი მოსამზადებელი მუშაობა. ფოთის პოლიტგანი 1929 წლის პირველ ოქტომბრიდან შეუდგა სამზადისს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის ფართოდ გასაშლელად. ფოთის პოლიტგანის მიერ დადებულ იქნა ხელშეკრულებები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ კოოპერატივთან, საზოგადოება „წერა-კითხვასთან", პროფკავშირებთან, კომკავშირთან და საშეფო საზოგადოებებთან.

სულ ფოთში პირველ დეკემბრიდან გაიხსნა 30-ზე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფი, რომლებშიაც ჩაბმულ იქნა 707 წ.-კ. უცოდინარი და მცირე-მცოდნე. მათ სრულიად უსასყიდლოთ ამეცადინებდნენ ადგილობრივი კულტურული მუშაკები.

აქ აღსანიშნავია 10 წლედის მოწაფეების და მასწავლებლების თავდადებული მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში. განათლების მუშაკნი დიდი ხალისით იბრძვიან კულტურულ ფრონტზე. ასი წლობით აუღებელი უკულტურობის ციხე, რომელიც მემკვიდრეობით გვიანდერძა ძველმა რეჟიმმა, უნდა დაინგრეს და ამ საქმეში მასწავლებლობა და მოწაფეობა თვალსაჩინო როლს ასრულებს.

მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ნაკლიც. მაგალითად, ნაბადის სკოლის გამგემ ილ. დუმბაძემ და სხვა ზოგიერთმა ხელმძღვანელებმა ვერ გაამართლეს იმედები და მათზე ჩაბარებულ წერა-კით. უცოდინარებიდან 5 პროცენტსაც კი ვერ შეასწავლეს წერა-კითხვა. აქ არც პროფკავშირების და კოოპერაციის მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. არ კმარა მარტო პლაკატებით და ლოზუნგებით შენობების გალამაზება. მაგალითად, ფოთის კოოპერატივის კულტ-განყოფილებას ამჟამად 20.000 მანეთი უმოძრაოდ უძევს კულტ-ფონდში და არავითარ დახმარებას არ უწევს სკოლებს და საბავშო ბაღებს.

1929-30 წლის პირველ ნახევარში წერა-კ. უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები გაიარა 523 მსმენელმა.

ამჟამად პოლიტგანის მიერ მიღებულია ზომები ა.-წ. პირველ ივნისამდე ფოთის რაიონში ჩატარებულ იქნეს წ.-კ. უცოდინართა და მცირემცოდნეთა ხელახალი რეგისტრაცია. მათ ა.-წ. პირველ ოქტომბრამდე შეასწავლიან წერა-კითხვას და ამრიგად ფოთში და მის რაიონში სავსებით აღმოფხვრილი იქნება წერა-კითხვის უცოდინარობა და მცირემცოდნეობა.

ბ. ულენტი.

### ფოთში 14.428 მცხოვრებია

დამთავრდა ფოთის მოსახლეობის აღწერა. აღწერას აწარმოებდა მობილიზაციაქმნილი 15 საზოგადოებრივი მუშაკი, რომლებმაც სრულიად უსასყიდლოთ ჩაატარეს ეს საქმე.

ამჟამად ჩატარებულ აღწერით ფოთის მოსახლეობა უდრის 14.428 სულს. აქედან 7.361 მამრობითი და 6067 დედრობითი სქესისაა.

ფოთის მოსახლეობის ზრდა 1926 წელთან შედარებით უდრის 13 პროცენტს.

ბ.

# ხელოვნება

## მოსკოვის პირველი სამხატვრო თეატრის გასტროლები

### „ფსკერზე" და „ალუბლის ბაღი"

მოსკოვის სამხატვრო თეატრის მორიგ წარმოდგენებად მ. გორკის პიესა „ფსკერზე" და ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი" წავიდა. მ. გორკიმ თავის პიესაში („ფსკერზე") სცადა აღემაღლებია ხმა იმ მონური მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელშიაც თვითმპყრობელობის დროს უხდებოდა ადამიანს არსებობა. პიროვნება სავსებით გათელილი და შერყვნილი იყო. ირგვლივ გამეფებული მოწამლული მეშჩანური ატმოსფერა ახშობდა თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლენას. გორკი მთელ მონოლოგებს ამბობს „ადამიანის" შესახებ, დაწერილს დიდი ასოებით, მას სწამს ადამიანის შემოქმედებითი ძალა, ბუნების სიდიადე; მისთვის არ არსებობს მტკიცე ზღვარი ორგანიულ და არაორგანიულ ბუნებას შორის. ადამიანი იბრძვის, „ბუნტს" უცხადებს არსებულ სინამდვილეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გორკის შემოქმედების ეს მოტივები რუსეთში კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებით განისაზღვრება. ამ პროცესმა გამოიწვია ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის პროლეტარიზაცია. ბრძოლის ასპარეზზე ახალი ძალა — მუშათა კლასი გამოდიოდა. გორკიმ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში ასახა იმ წვრილბურჟუაზიული მასის ტრაგედია, რომელსაც ეცლებოდა დასაყრდენი (სოციალური ბაზა) და თანდათანობით წარსულში გადადიოდა. პიესა „ფსკერზე" საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში უკვე გვხვდება მუშის ტიპი (ზეინკალი კლეში). თეატრმა თავის დროზე უდიდესი მუშაობა ჩაატარა იმისათვის, რომ მთელი სისრულით გაეხსნა „ბოსიაკთა" ნამდვილი ტიპები. ამ მიზნით დასმა ექსკურსიაც კი მოაწყო ხიტროვის ბაზარზე, სადაც მრავლად იყვნენ თავს ყოფილი ადამიანები, რომ ცოცხალ ფაქტებზე შეესწავლა მათი ყოფა-ცხოვრება. ამის შედეგათ ჩვენ მივიღეთ ყოველმხრივ დამუშავებული წარმოდგენა, როგორც დადგმის, ისე აქტიორთა ბრწყინვალე შესრულების მხრივ.

თეატრმა შესძლო გადმოეცა გორკის მიერ გამოყვანილი ტიპების თავისებური რომანტიკა და პათოსი. შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით აღვნიშნავთ მოსკვინის, კაჩალოვის და კნიპერ-ჩეხოვას შესანიშნავ თამაშს. მათ (და მათთან ერთად მთელმა დასმა) დიდის ხელოვნებით გადმოგვცეს იმ ადამიანთა ცხოვრება, რომლებიც ცხოვრების „ფსკერზე" მოექცნენ. კაჩალოვმა ბარონის როლში სავსებით განახორციელა ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებული და გაბოროტებული წვრილმანი ადამიანის ტიპი.

⁂

„ალუბლის ბაღი" ჩეხოვის შემოქმედებაში ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნაწარმოებად ითვლება. მასში მართლაც მოცემულია ჩეხოვის მთელი მსოფლმეგრძნება, მოვლენათა ათვისების თავისებური მანერა, თანდათანობით ძლიერდებოდა ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პროცესი. კაპიტალიზმი შეუბრალებლად ანგრევდა ძველ ყოფას, მთელი თავისი „იდილიით". აქედან ის სევდა და მწუხარება, რომელსაც ძველი სამყაროს გადაგვარება და სიკვდილი იწვევდა. ჩეხოვმა თავის ნაწარმოებებში დიდი მხატვრული ხიბლით დაგვიხატა იმ ინტელიგენციის უნიადაგობა, რომელმაც უთანასწორო ბრძოლაში დაშრიტა თავისი იდეური მარაგი, გამოიფიტა სულიერად და იკვებებოდა წარსულის მოგონებებით.

ჩეხოვს რევოლიუციონურ მოძრაობასთან არავითარი საერთო არ ჰქონია, მაგრამ მან მაინც შესძლო რამოდენიმეთ გადმოეცა ინტელიგენციის ზოგიერთ დეგენერატიულ წრეთა ფსიქოლოგია. ამ ნაწარმოებმა („ალუბლის ბაღი") დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და დღეს ჩვენ შეგვიძლია მივუდგეთ მას, როგორც გარკვეულ ისტორიულ - ლიტერატურულ დოკუმენტს. იგი ჩვენი ეპოქის გარეშე ძევს. პიესა, თავისი უაღრესად მოძველებული შინაარსით ცხადია ჩვენ მაყურებელზე ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ დასტოვებს.

მაშინ, როცა თეატრს ჩვენ დღეს სრულიად გარკვეულ მოთხოვნილებას უყენებთ — გახდეს ახალი სოციალისტური ყოფის აქტიური ორგანიზატორი და ამიტომ ისეთ პიესას, როგორიცაა „ალუბლის ბაღი", ძველი ძეგლის მნიშვნელობა თუ შერჩება. ცხადია, ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე აქტიორთა თამაში, მათი შემოქმედების თავისებური გზები, ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ როგორც აქტიორის, ისე თეატრის მთელი კოლექტივის მხატვრული გზები ერთმანეთს შეხვდა. სამხატვრო თეატრმა, როგორც სწორად შენიშნავენ, გაამეფა სტატიური სცენიური ფორმები. ამდენად მისი რეჟისორული ხელოვნება არ ყოფილა მძაფრი, დინამიური.

ჩეხოვის შემოქმედების ძირითადი მოტივი რევოლიუციამდე არსებული რუსეთის გარკვეულ საზოგადოებრივ ფენათა მოდუნებული, ყოველდღიური ცხოვრების რიტმია. ამიტომ გასაგებია, რომ სამხატვრო თეატრმა იშვიათი სიძლიერით განახორციელა ჩეხოვის პიესები და კერძოდ „ალუბლის ბაღი", თითქმის ყველა აქტიორები თავის სიმაღლეზე იდგენ. განსაკუთრებით კარგი იყო **მოსკვინი** (ეპიხოდოვი), **კნიპერ-ჩეხოვა** (რანევსკაია), **ტარხანოვი** (ფირს), **გრიბუნინი** (სიმეონოვ-პიშჩიკი) და სხვ.

დ. დ—ძე.

# სასამართლო

### „რევიზორი" გამფლანგველთან

ეს იყო გასული წლის მარტში. რაჭა-ლეჩხუმის მაზრის საფინანსო განყოფილებამ, რომლის ყურებამდე ცუდი ხმები მივიდა ცაგერის თემსაბჭოს ფინანსების მდგომარეობის შესახებ, მიავლინა თავისი „სანაქებო" ინსტრუქტორ-რევიზორი **შალვა ასლანის ძე გელოვანი** მდგომარეობის გამოსარკვევად.

„რევიზორს" განსაკუთრებული პატივით მიეგება ცაგერის თემსაბჭოს „ფინანსისტი" **ვარლამ იასონის ძე ბერუჩაშვილი**. „რევიზორმა" თავისი სთქვა, „ფინანსისტმა" კიდევ თავისი. რამდენიმე მოზრდილი ჭიქის გადახუხვის შემდეგ „რევიზორმა" ხაზი გაუსვა ჯამაგირის სიმცირეს და იმ გარემოებას, რომ საერთოდ ფულის ნაკლებობა ადამიანის ხასიათზედაც გავლენას ახდენსო.

„ფინანსისტმა" ბერუჩაშვილმა ადვილად გაიგო „რევიზორის" გულისტკივილი და ჩასჩურჩულა:

— სახარჯო თუ დაგჭირდეთ, არ დაგეხათრება... ას და ორას მანეთს ყოველთვის გიშოვით.

რასაკვირველია, ბერუჩაშვილს, რომელიც თავისუფლად ათამაშებდა ხელებს თემსაბჭოს სალაროში ასი და ორასი მანეთის შოვნა არ გაუჭირდებოდა, ისიც რევიზორისათვის, რომელზედაც მისი ბედი ეკიდა.

მართლაც გელოვანზე ეკიდა ბერუჩაშვილის ბედი და აი რატომ. ბერუჩაშვილს გაფლანგული ჰქონდა 4.000 მანეთზე მეტი. საკმარისი იყო შემოსავალ-გასავლის დავთრის გადათვალიერება რევიზორის მიერ, რომ ბერუჩაშვილს გამახლოში ამოეყო თავი.

მაგრამ ეს არ მოხდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ „რევიზორს" რევიზიისათვის არ ეცალა (!), ხოლო გარდა ამისა გადამწყვეტი როლი ითამაშა „სახარჯოს" დაპირებამ ხელის მოსანაცვლებლად.

ბერუჩაშვილმა 350 მანეთი სახარჯოდ ჩაუდო ჯიბეში რევიზორ გელოვანს. უკანასკნელმაც ამის შემდეგ „უხერხულად" სცნო რევიზიის გაკეთება თემსაბჭოს უჯრებში.

საქმე გათავდა იმით, რომ იმ 350 მანეთის კვალის დასაკარგავად, რომელიც რევიზორმა სახარჯოდ მიიღო, ორივემ საბუთებში ჩააკერეს ყალბი ქაღალდი.

რევიზორი გელოვანი გამოეთხოვა ბუხჰალტერ „ფინანსისტ" ბერუჩაშვილს, სიამოვნებით მოაწერა ხელი ოქმზე, დაადასტურა, რომ რევიზიის დროს ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

ბერუჩაშვილი განაგრძობდა თავისას. ფლანგავდა სახელმწიფო ფულებს იმ იმედით, რომ სამაზრო რევიზორი მომადლიერებული ჰყავდა.

მაგრამ უმუხთლა ბედმა „ფინანსისტს". ცენტრიდან ჩამოვიდა სპეციალური კომისია თემსაბჭოს ფინანსების მდგომარეობის გამოსარკვევად. აქ უკვე აღარ გასჭრა „სახარჯომ". სარევიზიო კომისიამ მოახდინა დეტალური რევიზია. ბერუჩაშვილს აღმოაჩნდა გაფლანგული 4285 მანეთი. რევიზიამ აღმოაჩინა აგრეთვე რევიზორ გელოვანის მიერ წაღებული „სახარჯო", რომელიც გატარებული იყო გაუთვალისწინებელ ხარჯებში.

დაპატიმრებულ იქნა, როგორც ბერუჩაშვილი, ისე გელოვანი.

საქმე გაარჩია ცაგერის უბნის სახალხო სასამართლომ.

**ბერუჩაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით სასტიკი იზოლაციით, ხოლო გელოვანს—8 თვით.**

საქმე კასაციის წესით შემოვიდა უზენაეს სასამართლოში.

გერ.

# ნიაღვარი თბილისში

გუშინ დილიდანვე თბილისში დაიწყო ძლიერი წვიმა. საათის ორზე მოვიდა დიდი ნიაღვარი. ოთხი საათისათვის ქუჩებში იმდენად დიდი წყალი მოდიოდა, რომ ტრამვაის ვაგონების მოძრაობა შეუძლებელი გახდა და შეწყვეტილი იყო 45 წუთის განმავლობაში. საათის ხუთისათვის მოძრაობა აღდგენილ იქნა გარდა საბჭოს ქუჩისა, დიდუბის ქუჩისა და ორთაჭალისა. დიდუბეში ტრამვაის მოძრაობა აღდგენილ იქნა საღამოს 8 საათისათვის, ხოლო ორთაჭალაში საღამოს 10 საათისათვის. საბჭოს ქუჩის გაწმენდა გრძელდებოდა მთელი ღამის განმავლობაში. წვიმის დროს ენგელსის ქუჩაზე მოწყვდა კლდე.

წყალმა აავსო სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის სარდაფი. ტარიელის ქუჩაზე წყალმა დააზიანა № 13 სახლის კედელი. კალიაევის ქუჩაზე № 32-ში ჩამოინგრა ჭერი, ვაკის ქუჩაზე № 1-ში დაინგრა ახლად აშენებული სახლის კედელი. კლარა ცეტკინის ქუჩაზე № 17 წყალით აივსო სახლის ქვედა სართული. წყალი შეიჭრა აგრეთვე კოოპერატიული დუქნების ზოგიერთ სარდაფებში. ქალაქის პირველ საავადმყოფოში წყალი შეიჭრა ახალ ბარაკების შენობაში. ცეცხლის მქრობელი რაზმები შეუწყვეტლივ მუშაობდნენ სარდაფებიდან წყლის გადმოქაჩვაზე. პირველ საავადმყოფოს ახალი ბარაკების შენობის გაწმენდა რაზმმა დაამთავრა მხოლოდ ღამის 11 საათისათვის.

ნატახტარის წყალსადენი. — ახლად მიღებულ მილების დაგება

# ჭადრაკი

## ვ. გოგლიძის და მაესტრო ნენაროკოვის მატჩი

### მერვე პარტია

მატჩის მერვე პარტია გათამაშებულ იქნა ოთხშაბათს, 21 მაისს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. ანგარიში +3—3=1 იძლეოდა იმის იმედებს, რომ ეს პარტია როგორც გარდამტეხი მომენტი მატჩის მდგომარეობაში განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა. ცხადი იყო, რომ ამ პარტიაში მოწინააღმდეგენი ითამაშებდნენ განსაკუთრებული მონდომებით და არც ერთი მხარე არ დაზოგავდა თავის ძალღონეს, რომ მატჩის მდგომარეობა თავის მხარეზე გადაეხარა. მოლოდინი სავსებით გამართლდა.

გოგლიძემ თეთრებით ინგლისური დაწყება არჩია, რომელიც სვლათა გადანაცვლებით ისევ ლაზიერის გამბიტის ლიანდაგზე გადაიყვანა. ამით მან თავი მოარიდა ჩეხურ დაცვას, რომელიც შავებისათვის ამ გამბიტის წინააღმდეგ ყველაზე ხელსაყრელია. ნენაროკოვმა მოისურვა სხვა დაცვის გამოყენება, სახელდობრ: კემბრიჯ-სპრინგის დაცვის, რომლის დროსაც თამაში მეტად გართულებულ სახეს ღებულობს და შავებს საკმაო კონტრ-შესაძლებლობანი აქვთ. მაგრამ ამ დაცვისათვის საჭირო ფიგურათა განწყობა მას არ ჰქონდა, რითაც კარგად ისარგებლა გოგლიძემ და საუკეთესო სვლებით თამაშის კემბრიჯ-სპრინგის ვარიანტზე გადაყვანა უკუაგდო და დებიუტითვე რამდენიმეთ უკეთესი მდგომარეობა მიიღო, რაც კიდევ უფრო გააძლიერა ნენაროკოვმა თავისი უხეში შეცდომით. ამ შეცდომის შედეგათ ნენაროკოვმა წააგო პაიკი.

მიუხედავად ამისა ნენაროკოვს საკმაოთ ძლიერი პოზიცია ჰქონდა. პარტიის მოსაგებად საჭირო იყო განსაკუთრებით ძლიერი და ზუსტი თამაში გოგლიძის მხრიდან მით უმეტეს, რომ თამაშის შემდგომ პროცესში ნენაროკოვი ძლიერი სვლებით თანდათან იმაგრებდა მეფის ისედაც ძლიერ პოზიციას.

ცენტრში მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, გოგლიძემ თამაში დროებით გადაიყვანა ლაზიერის ფრთაზე, სადაც პაიკის მოგების მუქარა შეუქმნა, რითაც ფიგურათა ხელსაყრელ გადაჯგუფებას მიაღწია. ამის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა ცენტრში თამაშს. ნენაროკოვი კარგად იცავს თავს და მალე ღებულობს კონტრ-იერიშს, რომელიც პირველ ხანში მეტად მრისხანეთ გამოიყურებოდა. მაგრამ, როგორც ეს გოგლიძის შემდეგ თამაშიდან ირკვევა, გოგლიძე თვითონ განგებ იწვევდა ნენაროკოვის მხრიდან ასეთ შეტევას, რათა შემდეგში ზედმეტ პაიკის შეწირვით თვითონ მიეღო ძლიერი შეტევის შესაძლებლობა დაშმათების ანდა ფიგურის მოგების მიზნით. ასეც მოხდა. ნენაროკოვმა დაიბრუნა პაიკი, მაგრამ სამაგიეროთ ჩქარა წააგო ხარისხი, შემდეგ პაიკი და მალე შამათის მუქარის ქვეშ იძულებული გახდა დანებებულიყო.

მატჩის მდგომარეობა მერვე პარტიის შემდეგ ასეთია: +4—3=1 გოგლიძის სასარგებლოდ.

დღეს, 23 მაისს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, საღამოს სრულ 6 საათიდან გათამაშდება მატჩის მეცხრე პარტია. თეთრებით თამაშობს ნენაროკოვი.

ფ—ლი.

# ფეხბურთი

### „პოლიტეხნიკური ინსტიტუტი" — „მედსანშრომა"

21 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული შეჯიბრება პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და მედსანშრომის მუშაკთა კავშირის პირველ გუნდებს შორის.

თუმცა სტუდენტებმა ამ თამაშში 3 სათადარიგო მოთამაშე გამოიყვანეს, მაგრამ მაინც თავიდანვე ხელთ იგდეს თამაშის ინიციატივა და შეჯიბრების დამთავრებამდე ავიწროვებდნენ მოწინააღმდეგეს.

პირველი ტაიმი თავდება 1:0 სტუდენტების სასარგებლოთ.

მეორე ტაიმში პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მოთამაშეებმა კიდევ უფრო გააცხოველეს თამაში. ტაიმის დამთავრებამდე მათ 5-ჯერ კიდევ გაარღვიეს მედსანშრომის კარები და ამრიგათ თამაში დაამთავრეს ბრწყინვალე გამარჯვებით 6:0-ზე.

### მელითონეები — კომუნალური მუშაკები

ამავე დღეს იქვე გაიმართა მელითონეების და კომუნალურ მუშაკების პირველი გუნდების შეჯიბრება.

თამაში არ გამოდგა საინტერესო და დამთავრდა 2:1-ზე მელითონეების სასარგებლოდ.

### თბილისის „დინამო" ბაქოში

ბაქოდან დაბრუნდა თბილისის „დინამო"-ს პირველი გუნდი, რომელიც გამგზავრებული იყო ბაქოს „დინამო"-ს 5 წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

თბილისელებმა ბაქოში ჩაატარეს ორი შეჯიბრება: პირველი მატჩი „პროგრეს"-თან მოიგეს 2:1, ხოლო მეორე „დინამო"-სთან დაამთავრეს 1:1. თბილისის მხრიდან უკანასკნელ შეჯიბრებაში თამაშობდნენ: **ბაღდოევი, ფოჩხუა, ფაჩულია, ფრუიძე, ა. ჟორდანია, ანიკინი, ქებაძე, ასლამაზოვი, აბაშიძე, სომოვი და კოსტიუკოვი.**

ფეხბურთელებთან ერთად ბაქოში გამგზავრებული იყვნენ კალათბურთელები და მძლეოსნები. შეჯიბრებები კალათბურთში და მძლეოსნობაში მოიგეს თბილისელებმა.

# რკინის გზებზე

### მზადება შემოდგომის ტვირთ-ზიდვის სეზონისათვის

ამიერ-კავკ. რკინის გზის შემოდგომის სეზონისათვის მოსამზადებლად გზის დირექციას მიცემული აქვს წინადადება შესრულოს მთელი რიგი სამუშაოები. ჩატარებული უნდა იქნეს ისეთი სამუშაოები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გზის გატარებითი და გადაზიდვის უნარიანობის გაძლიერებას.

პირველ ოქტომბრამდე შესასრულებელ სამუშაოებში შედის ორი ახალი სადგურის გახსნა საჯევახო-სიგოითის და სუფსა-ნატანებს შუა, სადგურის ხაზების და ჩიხების გაგრძელება და ახალი ხაზების დაგება სამტრედიაში, ნავთლუღში და განჯაში, ახალი საწყობების აგება, არსებულ საწყობების შეკეთება და სხვ.

ამ სამუშაოების საერთო ღირებულება განისაზღვრება 1.069.300 მანეთით.

ამასთან ერთად გადაწყვეტილია სადგ. თბილისის და ხაშურის გაფართოება და ზოგიერთ სხვა სამუშაოების ჩატარება.

### შეშის დამზადების საკითხი

რკინისგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა 1930-31 წლისათვის შეშის დამზადების გეგმა.

გეგმის თანახმად, მომავალ წელში რკინისგზელების უზრუნველსაყოფად საჭიროა 262 ათასი კუბ. მეტრი შეშის დამზადება. შეშის ამ რაოდენობით დამზადებას წინ ეღობება ის გარემოება, რომ საქ. უმაღლესი ეკონომსაბჭო რკინის გზას ნებას აძლევს საქართველოს ტერიტორიაზე დაამზადოს შეშა არა უმეტეს 100.000 კუბ. მეტრის რაოდენობით.

ამის გამო გზის დირექციას წინადადება აქვს მიცემული ეხლავე მიიღოს ზომები შეშის დამზადების საქმის უზრუნველსაყოფად. დირექციამ უნდა იზრუნოს უკვე დამზადებული და ხაზებზე დაწყობილი შეშის თავის დროზე გამოსაზიდავად და განტვირთვის საწყობები ზაფხულის პერიოდში, რათა არ შეიქმნეს დაბრკოლებები შემოდგომისათვის.

ჯერ-ჯერობით შეშის დამზადებას აწარმოებს გზის დირექცია, მაგრამ მოსალოდნელია რკინისგზელების შეშით უზრუნველყოფის საქმის კოოპერაციისათვის გადაცემა. ასეთ შემთხვევაში შეშის დამზადების საქმეც კოოპერაციას გადაეცემა.

### სადგურის უფროსების შეცვლა

რკინის გზების მმართველ აპარატების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სადგურების მუშაობის აპარატში მეტად გაფართოებულია. ადგილებზე სადგურები ეხლა წარმოადგენენ მსხვილ სამეურნეო ერთეულებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ მოძრაობის, წევის, სალიანდაგო და კავშირთგაბმულობის საქმეებს.

ამის გამო ბუნებრივად დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ სადგურის უფროსები იყვნენ კარგად განსწავლულნი პირები, რომლებიც გაერკვევიან ყველა ზემოხსენებულ დარგების საქმიანობაში. საჭირო ხდება სადგურების ეხლანდელი უფროსების შეცვლა უფრო მომზადებული პირებით — სპეციალისტებით. ამ ღონისძიებების გატარება მთლიანად ჯერ შეუძლებელი ხდება, რადგან არ მოიპოვებიან სათანადო კადრები.

ჯერ-ჯერობით ეს ღონისძიება ა.-კ. რკინის გზაზე გატარებულია ნაწილობრივ. შეცვლილ არიან უფროსები ისეთ სადგურებში, სადაც მოიპოვება დეპოები. იქ სადგურის უფროსებად დანიშნული არიან დეპოს ყოფ. უფროსები.

# რადიო-გადაცემა

### პარასკევი, 23 მაისი

დილით 8 ს. 30 წ.—9 ს. 30 წუთამდე ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება მუშათა შუადღე, რომელსაც აწყობს ს.პ.კ.ს. კულტგანყოფილება. პროგრამაში ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი 10 კილოვატიანი რადიო-სადგურის საშუალებით 18 ს.—18 ს. 30 წუთამდე მუსიკალური დასვენება. რეკლამა. 18—30 19—10 რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე. 19—10—19—40 გაზ. „ენიკენდი" რადიოთი, თურქულ ენაზე. 19-40—20-20 პიონერისა და მოწაფის საათი—„ჩავაბათ ყველა ბავშვები პიონერთა რაზმებში" ქართ. და რუსულ ენებზე. დროის შემოწმება. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები. 20-20—21 რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე. 21—24 სახ. კონსერვატორიის სტუდენტთა საჩვენებელი წარმოდგენის „თამარ-ცბიერის" ტრანსლიაცია რუსთაველის თეატრიდან. ანტრაქტებში რეკლამა. უკანასკნელი ცნობები.

# შემთხვევები

### ტრამვაის ვაგონიდან გადმოვარდნა

რიყის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონიდან გადმოვარდა ასტან მამედ-ოღლი, რომელიც მძიმედ დაშავდა.

### დაჯახება

მუხრანის ხიდიდან კალიაევის აღმართისაკენ მიმავალი ავტომობილი, რომელსაც მმართავდა შოფერი ანტონ კოლე, დაეჯახა ეტლს. დაჯახების დროს დაშავდა ერთი ცხენი.

### ქურდობა

გაქურდეს ალექსანდრე ფუტკურაძის ბინა (კოოპერაციის ქ. № 6). წაღებულ ნივთების ღირებულება გამოურკვეველია. საბჭოს ქუჩაზე მდებარე საქ. საფაბრიკო სკოლიდან მოიპარეს 600 მ. ხელსაწყოები. — გაქურდეს მინადორა სანიკიძის ბინა (მესანგრეთა ქ. № 3).

### შეპყრობა

ქურდობისათვის შეიპყრეს ანდრონიკ გასპარიანი. — ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს ანდრია ნიჟეგოროდცკი. — შეიპყრეს ანნა ოსიფის ასული კამიშინა, რომელსაც ბრალდება ჯიბგირობა.

აპოლო
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერნგერი მხატვრულ სურათში
მეჭიანური ფლორენციიდან

სპარტაკი
უცხ. არტისტი
მხატვრული ფილმი
ლტოლვილი კუნძული

ხოლეი
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
პოლა ნეგრი
პარამუნტ-ფილმის სურათში
ეკლიანი მავთული

პალასი
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.
უცხოეთის მხატვრული ფილმი
მსჯავრდადებულნი

რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)
სეზონის საუკეთესო ფილმი
ერთა დროშა

დარბაზი
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.
საუკეთესო ფილმი
პარიზელი ქალი
პროგრ. გარეშე ცნობილი მომღერლის სერაფიმა შუვალოვას გასტროლები
ახალი პროგრამა.

მალე: „მოპირდაპირე ქარი", „ცხენოსანი ლაშქარი".

ვეძებ ოთახს
10 მეტრ. და უფრო დიდი ზომის,
ქირა შეთანხმებით,
ერთი წლის წინასწარ.
იკითხეთ: წითელი მთის ქ. № 37, მე-2 სართული, დილის 10 ს. სად. 8 საათამდე. (საბჭოთა ქუჩის ბოლოსთან ახლოს).
2728 2-1

მალე!
ჩარლი ჩაპლინი
კომედიებში:
1) გაზაფხულის ციებ-ცხელება
2) ჩარლი ჩაპლინი საცოლეს იტაცებს
3) ჩარლი ჩაპლინი ცოლს ირთავს
4) ჩარლის სიზმარი
5) ჩარლი ლუნა-პარკში
6) ჩარლი ბანკში
7) ჩარლი—ბოქსის ჩემპიონი
ნ. 784 (ჩაპლინის შემოქმედების ევოლიუცია).

„კომუნისტი"-ს
ტყიბულის მაღაროების
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზეთ „კომუნისტ"-ზე ხელისმოწერის მიღებას
ივნისის თვისთვის
აწარმოებს სამთომადნო კავშირის ტყიბულის განყოფილება
კომუნისტის მთავარი კანტორა.

კ. მარქსის „კაპიტალის" ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზეთ „კომუნისტის" გამომცემლობა აცხადებს, რომ მან უკვე გადაუგზავნა თავის რწმუნებულებს და საგაზეთო განყოფილებებს „კაპიტალი" შემდეგ ადგილებში:
1) ბათომში, 2) სამტრედიაში, 3) ზესტაფონში, 4) ქუთაისში, 5) ჭიათურაში, 6) სტალინისში (ხაშურში), 7) თელავში, 8) სიღნაღში, 9) ახალ-სენაკში, 10) ონში, 11) აბაშაში და 12) ბორჯომში (მუშის ქარხნის ადგილკომს).

ქუთაისის
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
„კომუნისტი"-ს, „ზარია ვოსტოკა"-ს, „მუშა"-ს, „რაბოჩაია პრავდა"-ს და სხვა გაზეთების
გავრცელების მონოპოლიური უფლება
ქუთაისში და მის ოლქში
გადავიდა ქუთაისის ფოსტის საგაზეთო განყოფილების ხელში.
ბეჭდვითი სიტყვის საკონტრაგენტოსსა კიოსკებს და რწმუნებულებს არა აქვთ უფლება აწარმოონ ხელისმოწერა დასახელებულ გამოცემებზე.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად
— პირადობის მოწმობა—სერგო ნიკოს ძე რაზმაძის სახელზე. 2724
— საბინაო დავთარი სახლის მდებარე კამოს ქ. № 55. 2724
— პურის წიგნაკი № 1454—არშაკა ტატიაშვილის სახელზე. 2725
— კავშირის წიგნაკი და მუშკოოპის წიგნაკი — ალექსანდრე ფუთურიძეს სახელზე. 2729
— მუშკოოპის წიგ. № 68619—ნინო ლუკას ასულ სურღულაძის სახ. 2732
— მეტრიკული ამონაწერი № 3866 სერგო გრიქულოვის სახელზე. 2733
— სამხედრო აღრიცხვის ბარათი კარპეზ ბარათაშვილის სახელზე. 2734
— პურის წიგნაკი 4 სულის, ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძის სახ. 2735
— რკინის გზის ბილეთი № 0010321, პირად. მოწმ. № 4937, კომკავშირის მანდატი № 96899, პარტკანდიდატ. მანდატი № 8185, კავშირის წიგნაკი № 1676, მე-3 სესხის ობლიგაციები № 045703, 045704, 045705, № 06, 028209, 028210, № 3—შალვა შოთაშვილის სახელზე. 2742
— მეტრიკული ამონაწერი რომან ვეშაპელის სახელზე. 2743
— კოოპერატივის წიგნაკი № 424 სერებკო გაბუნიას სახელზე. 2738
— სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი და პირადობის მოწმობა ისაკი ინწკირველის სახელზე. 2741
— კოოპერატივის წიგნაკი № 783 გრიგოლ კვატაიას სახელზე. 2741

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური
მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობ, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენოთერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა
შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.
კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ღამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. ექ. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე
ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.
საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.
ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. ხებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ახპისხვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. დოც. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშვთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.
ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.
ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.
მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.
25—18 ნ. 733.

ა. წ. 15 მაისს კახეთიდან ახლათ ჩამოსული
სეხნიაშვილი აკაკი
13 წლისა, ცოტა ბეჩავია, მიხეილის პროსპექტზე ყოფნის დროს დაიკარგა და დღემდის არ გამოჩენილა. აცვია შავი ხალათ შარვალი, თავი აქვს—მახვეული, მნახველთ ვთხოვთ გვაცნობონ სახანოვის ქ. № 46, ორდოფიძეს. 2736

სულ მოკლე ხანში
ვასწორებ
ხელის წერაში
რუსულ და ქართულ ენებზე
პროფ. კოსოდოს მეთოდით.
ტურგენევის ქუჩა № 4 (მე 9 კომისარიატი). კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან.

დამწუხრებულნი მეუღლე ნეოფიტე იესეს ძე, მაზლი ანდრო თავისი ცოლით შუშანა მანასეს ასული და შვილები ოთარი და თამარი, სიძე კოწია ივანეს-ძე ღლონტები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი
ვასასი ივანეს ასული
გველესიანი-ღლონტისა
დაკრძალვა 24 მაისს, შაბათს, 4 ს. ქ. ზესტაფონში—ს. ცხრაწყაროში. 2731

ღრმეს მწუხარებაში მყოფნი უახლოესი მეგობრები: ანდრო კობახიძე, შალვა ფურცხვანიძე, შურა ფარაგანაშვილი, თამარა ბაბუჩიძე, ალიოშა ქიპაშვილი, კოლია ლაბაძე, სერგო დაშნიანი, სერგო კიკნაძე, გიორგი კაპანაძე და სიმონ დარახველიძე აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს
ამხ. ვალოდია თაბაგარის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქალ. ზესტაფონში, 23 მაისს, საღამოს 4 საათზე. ნ. 783

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ბაბო, ვანო, მიშა, სერგო, თამარა, დათიკო; რძლები ნატაშა და მანია, შვილი-შვილები თინა, მირიანი, ლენა მეტრეველები ამით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი მამა
მარკოზ პავლეს-ძე მეტრეველი
დაკრძალვა ხორაგოულში შაბათს, 24 მაისს. 2740

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე პელასი შვილებით, სიდედრი ფორმა, ცოლისძმები გალაქტიონ, ანტონ (გრიშა და აკაკი ბერძენიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ერთად ერთი სიძე
ლავრენტი კოსტას-ძე ლორია
დაკრძალვა ს. ქვემო ნოღაში შაბათს, 24 მაისს. 2739

ტირაჟი—54.805
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904